

1239  
2004




# საქართველოს ბოტანიკური ბაღი

№3 2004

ISSN 1512-0880

## შურნალის თანმდგომთა საბჭო

შოთა აფაქიძე  
ლევან ბერძენიშვილი  
თამაზ გამყრელიძე  
მალხაზ ბაალიშვილი  
დავით თარხან-მოურავი  
ნანა კანდელაკი  
ლია ნადარეიშვილი  
თემურ ქლენგი  
ვახტანგ სართანია  
აკაკი სიხარულიძე  
ბაკურ სულაკაური  
ირაკლი ღარიბაშვილი  
რევაზ ლლონგი  
თეიმურაზ ჩხენკელი  
ირინა ჭანგურიშვილი



## შურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთაყარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი-მთაყარი რედაქტორის  
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი

გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და  
კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-  
კოორდინატორი



## ინფორმაციური „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია  
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;  
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია



## რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
ტელ. 93-26-82



საზიგლიოთეკო კვირეული - 2004

ქურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

## საქართველოს ბიბლიოთეკა № 3 – 04

## შინაარსი

|   |    |
|---|----|
| ადგილობრივი თვითმმართველობა და ბიბლიოთეკები -----   | 4  |
| <b>საბიბლიოთეკო კვირეულის გამოცხილი</b>   |    |
| ბიბლიოთეკების თანამდგომთა წრე ფართოვდება-----   | 7  |
| <b>კორესპონდენტები</b>  |    |
| ნანა კუპრაშვილი – „სიყვარული გზად და ხიდად“ -----   | 22 |
| ნათელა მაჭავარიანი – „მშვენიერია კავშირი მეგობართა შორის“ -----                               | 24 |
| ლია გოდელაშვილი – ზრუნვა სულიერი საზრდოსათვის-----  | 26 |
| როზა გოგიტიძე – პატრიოტული შემართებით-----  | 28 |
| ნათელა ლობჯანიძე – ჩვენი ბიბლიოთეკის დღევანდელი დღე -----                                     | 29 |
| ნელი ჯარიაშვილი – იოსებ გრიშაშვილი – დაუფინყარი და გაუხუნარი-----                             | 31 |
| მაია ძიძიკაშვილი – ჩემი სკოლა -----   | 33 |
| <b>ტერმინოლოგიური ძიებანი</b>   |    |
| ბადრი ცხადაძე – წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში -----                         | 35 |
| <b>ისტორიის ფურცლებიდან</b>   |    |
| ნინელი მელქაძე, ალ. ლორია – თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკა----- | 40 |
| ირინა გოგლიძე – ახალციხის მისციის ბიბლიოთეკის ისტორიიდან-----                                 | 47 |
| <b>მამულიშვილები</b>  |    |
| გიორგი სარაჯიშვილი – „ჩვენ არასოდეს მოგვედებით“ -----   | 49 |
| <b>ბიბლიოთეკის იუბილე</b>   |    |
| ჯემალ ლეჟავა – 110 წლის ბიბლიოთეკა-----   | 58 |
| <b>პროფესია და პროფესიონალები</b>   |    |
| ნანა გურგენიძე – შეხვედრა პროფესიონალთან -----  | 60 |
| ქეთევან ნიკურაძე – პოეტი და ბიბლიოთეკარი -----  | 63 |
| ნაზი ელიავა – ქალი, რომელიც ამშვენებს ქალაქს -----  | 66 |
| <b>ბიბლიოთეკა და საზოგადოება</b>  |    |
| გულნარა სტურუა – გავააქტიურეთ მასმედიასთან თანამშრომლობა -----                                | 68 |
| ქეთი ქიქოძე – ასოციაცია „კვალის“ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრი -----                    | 70 |
| <b>მეცნიერული კონტაქტები</b>  |    |
| შეილა ინტნერი – საბიბლიოთეკო განათლება, ფონდების გაფართოება და ბიბლიოთეკების რესურსები -----  | 73 |
| <b>სტუდენტი ეუფლება პროფესიას</b>   |    |
| ნინელი მექელაძე, მზია მაჩხოშვილი, სოფო არჩვაძე – კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა 50 წლისა -----   | 82 |
| <b>იუბილე</b>   |    |
| განვლილი გზის გადასახედზე (გ. მიქაძე – 80) -----  | 85 |
| <b>გამოსმაურება</b>   |    |
| ბორის დავითაია – „ისევ ზღვისფერი დამაქვს თვალები“ -----                                       | 87 |
| <b>ინფორმაციები</b>   |    |
| ვიკინგები საქართველოში -----  | 89 |
| ნინო ხაბუღიანი – სტუმარი აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკიდან -----                                  | 91 |
| <b>მწერალი და ბიბლიოთეკა</b>  |    |
| ოთარ შალამბერიძე – ჩემი ლექსი და ჩემი მადლობა -----   | 93 |
| <b>ქრონიკა</b>  |    |
| საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქორინიკა: მოვლენები, ფაქტები -----                         | 93 |
| <b>საცნობოდ საკითხავი</b>   |    |
| სიბრძნე ცოდნისა და კითხვის შესახებ; ანდაზები, უნებლიე „ნათლია“, ხელოვნების ძალა -----         | 94 |
| <b>გახსენება</b>  |    |
| თინა იმნაიშვილი -----   | 96 |
| კროსვორდი -----   | 98 |

## Библиотека Грузии, №3-04

## Содержание

|  |    |
|--|----|
| Местные самоуправления и библиотеки  | 4  |
| <b>Отклики на неделю библиотеки</b>  |    |
| Ширится круг сторонников библиотек   | 7  |
| <b>Корреспонденция</b>   |    |
| Нана Купрашвили - "Пути-дороги любовью"  | 22 |
| Натела Мачавариани - "Прекрасна связь между друзьями"  | 24 |
| Лиа Годелашвили - Забота о духовной пище   | 26 |
| Роза Гогитидзе - С патриотическим подъемом   | 28 |
| Натела Лобжанидзе - Сегодняшний день нашей библиотеки  | 29 |
| Нелли Джариашвили - Гришашвили - не забытый и не поблекший                                       | 31 |
| Мая Дзидзикашвили - Моя школа  | 33 |
| <b>Терминологические изыскания</b>   |    |
| Бадри Цхададзе - Книговедческо-палеографические термины в грузинском языке                       | 35 |
| <b>Страницы истории</b>  |    |
| Нинель Мелкадзе, Александр Лория - Тбилисская городская публичная библиотека имени А. С. Пушкина | 40 |
| Ирина Гоглидзе - Из истории библиотеки мечети Ахалшихе   | 47 |
| <b>Сыны Отечества</b>  |    |
| გიორგი სარაჯიშვილი - "Мы не умрём никогда"   | 49 |
| <b>Юбилей библиотеки</b>   |    |
| Джемал Лежава - библиотеке 110 лет   | 58 |
| <b>Профессия и профессионалы</b>   |    |
| Нана Гургенидзе - Встреча с профессионалом   | 60 |
| Кетеван Никурдзе - Поэт и библиотекарь   | 63 |
| Нази Элиава - Женщина, которая украшает город  | 66 |
| <b>Библиотека и общество</b>   |    |
| Гульнара Стура - Необходимо активизировать взаимосвязь с массмедией                              | 68 |
| Кети Кикодзе - Информационно-образовательный центр ассоциации "Квали"                            | 70 |
| <b>Научные контакты</b>  |    |
| Шейла Интнер - Библиотечное образование, развитие фондов и ресурсы библиотек                     | 73 |
| <b>Студент овладевает профессией</b>   |    |
| Нинель Мелкадзе, Мзиа Мачхшвили, Софо Арчвадзе - Национальной библиотеке Канады 50 лет           | 82 |
| <b>Юбилей</b>  |    |
| Оглядываясь на пройденный путь (Г. Микадзе - 80)   | 85 |
| <b>Отклики</b>   |    |
| Борис Давитаиа - "Всё те же глаза мои морской синевы"  | 87 |
| <b>Информация</b>  |    |
| Викинги в Грузии   | 89 |
| Нино Хабулиани - Гость из Библиотеки Конгресса США   | 91 |
| <b>Писатель и библиотека</b>   |    |
| Отар Шаламберидзе - Моё стихотворение и моя благодарность  | 93 |
| <b>Хроника</b>   |    |
| Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты  | 93 |
| <b>Чтение для любознательных</b>   |    |
| О мудрости знания и о чтении: Пословицы, Невольный "крёстный"), сила искусства                   | 94 |
| <b>Память</b>  |    |
| Тина Имнашвили   | 96 |
| Кроссворд  | 98 |

## Georgian Library №3-04

## Table of Contents:

|   |    |
|---|----|
| Local Authorities And Libraries .....   | 4  |
| <b>Response To Georgian Library Week</b>  |    |
| Library Supporters'Community Increase .....   | 7  |
| <b>Correspondences</b>  |    |
| Nana Kuprashvili - „Love - The Path And The Bridge„ .....   | 22 |
| Natela Machavariani - „Communication Among Friends Is Marvelous„ .....                                  | 24 |
| Liana Godelashvili - Taking Care Of Our Souls .....   | 26 |
| Roza Gogitidze - With Patriotic Spirit .....  | 28 |
| Natela Iobzhanidze - present Day Of Our Library .....   | 29 |
| Neli Jarishvili-Grishashvili - Unforgettable And Cherished .....  | 31 |
| Maia Dzidzikashvili - My School .....   | 33 |
| <b>Terminological Searches</b>  |    |
| Badri Tskhadadze - Paleographic - Book-Learning Terms In Georgian .....                                 | 35 |
| <b>From The History</b>   |    |
| Nineli Melqadze, Aleko Loria - Tbilisi City Public Library By A. S. Pushkin .....                       | 40 |
| Irina Gogiladze - From The History Of Mizgiti Library In Akhaltsikhe .....                              | 47 |
| <b>Patriots</b>   |    |
| Giorgi Sarajishvili - „We'll Never Die„ .....   | 49 |
| <b>Library Jubilee</b>  |    |
| Jemal Lezhava - 110 Years Old Library .....   | 58 |
| <b>Profession And Professionals</b>   |    |
| Nana Gurgenidze - Meeting With A Professional .....   | 60 |
| Kekevan Nikuradze - Poet And Librarian .....  | 63 |
| Nazi Eliava - Woman Who Makes City Beautiful .....  | 66 |
| <b>Library And Society</b>  |    |
| Gulnara Sturua - Intensify Working With Media .....   | 68 |
| Keti Kikodze - The Information-Educational Centre Of The Association „Kvali„ .....                      | 70 |
| <b>Scientific Contacts</b>  |    |
| Sheila Intner-Library Education, Collections Development And Library Resources .....                    | 73 |
| <b>Library Abroad</b>   |    |
| Nineli Mikeladze, Mzia Machkhoshvili, Sofo Archvadze - National Library Of Canada Is 50 Years Old ..... | 82 |
| <b>Jubilee</b>  |    |
| Looking Back To Passed Way, (G. Mikadze - 80) .....   | 85 |
| <b>Response</b>   |    |
| Boris Davitaia - „My Eyes Are Still Sea-Blue„ .....   | 87 |
| <b>Information</b>  |    |
| Vikings In Georgia .....  | 89 |
| Nino Khabuliani - A Guest From US Congress Library .....  | 91 |
| <b>Written And Library</b>  |    |
| Otar Shalamberidze - My Verse, My Thanks .....  | 93 |
| <b>Chronicle</b>  |    |
| Chronicle Of Georgian Library Life: Events, Facts .....   | 93 |
| <b>Reference Reading</b>  |    |
| Wisdom About Knowledge And Reading; Proverbs Unexpected „Godfather„ The Power Of Art .....              | 94 |
| <b>Reminiscences</b>  |    |
| Tina Imnaishvili .....  | 96 |
| Crossword .....   | 98 |

## ადგილობრივი თვითმმართველობა და ბიბლიოთეკები

**ს**აქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებასა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ. ეს კანონი მიღებულ იქნა 1997 წელს. საქართველოს პარლამენტმა 1999-2002 წლებში რამდენჯერმე შეიგანა ცვლილებები აღნიშნულ კანონში. ამ კანონის მე-7 მუხლში პირდაპირ არის მითითებული მმართველობის ის სფეროები, რომლებიც შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში.

ამ მუხლის ერთ-ერთ აღნიშნულია პარაგრაფში ადგილობრივი მნიშვნელობის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხების გადაწყვეტა, ბიბლიოთეკების, თეატრების, კულტურისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების შექმნა და შენახვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთ-ერთი მოვალეობაა. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 34); ბიბლიოთეკები, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაწესებულებები, თავიანთ საქმიანობას წარმართავენ „საქართველოს კანონით საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ (1996); ადგილობრივი თვითმმა-



რთველობის ორგანოების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება ზემოთ აღნიშნული კანონით; ამ თვალსაზრისით, ბიბლიოთეკები, რომლებიც ფუნქციონირებენ რაიონებში, უნდა განვიხილოთ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომსახურებას; ბიბლიოთეკების საქმიანობა რეგიონებში წარმართება სათანადო ნორმატიული აქტებით, კანონით, დებულებებით და სხვა სახის იურიდიული დოკუმენტაციით. ბიბლიოთეკები ანგარიშვალდებულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინაშე. ეს უკანასკნელნი გვევლინებიან როგორც ბიბლიოთეკების დამფუძნებლები; ადგილობრივი თვითმმა-

რთველობის ორგანოები ინახავენ ბიბლიოთეკებს, უზრუნველყოფენ მათ მაგერიალურ-ტექნიკური ბაზით, შრომის პირობებითა და ყველა იმ აუცილებელი საშუალებებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების წარმატებულ ფუნქციონირებას; რაიონული გამგეობები და საკრებულოები ვალდებულნი არიან მათ გერიგორიაზე მოქმედი ბიბლიოთეკები უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის წყაროებით, რათა ამით განხორციელდეს მოქალაქის კონსტიტუციური უფლება ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შესახებ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24). ადგილობრივი თვი-

თმმართველობის ორგანოების საქმიანობა ასევე ღიად და საჯაროდ უნდა იქნეს წარმოჩენილი მოსახლეობისათვის; ადგილობრივ მოსახლეობას, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციას, ასევე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 41), ბიბლიოთეკებს ასევე უფლება აქვთ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების საქმიანობას და მიიღონ თავიანთ ფონდებში ამ ორგანოების მიერ მიღებული ოფიციალური მასალების ერთი პირი გამოუქვეყნებელი სახით (საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, მუხლი 4, პუნქტი ი.). ამ კანონის ეს მუხლი პრაქტიკულად არ სრულდება. რაიონში მოქმედი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები შეიძლება ეცნობოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ოფიციალურ მასალებს, მაგრამ მკითხველთა ფართო წრისათვის ისინი ხელმისაწვდომელია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საბიბლიოთეკო ქსელს აგებენ (ინარჩუნებენ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; საბიბლიოთეკო საქმის შესახებ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზების დროს მხედველობაში ღებულობენ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, მოსახლეობის რაოდენობას, მათ საინფორმაციო მოთხოვნილებებს. ამ ფაქტორებთან საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზებაზე პირდაპირ გეგავლენას ახდენს დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სიმჭიდროვე, გეოგრაფიული მდებარეობა, კავშირების დამყარების საშუალებები და შესაძლებლობები. ქსელის ორგანიზების იურიდიულ საფუძველს შეადგენს კანონი და კანონქვემდებარე აქტები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ნიშნა-



ვენ ქალაქის, რაიონის მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით (კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, მუხლი 22); საქართველოს ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემებში (რეგიონალური საბიბლიოთეკო გაერთიანებები) უკანასკნელი 12-14 წლის მანძილზე საგრძნობლად გადახალისდა ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა შემადგენლობა. ადგილობრივი ორგანოების რეკომენდაციითა და გადაწყვეტილებებით რეგიონის მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ პირებად მოგვევლინენ ახალგაზრდები, რომლებმაც ადვილად გაართვეს თავი ბიბლიოთეკის მენეჯერის ფუნქციებს და თავიანთი საქმიანობით ბევრად გარდაქმნეს სისტემის მუშაობა. საერთოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ცდილობენ შეინარჩუნონ მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი პირები, სამაგიეროდ გაიზარდა არსებული საკადრო შემადგენლობის პასუხისმგებლობა. ის ღირექტორები, რომელთაც აქვთ კადრებთან მუშაობის გამოცდილება და რომლებმაც სწორად დაგეგმეს ბიბლიოთეკების საქმიანობა ახალ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში, წარმოგვიდგინენ როგორც კარგი ხელმძღვანელი პირები. ასეთი რეგიონებიდან შეიძლება დავასახელოთ გორის, საშუერის, ქუთაისის, ბუგდიდის, ფოთის, წყალგუბოს, სენაკის, რუსთავის, ამბროლაურის, ხარაგაულის, გურჯაანის, საგარეჯოს, მესტაფონის, ასპინძის და სხვ. რეგიონების საბიბლიოთეკო



გაერთიანებათა ღირექტორები. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და ბიბლიოთეკები წარმოგვიდგებიან როგორც პარგნიორი დაწესებულებები, ისინი თანამშრომლობით აღწევენ კანონით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულებას.

თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ნორმალურ პირობებს უქმნიან ბიბლიოთეკებს, ხელს უწყობენ მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრაში, თავის მხრივ ბიბლიოთეკებიც გარკვეულწილად ეხმარებიან ამ ორგანოებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული პირობების გაუმჯობესებაში. პირდაპირი დანიშნულებით ბიბლიოთეკები ვალდებულნი არიან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყონ მათთვის საჭირო ინფორმაციით. ეს პრაქტიკულად ხორციელდება იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც ბიბლიოთეკები ღებულობენ ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მუშაობის ამსახველ მასალებს, ოფიციალური მასალები ქვეყნდება საკანონმდებლო აქტების სახით – „პარლამენტის უწყებები“, „სამთავრობო

მოამბე“, „სახელმწიფო მოხელე“, „ეკონომიკური სიახლენი“, „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებათა კრებული“ და სხვ. ოფიციალური გამოცემები ადგილობრივი ხელისუფლებისათვის აუცილებელი მასალების შემცველი ინფორმაციის წყაროებია. თუ ამ გამოცემებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ღებულობენ, მაშინ ისინი წლის ბოლოს მაინც უნდა გადასცენ ბიბლიოთეკას, სადაც მას დაამუშავებენ და დაიცავენ; რაც მთავარია, ასეთი გამოცემები ხელმისაწვდომი გახდება მკითხველთა ფართო მასებისათვის. ვლადპარაკობთ რა ბიბლიოთეკებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობაზე, ამით ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ამ დაწესებულებათა ფუნქციონირების საბოლოო მიზანსა და ამოცანებზე – უზრუნველყონ მოსახლეობის კონსტიტუციური უფლება საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციისაღმის ხელმისაწვდომობის შესახებ, ერთი მხრივ, და დაიცვან რეგიონის ინტელექტუალური და სულიერი ფასეულობანი, – მეორეს მხრივ, რეგიონის საბიბლიოთეკო ქსელის ნორმალური ფუნქციონირება პირდაპირ მეტყველებს ამ რაიონის მმართველობითი ორგანოების დამოკიდებულებაზე კულტურის, განათლების, ინფორმაციისა და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების, რეგიონის სოციალურ-კულტურული დონის შემდგომი სრულყოფის პრობლემებისადმი ბრუნვაზე. კარგად მოწყობილ საბიბლიოთეკო ქსელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა აქტიურ, თანამედროვეობისათვის საჭირო პომიციამზე მეტყველებს.





## საბიბლიოთეკო კვირეულის გამოსახილი

საბიბლიოთეკო კვირეულის შესახებ რედაქციაში მრავალი მასალა და ფოტოსურათი შემოვიდა. ცხადია, დაწვრილებით ყველაფერის ასახვა ჟურნალის შესაძლებლობებს აღემატება. მიმოხილვა ერთგვარ მოკლე ანგარიშის ხასიათს ატარებს, მაგრამ მაინც ნათლად ჩანს, როგორი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ბიბლიოთეკები თავიანთ პროფესიულ ზეიმს. სამწუხაროდ, ბევრი რეგიონიდან, სადაც ჩატარდა ღონისძიებები, ანგარიშები არ მიგვიღია, ამდენად, ჩვენს მიმოხილვას სრულყოფილების პრეტენზია არა აქვს. ზოგ შემთხვევაში ჩვენთვის სავსებით უცნობი დარჩა, თუ რა გაკეთდა ამა თუ იმ რეგიონში, როგორც მაგალითად აჭარაში, სვანეთსა და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში, რომელთაგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია.

ჟურნალის რედაქცია მადლობას მოახსენებს ყველა ბიბლიოთეკასა თუ ცალკეულ პირს მასალების მოწოდებისათვის, აგრეთვე ბოდიშს უხდის მათ, თუ სრულყოფილად და უფრო დაწვრილებით ვერ ავსახეთ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია.



## ბიბლიოთეკების თანამდგომთა ნრა ფართოვლება



*საბიბლიოთეკო კვირეული-2004: მასალების მიმოხილვა*

**ჩ**ოღესაც საბიბლიოთეკო კვირეული გაიხსნა (23 აპრილი), ბიბლიოთეკების ერთ ნაწილს უკვე ჩაგარებული ჰქონდა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები, ასევე იყო კვირეულის დახურვის შემდეგაც (30 აპრილი). ფაქტობრივად, კვირეულის პროგრამა ორ თვეს გაგრძელდა და რეგიონების დიდი ნაწილი მოიცვა. კვირეულის დროს ბიბლიოთეკებს სტუმრობდნენ მწერლები და პოეტები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, პედაგოგები, ბიზნესმენები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, თბილისში მყოფი უცხოელი სპეციალისტები.

საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციები, რომელთა ინიციატივითაც ეს ღონისძიება გარდება, კვირეულს კოორდინირებულად ხელმძღვანელობდნენ. კვირეულის გახსნისათვის დაიბეჭდა მოსაწვევები, დამზალდა პლაკატი, გამოიცა ბროშურები.

კვირეული გაიხსნა თბილისის მიხეილ ჯავა-

ხიშვილის სახელობის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში. გახსნას დაესწრო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მამა ბეგაშვილი, სხვა ოფიციალური პირები, ასოციაციების გამგეობის წევრები. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ დამსწრეთ ალუთქვა, რომ ადგილი აღარ ექნება ბიბლიოთეკების შევიწროვებას, საბიბლიოთეკო შენობების გასხვისებას. კვირეულის შესახებ სპეციალური ინფორმაციები გამოქვეყნდა ქვეყნის სხვადასხვა გაზეთებში. დაიბეჭდა კრიტიკული და მამხილებელი წერილები: რუსუდან მუხიგულაშვილისა და მამა ბეგაშვილის: „შორს ბინძური ხელი და თვალი ბიბლიოთეკისაგან“ („საქართველოს რესპუბლიკა“), ეკა ირემიაშვილის – „მოაშორეთ ბინძური მშენა ბიბლიოთეკებს“ („ახალი თაობა“), ვერა ნეფარიძის „იმიჯის“ გასაუმჯობესებლად“ („24 საათი“), მაია ცეცაძის – „ბიბლიოთეკების კვირეული ოფიციალურად დაიხურა“ („დილის გაზეთი“) და სხვა.



თბილისის 63-ე ბიბლიოთეკაში.

კვირეულის პროგრამით მეგალ მრავალფეროვანი და შინაარსიანი ღონისძიებები ჩატარდა **თბილისში**. დედაქალაქში ამ საქმეს გონს აძლევდნენ საჯარო ბიბლიოთეკები. თბილისის მე-17, მე-20 და 23-ე საქალაქო ბი-



ბლიოთეკებმა მოაწყვეს ერთობლივი საღამო მიძღვნილი თბილისის უბანლო მეზობლებს იოსებ გრიშაშვილისადმი. პოეგის შემოქმედების შესახებ ისაუბრეს 23-ე ბიბლიოთეკის გამგემ მაცვალა თვარაძემ და მეთოდისგმა ნელი ჯარიანი-აშვილმა, მოგონებით გამოვიდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნინო ჩხეიძე. პოეგის ლექსები წაიკითხეს თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პედაგოგებმა. საინტერესო ღონისძიებებ ჩატარდა 27-ე ბიბლიოთეკაში, რომელსაც ახლახან რემო ინანიშვილის სახელი მიენიჭა. ბიბლიოთეკის გამგემ ქ. აშაძემ და თანამშრომლებმა ნ. კუჭაშვილმა, ც. ჟიჟილაშვილმა და ე. ჭალიაშვილმა საგანგებოდ მოამზადეს თვალსაჩინოებანი; პროგრამის მომზადებაში

აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისის 45-ე და 115-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ღონისძიების შესახებ საინტერესო მასალა დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში“. ამავე გაზეთში კვირეულის შესახებ კიდევ ორი კორესპონდენცია დაიბეჭდა, რომელთა ავტორია ბიბლიოთეკების დიდი გულშემატკივარი ჟურნალისტი ინეზა ლეკვეიშვილი; 24 აპრილს გ. ლეონიძის სახ. 31-ე ბიბლიოთეკაში ჩატარდა თემატური საღამო „დრო, კანონი, აღამიანები“. ღონისძიებებს უძღვებოდა ნუნუ ჭვლელაძე. საინტერესო საუბარი გაიმართა აღამიანის უფლებებსა და მოვალეობებზე ახალგაზრდა იურისტთა მონაწი-

ლეობით, მათვე პროფესიული პასუხები გასცეს დამსწრეთა მრავალფეროვან შეკითხვებზე. 23 აპრილს თბილისის 41-ე ბიბლიოთეკაში (გამგე ე. ევანია) ჩატარდა წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენ-



ცია. აქვე აღინიშნა ბიბლიოთეკის დაარსებიდან 30-ე წლისთავი. კონფერენციის თემად აღებული იყო „ბიბლიოთეკა ჩემი სკოლის გაძარია“. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისის მე-13, 143-ე, მე-60, მე-12, მე-13, 48-ე, 143-ე, და 148-ე სკოლების მოსწავლეებმა. საკუთარი ლექსები წაიკითხეს მკითხველმა

ალ. ჯამაგაშვილმა, მეთოდისგმა ნ. ჯაოშვილმა და სხვებმა.

შ. რუსთველის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში 28 აპრილს მოეწყო თემატური საღამო „წიგნი-მკითხველი-ბიბლიოთეკა“, ეს იყო გულახდილი საუბარი ბიბლიოთეკის პრობლემებზე, მკითხველთა დამოკიდებლობაზე წიგნისა და განათლებისადმი. შეხვედრას ესწრებოდნენ მწერალი თამარ ფხაკაძე, მთარგმნელი ნარგიზა ფხაკაძე, ხელოვნებათმცოდნე დავით სოლომნაშვილი, გაზეთ „ციცინათელას“ რედაქტორი აკაკი ბრეგაძე და სხვები. საღამოს უძღვებოდა ჟურნალისტი ფოთოლა ჩიმაკაძე. საღამოს ამშვენებდა ახალგაზრდა პოეტთა ლექსები, ეს ის პოეტები არიან, რომლებიც იზრდებიან ბიბლიოთეკასთან არსებულ კლუბში „ვეფხისტყაოსანი“, 5-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა მხატვრული პროგრამა „მკითხველთა შემოქმედება“. ამ დღეს ბიბლიოთეკაში სტუმრად მოწვეულნი იყვნენ: ქსუ ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ლექტორები შორენა ქურდაძე და გივი ჩულუნაძე. ღონისძიებას



თბილისის მე-60 ბიბლიოთეკაში

მელმედაც მოგონებებით გამოვიდნენ ძველ და ახალ მკითხველთა თაობების წარმომადგენლები, 65-ე, 144-ე და 75-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები. შეხვედრა დასრულდა ვიქტორინა-კონკურსით საქართველოს ისტორიის საკითხებზე. 28 აპრილს 45-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა ლიგერატურულ-მუსიკალური საღამო თემაზე „ენა ღედაა ერისა“, ღონისძიება ჩატარდა მხატვრული ნაწილის თანხლებით. მშობლიური ენის შესახებ ისაუბრეს 107-ე და 168-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.



შეხვედრაზე 22-ე ბიბლიოთეკაში.

უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე ციცილო ღველალაშვილი. 21-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე ქეთევან ღიხაშვილი) ჩატარა თემატური საღამო „ბიბლიოთეკა-წიგნი-მკითხველი“, რო-

გ. ლეონიძის დაბადების 105-ე წლისთავს მიეძღვნა ლიგერატურული საღამო მე-3 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მერი ლომია). პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ნინო რიქაშაძემ, ლეილა ნადარაიაძემ, ლუბა გუკაკიშვილმა და სხვებმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 87-ე და 111-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები: ნ. ხარბეგაშვილი, ნ. ღონისძი, ნ. ხურციძე, ლ. ნომაძე, ჯ. გაბარაშვილი და სხვები. ღონისძიებას ესწრებოდნენ და სიგყვით გამოვიდნენ ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის მეთოდისტები: ნ. გოგაგიშვილი, ნ. ჯანი-

აშვილი, ლ. ქუმელაშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე თ. ჩაგანავა და სხვები.

კვირეულის პროგრამით ყოველთვის საინტერესო ღონისძიებებით გამოირჩევა 12-ე საქალაქო ბიბლიოთეკა (გამგე ნ. მიშელაძე), ამ დღეს, 29 აპრილს, ჩაგარდა ნიჭიერი ბავშვების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება დღევით „ბიბლიოთეკა ჩემს გონებას აზრებით ქარგავს“. საკუთარ ლექსებს, ჩანახატებსა და მოთხრობებს კითხულობდნენ: აკაკი დანელია, თამარ გუგუშვილი, მარიამ მეგრეველი, გიორგი ლემონჯავა, მხატვრული კითხვით გამოვიდა ბიბლიოთეკის მკითხველი თამარ თაბაგარი.

ღონისძიება მოამზადეს ბიბლიოთეკარებმა: ირინა ბარიშვილმა, ანგელინა შამუგია და მათა განგაძემ. კვირეულის პროგრამით



ღონისძიება ახალგაზრდულ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

შინაარსიანი ღონისძიება ჩაგარდა 32-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლია უზურგუნაშვილი);

იგი ეძღვნებოდა ქართული ენის დღეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ლიცეუმ „აისის“ დირექტორი ლილი შველაშვილი და მოსწავლეები, რომლებმაც შეასრულეს დედა ენისადმი მიძღვნილი სიმღერები, წარმოადგინეს კომპოზიციები. ლიტერატურული საღამო თავიანთი გამოსვლებით დაამშვენეს პედაგოგებმა: ლ. კოხგაშვილმა, მ. თავაძემ, მ. ხიზანიშვილმა და სხვებმა.

როგორც წინა წლებში, მიმდინარე წელსაც საბიბლიოთეკო კვირეულს აქტიურად გამოეხმაურა ქ. თბილისის საბავშვო ბიბლიოთეკები. როგორც თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკარი ლ. ჩხარტიშვილი გვამცნობს თავის კორესპონდენციაში, კვირეულისათვის მზადება ადრე გაზაფხუ-

ლბევე დაიწყო. შიო მღვიმელის სახ. 49-ე საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ლალი ჯავახიშვილი) კვირეულის ღონისძიება მიეძღვნა ცნობილ საბავშვო მწერალსა და პოეტს გივი ჭიჭინაძის ხსოვნას; ბავშვებმა დიდი სიყვარულით წაიკითხეს მისი ლექსები, რომლებსაც ისინი საბავშვო ბალის ასაკიდან იცნობენ. ამ საღამოში მონაწილეობა მიიღეს თბილისს 113-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. საბავშვო პოეტის ხსოვნას მიუძღვნეს თავიანთი ღონისძიებები №28-ე, №61-ე საბავშვო ბიბლიოთეკებმაც (გამგეები ლ. გელენიძე, ლ. ფანჩულიძე).

კვირეულის დღეებში საინტერესო ღონისძიებები ჩააგარა 63-ე საბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე მზია გურგენიძე), ლიტერატურული კომპოზიცია „მამული, ენა, სარწმუნოება“ წარმოდგე-

ნილი იყო სკოლა-ლიცეუმის „გროს“ და სკოლა-აკადემიის „ჰარმონიის“ მოსწავლეების მიერ (პედაგოგი მ. ჭოლაძე).

№17-ე საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ (გამგე ლილი ბეგაშვილი) მოაწყო ორიგინალური გამოფენა – „ჯადოსნური ფუნჯი“. ფიროსმანისა და ლ. გუდიაშვილის ნახატების გვერდით გამოფენილი იყო ნორჩი მხატვრების – გოგიტა და გურამ მიქაძეების და ირინე ავაქიანის ნახატები.

გრადიციულად შინაარსით გამოირჩეოდა 14-ე საბავშვო ბიბლიოთეკის (გამგე რ. კუჭავა) მიერ წარმოდგენილი ღონისძიება – 67-ე სკოლის მოსწავლეებმა განიხილეს აკაკი ჯორჯაძის წიგნი „ანგელოზი დააბიჯებს დედამიწაზე“. ბავშვებისათვის საინტერესო და მიმზიდველი იყო მე-60 საბავშვო ბიბლიოთეკის (გამგე ლელა კვინიკაძე) მიერ ორგანიზებული ღონისძიება „გაზაფხული შემოსულა, ლენ“. ეს იყო

ლიგერაგურულ-მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 160-ე და 167-ე სკოლების მოსწავლეებმა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ ოთარ შამათავა – ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ავტორი კრებულისა „გულო, გაუბელ“, ამ ღონისძიებისადმი თავიანთი ინტერესი გამოიჩინეს ასევე ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ნ. ხვედელიანმა და დ. მჭედლიშვილმა.

კვირეულის დღეებში 55-ე საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ (გამგე ნ. კოკოლიშვილი) შეხვედრა მოუწყო მწერალ მზია ხეთაგურს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 178-ე სკოლის მოსწავლეები. 53-ე საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ (გამგე მ. აროშიძე) შეხვედრა მოუწყო მწერალ ლაშა ბუღაძეს, ამავე დღეს ბიბლიოთეკაში მოუწყო ბავშვ მკითხველთა ნამუშევრების გამოფენა. ერთიანი, კომპლექსური ღონისძიება ჩააგარეს 22-ე (გამგე ნათია ქემოკლიძე), №1 (გამგე რ. ხარაგიძე) და



თბილისის 182-ე სკოლის მოსწავლეები საბიბლიოთეკო კვირეულზე.

სპუტები და, რაც მთავარია, იგრძნობოდა მშობელთა და პედაგოგთა დაინტერესება მათი შვილებისა და მოსწავლეების ბიბლიოთეკასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით.

ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს საქართველოს ლ. ასათიანის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას (დირექტორის ი. არგუტინსკაია): კვირეულის დღეებში ამ ბიბლიოთეკას ესტუმრა პოეტი ანა კალანდაძე. პოეტს დახვდნენ №1 საბავშვო სახლის აღსამრდელები, ღონისძიებას უძღვებოდა წამყვანი ბიბლიოთეკარი ნ. ყაულაშვილი. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის განყოფილების გამგემ ლამარა თოდრიამ მე-18 სკოლაში ჩა-



თაობათა შეხვედრა მენ. აკად. ცენგრ. სამეცნ. ბიბლიოთეკაში.

აგარა სალონური საღამო „ა.ს. პუშკინი საქართველოში“. მე-18 სკოლის მოსწავლეებმა დიდი ხალისთ წაიკითხეს პოეტის ლექსები.

საქართველოს მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან შთამბეჭდავი იყო თემატური კონფერენცია „მე და კანონი“. ეს იყო ფაქტიურად სჯა-ბაასი საბიბლიოთეკო კანონმდებლობის შესახებ. დისკუ-

საქართველოს მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან შთამბეჭდავი იყო თემატური კონფერენცია „მე და კანონი“.

ეს იყო ფაქტიურად სჯა-ბაასი საბიბლიოთეკო კანონმდებლობის შესახებ. დისკუ-



შეხვედრა გ. მიქელაძის სახელობის გეგნიკურ ბიბლიოთეკაში.

მომუშავე და პენსიაზე გასულ ბიბლიოთეკარებთან. ეს იყო სამი თაობის შეხვედრა, რომელიც აღსავსე იყო თბილი მოგონებებით, მონაგრებული სახეების ხილვითა და ბიბლიოთეკართა შრომის დაფასების დიდი სურვილით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ პოეტები, მწერლები, საბიბლიოთეკო დარგის დღევანდელი ხელმძღვანელი მუშაკები. ბიბლიოთეკარებისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ზუმრუდ გოდერძიანი.

გში მონაწილეობდნენ: კულტურის სამინისტროს იურისტი გელა ჯაჭვიაძე, საბიბლიოთეკო ასოციაციიდან – ირაკლი ღარიბაშვილი, ა. ლორია, გ. თაყნაშვილი, გ. სტურუა, კულტურის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი ნ. მეიფარიანი და სხვა. 2 აპრილს ბიბლიოთეკაში მოეწყო ლალო მრეღაშვილის წიგნის „და შეჰქმნა ღმერთმა კაცი“ პრეზენტაცია. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მწერლები: სილოვან ნარიშკანიძე, შოთა ხოდაშნელი, ოთარ შალამბერიძე, ელგუჯა ლეგანიძე, ანზორ აბულაშვილი, ზუმრუდ გოდერძიანი.



თბილისის 11-ე სკოლის ბიბლიოთეკაში.

საინტერესო იყო ასევე ამავე ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილი შეხვედრა ბიბლიოთეკაში

რძიშვილმა, ნელი ჯანიაშვილმა, შ. ხოდაშნელმა, ო. შალამბერიძემ. ბიბლიოთეკარებს სიტყვებით მიმართეს: იმა დემეტრაშვილმა, ლამარა საბეიშვილმა, ნელი თავდიაშვილმა, მარინა ბუხრაშვილმა და სხვებმა.



სპეციალისტთა შეხვედრა „მეაბრეშუმეობის სახლის“ ბიბლიოთეკაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი აკად. მაღალაშვილი) გაიმართა შეხვედრა-სემინარი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლებთან. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შათირიშვილი. საინტერესო იყო ბიბლიოთეკის

თანამშრომელთა შეხვედრა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთან, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატთან მაია კარანაძესთან, რომელმაც გამოსცა ნაშრომი წიგნის ყდის შესახებ.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებს იგალიურ შთაბეჭდილებებზე ესაუბრა ჟურნალის რედაქტორი ალექსანდრე ლორია. ამავე დღეებში ბიბლიოთეკა მასპინძლობდა ამერიკელ სტუმრებს: შეილა ინგნერსა და ბობი ფერიგონს; აკადემიის ბიბლიოთეკაში გრადიციალ დამკვიდრდა შეხვედრები ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებთან და პედაგოგებთან: ეს შეხვედრები იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ფაქტობრივად იმართება სამი თაობის ბიბლიოთეკართა შეხვედრები. საერთოდ კი, აკადემიის ბიბლიოთეკის ყოველ ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას



რუსთავის №25 სკოლის მოსწავლეები ქალაქის №11 ბიბლიოთეკა-ფილიალის თანამშრომლებთან ერთობლივ ღონისძიებაზე.

განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს გივი თუშიშვილს. მისი დამსახურების შესახებ ისაუბრა აკადემიკოსმა გივი ფიჩხნარაშვილმა; შეხვედრაზე გივი თუშიშვილმა შეასრულა სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოებები. ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას გამოეხმაურნენ გამეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „თბილისი“.



ზეიმი ნაქალაქევის 20-ე ბიბლიოთეკა-ფილიალში.

ღებულობენ მომავალი ბიბლიოთეკარები – სტუდენტი პრაქტიკანტები.

თბილისის გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო გექნიკური ბიბლიოთეკა (ღირექტორი ნუგზარ გოგსაძე) კვირეულის დღეებში მასპინძლობდა საგიგარო ხელოვნების ცნობილ წარმომადგენელს, საქართველოს ეროვნული და

კვირეულის პროგრამით როგორც წინა წლებში, ისევე მიმდინარე წელსაც, საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკებში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს თბილისს მეაბრეშუმეობის სახლის ბიბლიოთეკაში მოწყობილი კონფერენცია – „ბიბლიოთეკის წარსული, აწმყო და მომავალი“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საკოორდინაციო

ცენტრის „მეაბრეშუმეობის სახლის“ გენერალური ღირექტორი მაურ ასათიანი. ბიბლიოთეკის ძველი ისტორია დამსწრეთ გააცნო ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოთეკარმა მადონა ბოგვერაძემ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: ბიბლიოთეკის გამგემ ლილი ჯანგველაძემ, ჟურნალ „საქართველოს ბიბლი-

ოთეკის“ რედაქტორმა ალექსანდრე ლორიამ, მსახიობმა ლიანა მიქაშავიძემ, ეროვნული ბიბლიოთეკის ცენტრის უფროსმა გურამ თაყნისვილიმა, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ლანდა გაბისონიამ, მათემატიკოსმა გიორგი სარაჯიშვილიმა, მკითხველმა ნოდარ დოლიძემ და სხვ.



ველისციხელი მკითხველები საბიბლიოთეკო კვირეულის ღონისძიებაზე.

კვირეულში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სასკოლო ბიბლიოთეკებმა. მართალია, ღიძმა ნაწილმა ვერ მოახერხა ანგარიშების დროულად წარმოდგენა, მაგრამ ცნობილია, რომ სკოლების მუშაობა ამ თვალსაზრისით ბევრად გაუმჯობესდა. განსაკუთრებით შინაარსიანი ღონისძიებებით აღინიშნა კვირეული თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, წყალგუბოს, სენაკის, ფოთის, ოზურგეთის, გორის, ხაშურის, კასპის, ახალციხის და სხვ. რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ბიბლიოთეკების მიერ გამართულ ღონისძიებებში.

თბილისის 182-ე სკოლის ბიბლიოთეკამ (გამგე ნანა ასთავიშვილი-გოგოხია) 2 აპრილს საინტერესოდ წარმოაჩინა ბავშვ მკითხველთა შემოქმედება; ეს იყო არა მარტო ინტელექტუალური შინაარსით დაგვირთული, არამედ კარგი მხატვრული ნომრებით ზომიერად წარმოდგენილი სანახაობა, რომელსაც მოსწავლეები დიდი ხალისითა და სიყვარულით ასრულებ-

დნენ. ლიგერატურული დილა „გიყვარდეს წიგნი“ საინტერესო სცენარით წარიმართა; მასში თითქმის ყველა ასაკის მოსწავლე მონაწილეობდა, ბავშვებმა გამოავლინეს არა მარტო წიგნის სიყვარული, არამედ ვოკალური და ქორეოგრაფიული ნიჭიერებაც.

საინტერესოდ ჩატარდა ღონისძიებები თბილისის მე-11 საშუალო სკოლაში (ბიბლიოთეკის გამგე ეთერ თაყნისაშვილი); ბიბლიოთეკის, პედაგოგებისა და მშობელთა აქტიური მხარდაჭერით ჩატარდა ლიგერატურული საღამო „წიგნი ცოდნის წყაროა“. მოსწავლეები თავისუფლად მსჯელობდნენ წიგნზე, ბიბლიოთეკაზე, წიგნის ადგილზე მათ ცხოვრებაში; ღონისძიებაში მონაწილეობდნენ:

ცინარი ომარაშვილი, ნინო ლობჯანიძე, თეკლა გველესიანი, ზვიად არაბული, თამუნა ჯავახიშვილი და სხვები.

46-ე სკოლის ბიბლიოთეკაში გამართულ კვირეულზე საინტერესო მასალები მოგვაწოდეს პედაგოგებმა ნინო ხმალაძემ და ნინო დგებუაძემ. 29 აპრილს აქ ჩატარდა აქცია ღვევიშით „თქვენი ბიბლიოთეკა“. ამ ღონისძიების მთავარი დანიშნულება იყო სკოლის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შევსება. პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა, კარგად იცოდნენ რა ბიბლიოთეკის გასაჭირი, გადაწყვიტეს შეძლებისდაგვარად გაემდიდრებინათ ბიბლიოთეკა შემოწირული წიგნებით. ერთი დღის განმავლობაში ბიბლიოთეკას გადაეცა 93 წიგნი. ჩატარდა ვიქტორინა, რომელიც ძირითადად შეეხებოდა წიგნსა და ბიბლიოთეკას. სკოლის ღირეექტორმა არჩილ ჩხაიძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და საჩუქარი გადასცა მოსწავლე მარი სექანიას, რომელმაც ყველაზე მეტი წიგნი შესწირა ბიბლიოთეკას.

საბიბლიოთეკო კვირეულმა დიდი გამოძა-



ხილი ჰპოვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

**ქუთაისის** სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი გიორგი შავგულიძე) საბიბლიოთეკო კვირეული 20 აპრილს გაიხსნა. ამ დღეს ბიბლიოთეკის დარბაზში შეიკრიბა ქუთაისის ინგელიგენცია – მკითხველთა აქტივი, იმერეთის მხარის მთავარი ბიბლიოთეკების დირექტორები და კულტურის განყოფილებათა გამგეები. თითოეული რაიონი წარმოდგენილი იყო რამდენიმე მხაგვრული ნომრით. კულტურის განყოფილებათა გამგეებმა ისაუბრეს საბიბლიოთეკო ქსელში შექმნილ მდგომარეობაზე. ეს იყო ერთობლივი შემოქმედებითი საღამო, რომელმაც დასაბამი მისცა კონკრეტულ ღონისძიებებს ბიბლიოთეკებში. შეხვედრას უძღვებოდა მეთოდური გაყოფილების გამგე რიგა წაქაძე. ბიბლიოთეკის დირექტორმა დამსწრეთ შესთავაზა წიგნი შეეწირათ ბიბლიოთეკისათვის და ასე აღენიშნათ ბიბლიოთეკარის დღე საქართველოში.


სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ბევრი საინტერესო ღონისძიება. სა-



გურჯაანის ცენტრალური ბიბლიოთეკის ღონისძიებაზე.

თიანის შემოქმედებას მიეძღვნა მე-16 საქალაქო ბიბლიოთეკებში გამართული პოეზიის საღამო „ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა“. მე-16 საქალაქო ფილიალი (გამგე ნუნუ გომარაძე) მუდამ გამოირჩევა ხალხმრავლობით, ბიბლიოთეკართა გულთბილი დამოკიდებულებით მკითხველისადმი. ეს თვისება ბიბლიოთეკარებს მათი გამგის ნუნუ გომარაძისაგან აქვთ შეთვისებული. ასეთი იყო იგი იმ დღესაც, როდესაც მის ბიბლიოთეკას პოეზიის მოყვარულნი ესტუმრნენ.

22-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. სულაქველიძე) ჩატარდა საღამო ღვეზიბით „წიგნი და ბიბლიოთეკა“. ღონისძიებას ბაგაბაღის აღსამრდლებიც ესწრებოდნენ. მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკამ „პოეზიის ხუთი წუთი“ გამართა ღვეზით აღმაშენებლის საფლავთან. მიმზიდველი იყო მასობრივი ღონისძიებები, რომლებიც ჩატარდნენ საბავშვო ლიგერაგურის განყოფილებამ (გამგე ც. კოსხრიძე), 25-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე მ. ლომიძე), სამართლებრივი ლიგერაგურის განყოფილებამ (გამგე ნ. გომარაძე), მე-7 საბავშვო



რუსთავი. კვირეულის დახურვა.

ბიბლიოთეკამ (გამგე მ. ფრუიძე), ცალკე აღნიშვნას იმსახურებს №1 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება (გამგე მ. გაბაგაძე), ასევე მე-3, მე-7, მე-14, მე-17 ბიბლიოთეკა-ფი-

ლიალები.

მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. გურეშიძე) ჩატარდა ლიტერატურული საღამო „პოეზია მუსიკაა სულისა“, რომელიც მოაწყო ახალგაზრდა პოეტთა ჯგუფმა, მე-20 საქალაქო ფილიალში მოეწყო ღონისძიება თემაზე „რწმენამან შენმა გადაგარჩინოს“.

ქუთაისის ბიბლიოთეკებში მოწყობილ ღონისძიებებს აქტიურად გამოეხმაურა ადგილობრივი პრესა.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს, გასულ წლებთან შედარებით, გაფართოვდა კვირულის მასშტაბები; სამუშაო გეგმები წინასწარ იყო გამოგზავნილი 32 რეგიონიდან. სასკოლო ბიბლიოთეკებიდან ამჯერადაც აქტიურობით გამოირჩეოდა წყალგუბოს, რუსთავის, თბილისის, გორის, ხაშურის, მცხეთის და სხვ. რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკები.

მკითხველთა აქტიურობით გამოირჩეოდა თითოეული ღონისძიება, რომელიც ჩატარდა სენაკის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირეჭკორი ციური ხორავა); კვირული გახსნა რაიონულმა საბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე ქ. ლაგარია); მე-20 ფილიალში ჩატარდა თემატური საღამო „ენა-ერის ერთობის გარანტი“ (ბიბლიოთეკის გამგე თ. ქომეთიანი); ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა თვის მე-19 ფილიალის გამგემ ნაზი ელიაშვილმა ჩატარა შეხვედრა-დისკუსია საბიბლიოთეკო მუშაობის აქტიურ საკითხებზე. საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა მე-6, მე-16, მე-15, მე-

17 და მე-18 ფილიალებში. კვირულის დახურვა მოეწყო ცენტრალურ ბიბლიოთეკებში. ბიბლიოთეკები, რომელთაც თავი გამოიჩინეს საუკეთესო მაჩვენებლებითა და ნოვატარული მიდგომით, დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

**საჩხერის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში** (ღირეჭკორი დალი ბაქაშვილი) კვირულისა და წიგნის დღესთან დაკავშირებით გაიმართა საინტერესო შეხვედრა ბიბლიოთეკის თანამშრომლებსა და ადგილობრივ ხელი-



საგარეჯო - შეხვედრა ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკართან.

სუფლებას შორის. 21 აპრილი ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ ღონისძიებაზე დამსწრეთ. ამ დღეს საბიბლიოთეკო სისტემა პატივს მიაგებდა ბიბლიოთეკის ყოფილი ღირეჭკორის თინა ხვედელიძის ხსოვნას. რაიონის გამგებელმა ბურაბ ცერცვაძემ ბიბლიოთეკას გადასცა საჩუქრის სახით 83 დასახელების წიგნი. მადლობა გამოეცხადათ და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ სარეკის, მოხვის, მოძვისა და ჯალაურიტის ფილიალის გამგეები. ბიბლიოთეკებსა და სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ საჩხერელი მკვიდრი პოეტის ნათელა ხარაიშვილის ლექსების კრებული. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საბი-

ბიბლიოთეკის თანამშრომლებსა და ადგილობრივ ხელი-სუფლებას შორის. 21 აპრილი ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ ღონისძიებაზე დამსწრეთ. ამ დღეს საბიბლიოთეკო სისტემა პატივს მიაგებდა ბიბლიოთეკის ყოფილი ღირეჭკორის თინა ხვედელიძის ხსოვნას. რაიონის გამგებელმა ბურაბ ცერცვაძემ ბიბლიოთეკას გადასცა საჩუქრის სახით 83 დასახელების წიგნი. მადლობა გამოეცხადათ და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ სარეკის, მოხვის, მოძვისა და ჯალაურიტის ფილიალის გამგეები. ბიბლიოთეკებსა და სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ საჩხერელი მკვიდრი პოეტის ნათელა ხარაიშვილის ლექსების კრებული. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საბი-



რეზო ინანიშვილის „გმირები“ საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკაში.

ბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და გამგეობის წევრები გურამ თაყნიაშვილი და გულნარა სკურუა.

შინაარსიანი ღონისძიებებით აღინიშნა საბიბლიოთეკო კვირეული გურჯაანის საბიბლიოთეკო სისტემაში (ღირექტორი თასო ცისკარიშვილი), კვირეულს ფართო რეკლამა გაუკეთა ადგილობრივმა პრესამ და ტელევიზიამ. 23 აპრილს კვირეული გაიხსნა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ღონისძიებით „გისხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი“, რელიგიურ თემებზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს კითხულობდნენ სკულე-



მოსწავლე თ. ჩხეიძე საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნაზე.

ნგები, საგალობლებს ასრულებდნენ სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, ი. გრიშაშვილის იუბილეს მიეძღვნა დარჩეთისა და სოფ. გურჯაანის სასოფლო ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებები.



ამბროლაურის ც/ბიბლიოთეკა - მწერლის ხსოვნის საღამოზე.

ასევე შინაარსიანი ღონისძიებებით აღინიშნა კვირეული ბაკურციხის, ახაშნის, კოლაგის, არაშენდას, ნანიანის, ჩუმლაყის ბიბლიოთეკებში! კვირეულის დახურვა გაიმართა ველისციხის სასოფლო ბიბლიოთეკაში. აქ ჩატარდა ღონისძიება „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.

**თერჯოლის** საბიბლიოთეკო გაერთიანება (ღირექტორი ნონა არეშიძე) ყოველთვის გამო-

ირჩეოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ფორმების მიგნებით. კვირეულის პროგრამით საბიბლიოთეკო დაწესებულებები ერთხელ კიდევ წარმოჩნდნენ თავიანთი მრავალფეროვნებით, მკითხველთან გულთბილი შეხვედრებითა და შინაარსიანი ღონისძიებით. ამ მხივ აღსანიშნავი იყო ბელა სიმონეთის ბიბლიოთეკაში ჩატარებული ლიგერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „უცნობი გალაკტიონი“, აგრეთვე ბელა ალისუბნის ბიბლიოთეკაში ფილიალში ჩატარებული ღონისძიება, რომელიც ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის

საკითხებს მიეძღვნა. რაიონულმა საბავშვო ბიბლიოთეკამ პაგარების დასწრებით ერთხელ კიდევ გაიხსენა მათი საყვარელი მწერალი და პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. წიგნს, კითხვას, ბი-

ბლიოთეკას, ენისა და სარწმუნოების საკითხებს მიუძღვნეს შინაარსიანი ღონისძიებები ქვედა ალისუბნის, თუბის, ბარლუბნის, ეწერის, ჩხარის, გონის და ღვანეთის ბიბლიოთეკა-ფილიალებმა. მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 75-ე წელს მიეძღვნა ლიგერატურული კომპოზიცია ძევერის სასოფლო ბიბლიოთეკაში. მკითხველთა აქტიურობით გამოირჩეოდა ნახშირღელის, გოლოგანის, ქვედა სიმონეთის, სიქთა-



სოფ. გომეწრის დაწვ. კლასების ბავშვები და მალაროს-კარის ბაგა-ბაღის აღსაზრდელები უკვე მკითხველებად თვლიან თავს.

ვრისა და საზნოს, აგრეთვე რუფოთის ბიბლიოთეკა-ფილიალებში ჩატარებული ღონისძიებები. შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, რომლის ძირითადი ნაწილი დაეთმო რაიონის მკვიდრის რამაზ გარნაძის წიგნის „სიგყვა ინახავს საიღუმლოს – ქართული ანბანის“ განხილვას. ამ დღეს რაიონს სტუმრობდა მანანა ამირეჯიბი, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ ლია ბუსკივაძემ.

**ქ. რუსთავში** ჩატარებულმა ბიბლიოთეკების კვირეულმა ცხადყო, რომ ამ ღონისძიებას აქვს დადებითი ეფექტი მაშინ, როდესაც მასში მონაწილეობენ სხვადასხვა კატეგორიის მკითხველები, აგრეთვე ყველა უწყების ბიბლიოთეკები. როგორც საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მ. ბურკვაძე გვატყობინებს, კვირეულის ღონისძიებების ძირითადი ფორმა იყო შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, პოეტებთან, მწერლებთან, ბიბლიოთეკის მეგობრებთან, კულტურისა და ხელოვნების ცნობილ პიროვნებებთან. №1 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა პოეტ ე. გოშაძესთან. საღამოს ესწრებოდნენ პოეტები: ლ. ბეჟანიშვილი, გ. შალიკაშვილი, აგრეთვე ქალაქის მე-9, მე-10 და მე-16 სკოლის

თვითშემოქმედი მოსწავლეები, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი ახალი ნამუშევრები. მოსწავლეთა შემოქმედების წარმოდგენის ორგანიზატორი იყო პედაგოგი ვენერა გორგოძე.

მე-11 საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ექტორინა-კონკურსი „ცოდნის სამყაროში“. ნაგო ვანჩაძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა მე-10 საბავშვო ბიბლიოთეკის ღონისძიება „ეკრანის მშვენება“. საინტერესო იყო ღონისძიება №1 საბავშვო ბიბლიოთეკაში „შეხვედრა ბებიებთან და ბაბუებთან“. ნაჩვენები იყო ნაწყვეტი კინოფილმიდან. შეხვედრის თანაორგანიზატორი იყო მე-16 საშუალო სკოლა და სკოლა „ჩირალდანი“ (სასწ. ნაწილის გამგე მზია პაქსაშვილი), ბავშვთა აქტიურობით გამოირჩეოდა №2, 3, 8 საქალაქო ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებები. №1 საბავშვო ბიბლიოთეკამ მე-8 ბაგა-ბაღში მოაწყო ცენტრალური ბიბლიოთეკის განყოფილების გამგის ლია ბეჟანიშვილის წიგნის „ყველას მოგეფერებით“ პრეზენტაცია. 10-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო რუსთავის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებს.

მე-11 საბავშვო ბიბლიოთეკამ მოაწყო ექსკურსია მთაწმინდის პანთეონში. პატარებმა მონახულეს მუზეუმი ლია ცის ქვეშ, კუს ტბა, მონახულეს ქიული შარტავას საფლავი, მე-2 საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა პოლიტიკურ თემაზე „ვარდების რევოლუცია“, საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა №2, 3, 5, 7, 8, 10, 11, 12 საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკებში. კვირეულის საზეიმო დახურვა გაიმართა 4 მაისს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. დახურვის ცერემონიალს ესწრებოდნენ ქალაქის მერიის წარმომადგენლები, სკოლების დირექტორები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, მკითხველები. ამ დღეს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, კვირეული ფართოდ გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

საინტერესოდ ჩატარდა კვირეული რუსთა-

ვის სკოლების ბიბლიოთეკებში მე-9 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარის მზია ოქრომჭედლიძისა და პედაგოგების ინიციატივით შეხვედრა მოუწყვეს საბავშვო პოეგს ეთერ გოშაძეს. მე-9 სკოლის ახალგაზრდა ღირექტორი ინგა ქურდოვანიძე დღენიადაგ ზრუნავს მოსწავლე-ახალგაზრდების პაგრიოგული და ესთეგიკური აღზრდისათვის. მე-9 სკოლაში ჩაგარეულ ღონისძიებას სპეციალური წერილით გამოეხმარა გაზეთი „სახალხო განათლება“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსთავის მე-5 სკოლა კოორდინაციულ მუშაობას ეწევა გოგებაშვილის სახ. №1 საბავშვო ბიბლიოთეკასთან (გამგე ნ. ლობჯანიძე).

**საგარეჯოს** რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანება (ღირექტორი ც. მამისაშვილი) კვირეულის ღონისძიებებით ახერხებს უფრო ახლოს მივიდეს მკითხველ სამოგადოებასთან, შეისწავლოს მათი ინგერესი, წიგნზე მოთხოვნილებანი, რაიონის კულტურის განყოფილების (გამგე ნ. შიოშვილი) და ცენგრალური ბიბლიოთეკა წინასწარ გეგმავენ კვირეულის ღონისძიებებს; ცენგრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა სოფ. კოჭბაანის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგესთან ოლია წიკლაურთან, რომელსაც ბიბლიოთეკაში მუშაობის 50 წელი შეუსრულდა. შინაარსიანი ღონისძიებები ჩაგარდა ჩაილურის, პაგარძეულის, უჯარმის, კოჭბაანის და სხვ. ფილიალებში. საინგერესოა აღინიშნოს, რომ კვირეულის დღეებში აღინიშნა სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის დაარსებიდან 55-ე წლისთავი. ღონისძიებას ესწრებოდა ლ. ასათიანის სახ. რესუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების გამგე გუგული ჯინჭარაძე. საიუბილეო დღეებში ბიბლიოთეკას ეწოდა მწერალ რევაზ ინანიშვილის სახელი. საიუბილეო საღამო ჩაგარდა 11 მაისს კულტურის სახლში. მას უძღვებოდა საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე ვერიკო კერაგიშვილი. კულტურის განყოფილების გამგემ მა-



მღაროსკარელი მოსწავლეები კლუბში კვირეულის საზეიმო დახურვაზე.

ღლობის ბარათები და ფასიანი საჩუქრები გადასცა საბავშვო ბიბლიოთეკის ამჟამინდელ და ყოფილ თანამშრომლებს.


**სამგრედის** საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი ლამარა დუნდუა) კვირეული დაიწყო 20 აპრილს. ცენგრალური ბიბლიოთეკაში ჩაგარდა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა მ. გამსახურდიას დაბადებიდან 65-ე წლისთავს, გომის საკრებულოში შემავალმა ბიბლიოთეკებმა ჩააგარეს ფოლკლორული საღამო; ერთობლივი ღონისძიება ჩააგარეს №1 საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე ნ. გოგიშვილი) და მე-6 საშუალო სკოლამ (ღირექტორი დ. ჯოგლიძე); „ქალი, სიყვარული, გამაფხული“ – ასეთი იყო ჯიხაიშის საკრებულოში შემავალი ბიბლიოთეკების ერთობლივი ღონისძიება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, გოლების, ღანიურის, ხუნჯულაურის ბიბლიოთეკა-ფილიალებში ჩაგარებული ღონისძიებები. კვირეულის მიმდინარეობას სისგემაგურად აშუქებდა ადგილობრივი ტელევიზია, გაზეთი „სამგრედის მაცნე“.

გასულ წლებთან შედარებით, ეფექტური იყო კვირეულის ღონისძიებები **ზესტაფონის** საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი ნანული კაპანაძე); სხვათა შორის მათ შესანიშნავი მხაგრული გამოსვლებით აღნიშნეს ქუთაისში კვირეულის გახსნა, მიიღეს რა

მონაწილეობა ამ ღონისძიებაში.

9 აპრილსა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა 23-ე საქალაქო და მე-9 საბავშვო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებული ერთობლივი ღონისძიება. გაიხსენეს ამ ომში დაკარგულნი, განსაკუთრებით პაგივი მიაგეს მესტაფონელი მკვიდრის გია აბესაძის ხსოვნას; მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული კომპოზიცია „სიცოცხლე ჩვენი მამულს ეკუთვნის“, საინტერესოდ ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივ პედაგოგთან ზელა საქარის მე-19, 31-ე და

32-ე ბიბლიოთეკა-ფილიალებში; ამ დღეს სოფელ ზელა საქარის გამგებელმა ირაკლი ფერაძემ მე-19 ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ასილარი წიგნების შესაძენად. სა-



პატარა მკითხველები სოფ. დიდშის საბავშვო ბიბლიოთეკაში.

ინტერესო იყო ცალკეული ღონისძიებები პირველი მაისის, მეორე სვირის, ილემის, ქვედა საქარის, შორაპნის, ალავერდისა და შრომის ბიბლიოთეკა-ფილიალებში, ყველა ამ ღონისძიებაზე შეიმჩნეოდა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობა და საკრებულოების სურვილი – მხარი დაეჭირათ ბიბლიოთეკების შენარჩუნებისა და მუშაობის ღონის ამბალებისათვის.

**ხაშურის** საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი რუსუდან ენჯიბაძე) გრადიციულად მაღალ დონეზე გარდება ღონისძიებები, სადაც იგრძნობა მოსწავლეთა აქტიურობა, მკითხველთა სხვადასხვა ჯგუფების დაინტერესება წიგნით, ბიბლიოთეკით. მათთვის კარგადაა ცნობილი ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბოლო 3-4 წლის მანძილზე თვალშისაცემი სიახლეები. ბიბლიოთეკაში დაიდგა კომპიუტერები, გაიხსნა ამერიკული კუთხე; ყოველივე ეს სასიკეთოდ მოქმედებს მთელი ქსელის

ბიბლიოთეკებზე; სოფელ ბრილის მკვიდრის კახაბერ ღონდაძის ინიციატივით საინტერესო ღონისძიება ჩატარდა სოფლის ბიბლიოთეკაში (გამგე ლია დევაძე); ღონისძიება მთლიანად ბავშვებმა მოამზადეს, ისინი დიდი ენთუზიამით მოვიდნენ ბიბლიოთეკაში, დახვდნენ სტუმრებს, მათ შორის სტუმრებს მემობელი სოფლებიდანაც. კვირეული გახსნა 5 წლის რუსუდან იმერლიშვილმა, რომელმაც წაიკითხა ლექსი „ჩვენც უკვე მკითხველები ვართ“. ღონისძიება მართლაც პატარებმა გააღებინა.


**ბორჯომის** ცე-

ნტრალურ ბიბლიოთეკაში (ღირექტორი ლეილა ჩაჩუა) ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე „თორი-ბორჯომის ისტორიული მხარე“, რომელშიც მონაწილეობდნენ გო-

რის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბორჯომის ფილიალის სტუდენტები. საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა კითხვა-პასუხის საღამო „მე რომ ჟურნალისტი ვიყო“. ღონისძიებაში მონაწილეობდა გამეტ „ბორჯომის“ რედაქტორი ვ. ლომიძე. 28 აპრილს ბორჯომის საბიბლიოთეკო აქტივს შეხვდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ღირექტორის მოადგილე ლევან თაქთაქიშვილი. შინაარსიანი ღონისძიებებით აღინიშნა კვირეული ქარელის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი თინა გოგოლაძე). წიგნის საერთაშორისო და ბიბლიოთეკარის დღეს მიუძღვნა 27 აპრილს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებული მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც ფრიად წარმომადგენლობითი იყო, საუბარი შეხებოდა ქარელის კულტურული ცხოვრების



აქტიურ საკითხებს. ღონისძიებას ესწრებოდა ქარელის გამგებელი მალხაზ კორკოცაძე. რაიონის ბიბლიოთეკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრების 900 წლისთვის ღონისძიებებში. შიომღვიმელის შემოქმედებას მიეძღვნა ქარელის საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ №1, 2 და მე-3 სკოლის მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქარელის გამგეობის წევრები, საკრებულოთა წარმომადგენლები, ადგილობრივი მცხოვრებლები.



გალაგნის სასოფლო ბიბლიოთეკაში კვირეულის ღონისძიებაზე.

საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარების იდეამ თანდათანობით შეაღწია საქართველოს მთიან რეგიონებში, თუმცა უმეტეს მათგან ინფორმაციების მიღება გაძნელებულია. ამ მხრივ შეღარებით ადვილად მოხერხდა ინფორმაციის მიღება **ღუშეთის** რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანებიდან (დირექტორი ლეილა ახალაშვილი). ეს სისგემა აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალთან, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან. კვირეულის ღონისძიებები წინასწარ იყო დაგეგმილი. ინფორმირებული იყო ყველა ფილიალი. კვირეული გაიხსნა ქვეშეთის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. არგანაშვილი). ამ დღეს ბიბლიოთეკამ და ადგილობრივმა კლუბმა მოაწყვეს ერთობლივი ღონისძიება „ენაი შემკული და კურთხეული“. ღონისძიებაში ერთიმეორეს სცვლიდა სიმღერა, ცეკვა, ლექსების კითხვა. მრავლად დაესწრო მკითხველი მჭადიჯვრის (გამგე ვ. ლუღუშაური) და ლამოვანის (გამგე ი. ჩერცყოშვილი) ბიბლიოთეკების ერთობლივ ღონისძიებას – „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული“. ამ ღონისძიებას უძღვებოდა მკითხველი ს. ფარეხელაშვილი.

აგარეს ციხისძირის (გამგე ლ. რაზმაძე), ცივწყაროს (გამგე უ. გულაშვილი) და ანანურის კლუბისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა. კვირეულს შინაარსიანი ღონისძიებებით გამოეხმაურნენ ბაზალეთის (გამგე ე. წიკლაური), მალაროსკარის (გამგე ბ. ბაღურაშვილი), ჩარგლის (გამგე ა. ხუცურაული) და გომეწრის (გამგე ნ. ხადილაშვილი) ბიბლიოთეკა-ფილიალები. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესოდ ისაუბრეს მალაროსკარის საშუალო სკოლის პედაგოგებმა ივ. ქართველიშვილმა და ვაჟა-ფშაველას შვილთაშვილმა, სოფ. ჩარგლის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ალ. რაზიკაშვილმა. რაიონის ბიბლიოთეკების მიერ ორგანიზებული ღონისძიებები შეჯამდა სოფ. მალაროსკარის ბიბლიოთეკის ღონისძიებაზე „ჩვენი ვაჟა“.

რაჭის რეგიონიდან კვირეულის ჩატარების იდეას თავიდანვე აქტიურად გამოეხმაურა **ამბროლაურის** საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი ციური ჯაფარიძე). ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება მიეძღვნა გურამ ფანჯიკიძის შემოქმედებას, კულტურის განყოფილების გამგემ გ; ვაჩაძემ საინტერესოდ ისაუბრა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ ეპიზოდებზე. მოგონებებით გამოვიდნენ: იური კობახიძე, ჯემალ გონგაძე, ამირან გოგიჩაიშვილი და სხვები. საბავშვო ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოუწყვეს კუ-

პატარებისათვის „მღაპრების საღამო“ ჩა-

ლგურის სახლის მხაგვარ-დეკორაციორს გურფა ღონაძეს, რომელმაც პაგარები გაახარა საკუთარი ლექსების კითხვით. კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები ჩაგარდა აგრეთვე ხიდიკარის (გამგე ნ. ნაგმელაძე), ჭელიაღლეს (გამგე ნ. ქევეანაშვილი) და ხიმშის (გამგე ნ. სხირგლაძე) სასოფლო ბიბლიოთეკებში.

კვირეულის პროგრამით თითქმის ყველა ბიბლიოთეკა-ფილიალმა გამართა ამა თუ იმ სახის ღონისძიება **მცხეთის** საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი თინა გარსევანიშვილი); ცენგრაღურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ქალაქის ყოფილი მერის როღამ ღვაღიღვიღის წიგნის „მეგამორფოღული მარათონის“ პრეზენტაცია.

30 აპრიღს ასევე ცენგრაღურ ბიბლიოთეკაში მკითხვეღები შეხვდნენ ახაღგაზრღა შემოქმეღებს რაგი ამაღღღობელსა და ლაშა ბუღაძეს; გაიმართა გუღახღიღი საუბარი წიგნის, ბიბლიოთეკის, განათღებისა და აღზრღის აქტუაღურ საკითხებზე. მაყვაღა მრევეღიღვიღის ღაბაღებიღან 95-ე წღისთავისაღმი ღონისძიება მოეწყო მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკაში. ახაღგაზრღული ბიბლიოთეკა შეხვღა ანა კაღანღაძეს. ხაღხმრავღობა იყო ღონისძიებებში, რომღებიც გაიმართა ნაგახგრის, მისაქციღლის, ძვეღი ქანღის, გაღაენის, საგურამოსა

და არაშენღის ბიბლიოთეკა-ფიღიაღებში. პოეზიის ზეღმით აღინიშნა ღონისძიებები, რომღებიც ჩაგარღა ღიღმის საბავშვო, ქევემონიზბისის, ძაღისის, ერეღის, ქსოვრისისა და ვარღისუზნის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფიღიაღებში.

როგორც აღვნიშნავღით, წღევეანღელი კვირეული გამოიღრჩეღა მასშტაბურობით, ღონისძიებათა ნაიღფეროვნებით, მკითხვეღთა თანაღღომითა და აქტივობით. წარმოღგენიღი მასაღა სრულყოფიღად ვერ ასახავს ქევეყნის მასშტაბით ჩაგარებულ ამ ღიღ ფორუმს ბიბლიოთეკებისა; ნიშანღობღიღია, რომ კვირეულმა მოიცვა ყვეღა გიღისა და უწყების ბიბლიოთეკა, მკითხვეღი საზოგაღოების სხვაღასხვა ჯგუღბი; ამ ღონისძიებებს უთუოღ აღამაზებღა ბიბლიოთეკართა შემართება, ენთუზიამში, პროფესიონალიზმი და რწმენა სვაღიღნელი ღღისა; ისიც აღსანიშნავია, რომ წღელს კვირეულის ორგანიზებაში ასოციაციებს გვერღით დაუღგნენ საქართვეღოს კულტურისა და სპორტის სამინიღტრო, განათღებისა და კულტურის დამოუკიღებელი პროფკავშირები (თავმჯღღმარე ციცო ჯაფარიღე) და პეღაგოგთა საზოგაღობა (თავმჯღღმარის მოაღგიღე აზა ბუაძე).

**მიმოხიღვა მოამზაღა  
გურამ თაყნიაშვიღმა**

## კორესპონდენტციები

ნანა კუპრაშვილი

### „სიყვარული გზად და ხილად!“

**ს**აბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის უნივერსიღტეღის ბიბლიოთეკის თანამშრომღებმა საქვეღმოქმეღო აქცია ჩაბაგარეს, რომელიც მიზნად ისახავღა ღაბა კოჯორის სპორტული სკოღა-

ინტერნაგის აღსაზრღელთა ღახმარებას.

აქციის ორგანიზატორები – ბიბლიოთეკის ღირექცია და ყვეღა თანამშრომელი ღიღი გუღისყურით მოეკიღნენ ამ მნიშვნეღოვან ღონისძიების ჩაგარების საქმეს, შეძღებისღაგვარად, საკუთარი მცირე ფინანსური თუ მაგერი-



ალური სახსრები გაიღეს ინგერნაგის ბავშვებისათვის, ეს იყო დიდი სიყვარულის გამოხატულება, სულიერი სამზრდოს მიწოდება მოყვასისათვის. იქ მიტანილი ტკბილეული, ტანსაცმელი, სასწავლო აქსესუარები თუ წიგნები – მხოლოდ ნაწილია იმ ზრუნვისა, რაც უშურველად გამოხატეს აღამიანებმა მოყვასის მიმართ. ყველამ თავისი სულიერების დიდი ნაწილი ჩაღო ამ აქტში.

ფრიად მნიშვნელოვანი იყო აღსამზრდელებისათვის მათთვის შესაფერისი წიგნების კომპლექტების გადაცემა. ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა აქ პაგარა ბიბლიოთეკასაც, რომე-

სახეებზე იყო გამოხატული, ის, რაც თვალებიდან აირეკლებოდა.

ბავშვებთან ჩვენი შეხვედრა ნათლად ამქცავენებდა იმ პირობებსა და მდგომარეობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან აქ. ეტყობა, აქაური პედაგოგები და ხელმძღვანელობა თავისი საქმის პროფესიონალები არიან. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თითქოს უბრალო, მაგრამ რთულ ურთიერთობას ძალიან კარგად და სწორად მართავს ინგერნაგის დირექტორი ბ-ნ როლანდ აბულაძე. იგი უშურველად თესავს სიკეთეს და თითოეული მარცვლიდან ათასობით კეთილი ნერგი აღმოცენდება ხოლმე. მაღლის




ლიც შემდგომში, იმედია, შემოწირული წიგნებით შეივსება და თავის საქმიანობას კიდევ უფრო გააფართოვებს.

ძნელია გადმოსცე ის ემოციები, რომელიც კოჯორში ასვლისას დაგვეუფლა. ეს იყო ისეთი შინაგანი მდგომარეობა, როდესაც დრო კარგავს თავის ამრს, ყველაფერი ერთ საგანზე ფოკუსირდება, მხოლოდ აწმყოთი სუნთქავ და სხვა არაფერზე ფიქრობ.

დავიწყებას არ მიეცემა არასოდეს ის აღფრთოვანება, ის სიხარული, რომელიც ბავშვთა

თესვა ხომ ჩვენი ალათ-წესია; კარგად არის ნათქვამი: „იმას მოიმკი, რასაც დათესავო“. არც ისაა ჩვენთვის უცხო, რასაც გაცემ – ის ერთიორად დაგიბრუნდებაო. კეთილს სიკეთე მოსდევს და მას ჟანგი არასოდეს მოელება. მართალ კაცს ბედნიერება ზურგს არ შეაქცევს, როგორც მერცხალი, ის მის ბინაზე იკეთებს ბუდეს, გულბოროტის სახლ-კარს უსიგყვოდ განერიდება.

ამ კონტექსტში არ შემიძლია არ მოვიხსენიო აგრეთვე ქალბატონი ნინო ლაგვილაძე. დაუფა-



სებელია მისი შრომაც, როგორც ბევრი პედაგოგისა. აქ აღმზრდელები ვალდებული არიან დედისეული სიტბო აგრძნობინონ ბავშვებს, მათ ხომ დიდი წვლილი მიუძღვით პაგარების

ღირსეულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში. და ეს არ არის ადვილი. ამიგომაც ამბობდა დიდი ვაჟა: „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადო“.

ვიცი, რომ მათ გარდა, სხვებიც არიან, რომლებიც, ასე ვთქვათ, კადრს მიღმა რჩებიან ხოლმე, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითადაა ასე. არ იკარგება მათი ღვაწლი. სიკეთისათვის ბრუნვა არასოდეს არ რჩება შეუცნობელი, „სახნოელ საკმეველი თავის გზას არ კარგავს!“

მინდა მაღლობა ვუთხრა ყველას, ვინც აქ მოღვაწეობს, ყველას, ვინც სიკეთით არის აღვსილი და ბავშვებისადმი განუზომელი ძალის სიყვარულით უფეთქავს გული.

## ალექსანდრე პუშკინი – 205

დიდი რუსი მწერლის, მსოფლიო პოეზიის გიგანტის – ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის დაბადებიდან 205 წლისთავი საქართველოს არაერთ სკოლასა და ბიბლიოთეკაში აღინიშნა. გაიმართა გამოფენები, საიუბილეო საღამოები, წარმოდგენილ იქნა ინსცენირებები, ჩატარდა მრავალი სახის ღონისძიება. ჩვენს ჟურნალს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა თბილისის 146-ე სკოლის კომპლექსურ ღონისძიებას, რომელიც სამგორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „თეთრ დარბაზში“ ჩატარდა და დიდი რაოდენობით მოიზიდა საზოგადოება. ამ ღონისძიების შესახებ მოკლედ არის გადმოცემული წინამდებარე სტატიაში.



ნათელა მაჭავარიანი  
პედაგოგი

### „მუხენიარია კავშირი მეგობართა შორის“

#### ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია

ოცდახუთი მაისია. გაზაფხულის ამ ლამაზ დღეს მზის სხივების სიტბო და სიყვარული გამოჰყოლია.

სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „თეთრი დარბაზი“ კიდევე ერთხელ აივსო ბავშვების ღიმილითა და ყრიაშულით, ესენი 146-ე საშუალო სკოლის გოგონები და ბიჭუნები არიან.

დღეს ისინი ლიტერატურული სალონის მა-

სპინძლები არიან, დიდი რუსი პოეტის ა.ს. პუშკინის იუბილეს – მისი დაბადებმდან 205 წლისთავს აღნიშნავენ.

საგანგებოდ მორთულ დარბაზში უჩვეულოდ მოკაზმული მოსწავლეები და პედაგოგები ლამაზ, შინაარსიან ღონისძიებას გვპირდებიან.

აი, შეწყდა ფაციფუცი. დარბაზში მუსიკის საამო მელოდია ქდერს. ლიტერატურული სალონი სამ უდიდეს პოეტს – ა.ს. პუშკინს, ა. ჭავჭავაძეს, ა. მიცკევიჩს „მასპინძლობს“.

სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები

ერთმანეთს ენაცვლებიან და სამოგალოებას სიამეს ჰგვრიან ლამაზი, შინაარსიანი ლექსების წაკითხვით რუსულ, ქართულ და პოლონურ ენებზე.


პაგარებმა მთელი სიყვარულით გააცოცხლეს ა.ს. პუშკინის ბლაპრების გმირები.

ბოშური ცეკვის შემსრულებელმა გოგონებმა ენით უთქმელი აჟიოგაჟი გამოიწვიეს დამსწრეთა შორის. ეფექტურ შთაბეჭდილებას ახდენს პედაგოგების მიერ შესრულებული რუსული და ქართული რომანსები. მოსწავლეთა და პედაგოგთა პასუხისმგებლობას აძლიერებს ისიც, რომ ამ შესანიშნავ სალონს ესწრებიან რუსეთის და პოლონეთის საელჩოების, სლავური სამოგალოების წარმომადგენლები, ქალაქის დახელოვნების ინსტიტუტისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ცენტრის მთავარი სპეციალისტები.

სგუმრები აღგაცებას და აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

გარდა იმისა, რომ ასეთი სახით ჩაგარებული ლიგერატურული საღამო მომავალი თაობის წიგნიერებაზე, განათლებასა და ინტელექტუალობაზე მიუთითებს, ეს ხომ მართლაც მშვენიერი კავშირია მეგობართა შორის, რომელიც სიყვარულითა და სითბოთი გვაყვებს.

და, რაც მთავარია, მონაწილეებმა ერთხელ

«Друзья мои, прекрасен наш союз!»

*Милый друг!*  
146-ая средняя школа г. Тбилиси приглашает Вас  
в Литературный салон на вечер, посвященный  
205-летию со дня рождения А.С. Пушкина,

который состоится 25 мая 2004 г. в 15<sup>00</sup> ч.  
в Доме учащихся молодежи Самгорского района  
по адресу: Варкетильский массив, I квартал

Литературный салон

კიდეც ნათელყვეს მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის თავისუფალი, თანასწორუფლებიანი დამოკიდებულების სიკეთე.

ამ დღეს ერთხელ კიდეც წარმოჩნდა კოლექტივის ერთიანობა.

ბაგებე ღიმილით, ამაღლებული გრძნობითა და ღიმი კმაყოფილებით ვემშვიდობებით ამ ლამაზი სალონის დიასახლისს – ღირექტორის მოადგილეს აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ქალაბგონ ინგა ძამაშვილს.

ქალბატონი ინგა არასოდეს ამბობს – „მე“; თავის თავს ყოველთვის სკოლის ბიბლიოთეკის გამგესთან, ნათელა თეთვაძესთან ერთად ასახელებს. ბიბლიოთეკა მართლაც მაქსიმალურად იყო ჩართული ამ ღონისძიებაში, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ღირექტორის მოადგილე გალინა ქავქარაძე, პედაგოგები: ნანა მეტრეველი, ნათია ხაბეიშვილი, ნინო მაჭარაშვილი, ნათელა ჩინჩალაძე, კარინე მხითარანი და სხვები.

ასეთი იყო ის ერთი დღე 146-ე საშუალო სკოლის ცხოვრებიდან, რომელმაც ულვეი სითბო და სიყვარული გააგანა დამსწრეთ და დარწმუნა, რომ მართლაც, „მშვენიერია კავშირი მეგობართა შორის“.



ლია გოდელაშვილი

გურჯაანის რ-ნის ციბლიოთეკის მეთოდგანყოფილების გამგე

**ზრუნვა სულიერი საზღვრისთვის**

ვაჩნაძიანი ისტორიული სოფელია, მკლავდღიერი მშრომელი მოსახლეობით, მრავალრიცხოვანი ინტელიგენციით, ბარაქიანი ბერებით და ველ-მინდვრებით. აქაურთა სულიერი საგანძური, კულტურისა და განათლების კერები – ეს საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

წინათ სოფელ ვაჩნაძიანში ცხოვრობდნენ თავადი ჯანდიერები და ვაჩნაძეები. ლევან ჯანდიერის კერას არაერთხელ სტუმრობდა ქართული პოემის ბულბული აკ. წერეთელი, რასაც აქაურები სიამაყით იხსენებენ. ლევან ჯანდიერს ჰყავდა ქალიშვილი ეკატერინე, რომელიც პირველი ქართველი აგრონომი ქალი გახდა. მან უმაღლესი განათლება შვეიცარიაში (ლომანაში) მიიღო. ეკატერინე ჯანდიერი ვაჩნაძიანში თურმე სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა – კარგი ლაბორატორია და ბიბლიოთეკა მოუწყვია.

1921 წელს წითელგვარდიელებმა სოფლიდან თავადები გაასახლეს და სოფელს შრომა უწოდეს (ასე ეწოდებოდა მას 90-იან წლებამდე). ეკ. ჯანდიერის ბიბლიოთეკა სოფლის ცენტრში გადმოიგანეს და 1926 წელს სოფლის ბიბლიოთეკად აქციეს. ახლა ბიბლიოთეკაში 9000 ეგზემპლარია დაცული.

90-იან წლებში სოფელ შრომამ დაიბრუნა ძველი სახელი და მას კვლავ ვაჩნაძიანი ეწოდა.

სოფლის საკრებულოში მეორე სოფელი – კახიფარიც შედის. მცირე ექსკურსი ამ სოფლის დაარსების შესახებ მოცემულია გაზეთში „გურჯაანი“ (1997წ. 1-15 თებერვალი). გაზეთში

ვკითხულობთ: „მაზრობის“ პერიოდში (1930-1934 წწ.) თელავში მუშაობდა მესტიის რაიონის სოფელ იფარის მკვიდრი გიორგი პირველი. მან სოფელ იფარში წერილი გაუგზავნა თავის ძმას და ბიძაშვილებს, ჩამოდიოთ, ნახეთ კახეთი, იქნებ ისე მოგეწონოთ, სულაც აქ დასახლდეთო. მართლაც, ჩამოვიდნენ, მოეწონათ; მაშინ გიორგიმ აჩვენა მათ თელავის, ყვარლის და სიღნაღის სოფლები. არჩევანი ვაჩნაძიანის გერიგორიაზე, თავადების – ჯანდიერებისეული საძოვრებისა და გყის შემოგარენზე შეჩერებულა. უყოყმანოდ დაარქვეს ამ ადგილს კახეთის იფარი ანუ კახიფარი. ეს მოხდა 1934 წელს. 1935 წელს კი ჩამოვიდა 12 კომლი. მერე



ლექსუმელებიც მოჰყვნენ და სოფელიც თანდათან იმრდებოდა. დააარსეს პაგარა ბიბლიოთეკაც, რომელიც მალე გაიზარდა და ამჟამად ის სოფლის სულიერების ცენტრია.

მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით საკრებულოში შემავალი ორივე სოფლის ბიბლიოთეკები ერთობლივად მუშაობენ, მუშაობაც უფრო საინტერესო და ნაყოფიერი გახდა, ისინი სისგემაგურად აგარებენ მეგალ საინტერესო ღონისძიებებს.

ამის დასტური იყო საბიბლიოთეკო კვირულში ჩატარებული ერთობლივი ღონისძიება თემაზე: „რად მიყვარს ჩემი სამშობლო“, რო-



მელიც მოეწყო ვაჩნაძიანის ბიბლიოთეკაში. ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფლის საკრებულოს ხემძღვანელები, სკოლის და მუშეუმის თანამშრომლები, მკითხველთა აქტიური ნაწილი და, რაც მთავარია, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ბიბლიოთეკაში აქამდე არ დადიოდა. ამ ღონისძიებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ბიბლიოთეკების და მოსახლეობის დაახლოებისათვის, საბიბლიოთეკო სამოგადოების ერთიანობისათვის. ღონისძიებაზე მოწვეულ იყვნენ მემობელი სოფლის ბიბლიოთეკების მუშაკები. სიტყვებით გამოვიდნენ ვაჩნაძიანის სასოფლო ფილიალის გამგე ნინელი კასრელიშვილი და კახიფარის ბიბლიოთეკის გამგე ლია ბენიძე. დამსწრეთა სულიერი კმაყოფილება აშკარა იყო.

თემას, რომელზედაც ღონისძიება იყო აგებული, ბიბლიოთეკის გამგე შესავალშივე ეხმიანებოდა პოეტის გენიალური სტრიქონით:

„ჯიხვს იალალი ალაღებს,  
არწივს მალალი მთანია,  
რად მიყვარს ჩემი სამშობლო,  
განა ეს საკითხავია?“

ღონისძიებაზე მხატვრული ოსტატობით ლექსებს კითხულობდნენ ნორჩი დეკლამატორები. სამშობლოსადმი ერთგულების, პატივითების თემაზე შექმნილ სიმღერებს ასრულებდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები. წარმოადგენილ

იქნა ლიგერაგურული კომპოზიცია „საქართველო ლამაზო“. ორივე სოფლის ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიგერაგურის თემატური გამოფენები. ეჭვგარეშეა, რომ ამ ღონისძიებით ბიბლიოთეკამ მეგობართა წრე გაზარდა, რაც სამომავლოდაც წაადგება.

მიუხედავად ყველაფრისა, ვაჩნაძიანის და კახიფარის ბიბლიოთეკებსაც სხვების მსგავსად, აქვთ თავიანთი პრობლემები, რაც გამოიწვია ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა პროცესებმა. ეს უპირველესად იმით გამოიხატება, რომ ბიბლიოთეკები ვერ კომპლექტდება ახალი ლიგერაგურით, რაც იწვევს მკითხველთა უკმაყოფილებას. პერიოდული გამოცემების უქონლობა მნიშვნელოვნად აფერხებს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას. საბიბლიოთეკო კვირეულში ჩატარებულ ღონისძიებაზე ამ პრობლემის აღმოფხვრის გზებზედაც იყო საუბარი.

ღონისძიებაზე მიმოხილვით ხასიათს აგარებდა ჩემი გამოსვლა, რომელიც შეეხებოდა საქართველოში და, კერძოდ, გურჯაანში მიმდინარე საბიბლიოთეკო კვირეულს, მის რიგმს, ფუნქციას და დანიშნულებას.

საბიბლიოთეკო კვირეული ვაჩნაძიანისა და კახიფარის ბიბლიოთეკებში ლამაზად ჩატარდა. ვფიქრობ, იგი მომავლისათვის უფრო დაიხვეწება, კიდევ უფრო მეტ შინაარსს შეიძენს და ერთგვარად განამტკიცებს ბიბლიოთეკების ურთიერთობას სამოგადოებასთან.

მაისი, 2004 წელი



რომა გოგიტიძე

თბილისის 164-ე სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

## პატრიოტული უნარით

**დ**იდი ზეიმი იყო 30 აპრილს თბილისის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის 164-ე საშუალო სკოლაში (ღირე-

ქტორი დემურ ბერია). საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვას მიეძღვნა ორიგინალური სასკოლო ღონისძიება – ლიტერატურული კომპოზიციის „ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო!“ როგორც ცნობილია, ამ სკოლაში აქტიურად მოღვაწეობს ბიბლიოთეკა (გამგე რ. გოგიტიძე) და მთელი პედაგოგიური კოლექტივი მოსწავლეთა კულტურულ-ესთეტიკური აღზრდისა და ახალგაზრდობაში წიგნიერი

სულისკვეთების დასახერგად. ვფიქრობთ, პირველად საქართველოში აქ გამოიცა სასკოლო ჟურნალი „გზა გაძრისაკენ“, რომლის 5 ნომერი უკვე გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. აღსანიშნავია, რომ სკოლის ებოში სკოლის ხელმძღვანელთა ინიციატივითა და მთელი კოლექტივის ხელშეწყობით პატარა ეკლესია აშენდა, რაც ხელს უწყობს ჩვენი ახალგაზრდობის მართლმადიდებლური სული-სკვეთებით აღზრდას. საერთოდ, მთელი კოლექტივი მომართულია იმისათვის, რომ ბავშვებს სამშობლოს მთლიანობის, ერთიანობის იდეა ჩაუნერგონ და პატრიოტული გრძნობები გაუღრმანონ. სწორედ ამის დადასტურება იყო ის ღონისძიება, რომელიც 30 აპრილს გაიმართა

დღევანდით: „ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო!“

ღონისძიების იდეის ავტორები იყვნენ სკოლის ბიბლიოთეკის გამგე რ. გოგიტიძე და ბიბლიოთეკარი ციური ქინქლაძე, ხოლო კომპოზიციის შექმნა, მომზადება და ჩატარება იგვირთეს მასწავლებლებმა ციცი მოსულიშვილმა (ღირექტორის მოადგილე) და ნინო კველიშვილმა.

კომპოზიციის მასალად შერჩეულ იქნა ქართველ შემოქმედთა პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღერებული, სამშობლოს გვირგვინით გულაძრული, ცრემლით, რწმენითა და იმედით გაჯერებული, მამულის შორეული თუ ახლო წარსულის ამსახველი ლექსები.

კომპოზიციის იდეაში ნათლად ჩანდა სურვილი, ნაწილ-ნაწილ დაყოფილი, დანაწევრებული საქართველოს გაერთიანებისა, წაგლეჯილი მიწების დაბრუნებისა. ამ ღონისძიებამ ახალგაზრდობაში, მომავალ თაობაში ერთხელ



კვლავ გამოაცოცხლა პაგრიოგული გრძნობები, ნათლად დაანახა მსმენელებს, რაოდენ დიდი ძალა აქვს საზოგადოების დარაზმვის საქმეში მხაგრულ შემოქმედებას, ცოდნას, განათლებას, საერთოდ წიგნსა და წიგნიერებას.


ერთი ერთმანეთს ცვლიდნენ კომპოზიციაში მონაწილე მოსწავლეები, ისმოდა აღფრთოვანებული სიგყვები, გამოითქვა მაღლიერების გამომხატველი აზრები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მშობლები, პედაგოგები და მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ: განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ცისანა ელბაქიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდისტი თეა იოსავა, მასწავლებელთა დახლოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი ნანა კოჭლამაზაშვილი, ქურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ლორია.



ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრეთა შორის და ხალისი შემაგა ჩვენს ცხოვრებას.

ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრეთა შორის და ხალისი შემაგა ჩვენს ცხოვრებას.



ნათელა ლობჯანიძე  
რუსთავის №1 საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე

## ჩვენი ბიბლიოთეკის დღევანდელი დღე



ი. გოგებაშვილის სახელი დაერქვა პირველ საბავშვო კულტურის კერას ჩვენს ქალაქში, რომელიც 1951 წელს გაიხსნა. 2001 წელს მისი იუბილე ჩაგარდა.

ბიბლიოთეკის ვესტიბულში იხილავთ ყველა ქართველისათვის სათაყვანებელი ადამიანის, საბავშვო ლიგერატურის კლასიკოსის, „დედა ენის“ შემქმნელის ბიუსტს, რომელიც აქ შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს.

აქვე ბიბლიოთეკის მუშაობის ამსახველი მაგანაა მოთავსებული და ის ჯილდოებია გამოფენილი, რომლებიც ბიბლიოთეკის თანამშრომლებს აქვს მიღებული თავიანთი მუშაობის პერიოდში. აქაა ყოფილი საკავშირო კულტურის მინისტრის სიგელი, I და II ხარისხის დიპლომები, სიგელები, პრეზიდენტის მაღლობა ბი-

ბლიოთეკის ხელმძღვანელისადმი და სხვ.

იცვლებოდა დრო, იცვლებოდნენ თანამშრომლები, იცვლებოდა მუშაობის ფორმები და მეთოდები, ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებაზე გათვლილი. ამას ბიბლიოთეკაში თუნდაც ერთი დღის სტუმრად შემოსული ადამიანი, ბავშვი თუ მოზარდიც კი გრძნობდა. ბიბლიოთეკის წარმატების დასტურია შთაბეჭდილებების წიგნში თუ მაგანაში ჩაწერილი სტრიქონები: „მისარია, რომ ჩვენს ქალაქს ასეთი ლამაზი კულტურის კერა აქვს, რომ ჩვენს მომავალ თაობას შეუძლია გაეცნოს მეცნიერების, ლიგერატურის, ხელოვნების და სხვა უშესანიშნავეს წარმომადგენლებს, შემოქმედების ნიმუშებს. ჩვენს დროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალი თაობის სულიერ აღზრდას და თქვენ, ამ დიდ საქმეს ერთგულად ემსახურებით. ჩვენს ბავშვებს არ მოჰკლებოდეს თქვენს ბიბლიოთეკაში წაკითხული საბავშვო წიგნე-

ბით სიამოვნება“, – წერს მე-16 სკოლის დაწყებული კლასის პედაგოგი რ. მურჯიკნელი.

ამ რეალობის ფონზე ქართველ მოზარდებში ქართული სულის საიმედო, თბილ და კარგ ნაშენებ ბუდედ იკვეთება ჩვენი ბიბლიოთეკა, სადაც იმართება საიუბილეო საღამოები, კონკურსები, ქუჩის დღესასწაულები, ვიქტორინები და ბეპირი ჟურნალები, ნაგვრის ხე და დისკუტები. მოზარდები ისმენენ ლამაზ ქართულ სიგყვას და სიმღერას, ნახულობენ ცეკვებს, პაგარები სიხარულით მოედებიან ხოლმე ბიბლიოთეკის დარბაზს. აქ ისინი ესწრებიან ქართველი მწერლების საიუბილეო საღამოებს, იხილავენ მწერალთა შემოქმედებას, სწავლობენ მათ ბიოგრაფიებს; ამავე დროს მკითხველები ეჩვევიან ხალხში გამოსვლას, მსჯელობას, დისკუსირებას. ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე თვალში გხვდებათ



გამოფენები: „ჩვენი კალენდარი“, „თქვენი სახელმძღვანელოების კვალდაკვალ“, „იუბილარი მწერლები“, „საუკუნეთა გადაძახილი – ქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისათვის“, „აი, ქალაქი მარადიული“, „რომელიც რუსთავ ქალაქობას მიეძღვნა“, „ყველა ჩვენი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“, „ლექსო, ნუ დაიკარგები“ და სხვ. დიდი გამოძახილი ჰპოვა გიორგი ლეონიძის საუკუნოვანი იუბილისადმი მიძღვნილმა საღამომ, რომელზედაც ჩაგარდა ბეპირი ჟურნალი და დაიდგა „ნაგვრის ხე“, რომელზეც მოზარდებმა თავიანთი სურვილები „შეაბეს“. განასახიერეს მისი პერსონაჟები „ფუფალა“, „ციციკორე“, „ჩორეხი“ და სხვა.

ყოველი ღონისძიების ჩატარებისას ბიბლიოთეკას შემოკრებილი ჰყავს მიკრო-რაიონის

სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომლები და ოთხი სხვა საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაკები: ბიბლიოთეკა „დელა“ (გამგე ქ. მელიქიძე), ბიბლიოთეკა „ნაკადული“ (გამგე ა. კოხტაშვილი), ბიბლიოთეკა „ბუნების კარი“ (გამგე დ. აბრამიშვილი), ბიბლიოთეკა „ჯეჯილი“ (გამგე ნ. ნალირაძე). უმეტესად სწორედ მათთან ერთად ვატარებთ ყველა ღონისძიებას.

ასე იყო ქუჩის დღესასწაულზე, რომლის სცენარიც ამ ბიბლიოთეკაში დაიწერა. ასე იყო წიგნისა და ბიბლიოთეკის კვირეულებზე, ბავშვთა შემოქმედებით კონკურსებზე „ლექსო, ნუ დაიკარგები“, რომლისთვისაც შემოქმედი ბავშვები ბიბლიოთეკებმა გამოავლინეს. მთელი საბიბლიოთეკო გაერთიანების, კულტურის განყოფილების, მერიის, საკრებულოს, კულტურის სამინისტროს

მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით აღინიშნა ი. გოგებაშვილის სახ. №1 საბავშვო ბიბლიოთეკის დაარსებიდან 50 წელი. ბიბლიოთეკის ღონისძიებას ქალაქის კულტურული სამოგადოების დიდი ნაწილი ესწრებოდა. იყვნენ პედაგოგები, კულტურისა და განათლების მუშაკები, ცნობილი მოღვაწეები, მათ აღფრთოვანება გამოხატეს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მიერ გაწეული მუშაობის გამო.

გვინდა გამრავლდეს საბავშვო ბიბლიოთეკები საქართველოში, მომავალ თაობებს მამულის, ენისა და სარწმუნოების სიყვარულს რომ ასწავლიან, – ამბობს პედაგოგი ლეილა ჯანელიძე და ბავშვებს სიყვარულით წარუდგენს ბებიებსა და ბაბუებს, რომლებიც ქართული სულით იზრდებოდნენ; სწორედ ქართული სულით, ქართული ერთგულებით და ქართული



სიგყვითაა გაქენთილი ახალი სცენარი, რომელიც ბიბლიოთეკამ მოამზადა ბებებთან და ბაბუებთან შესახვედრად.

„ჩემი მარჯვენა თვალი ხარ,  
გენაცვალოს ბებია,  
მარცხენა თვალი ვინ არის,  
ვერაღინ გამაგებია“.

ასე იწყება ეს სცენარი. ჩვენი ბიბლიოთეკა მრავალი სცენარისა და მეთოდური წერილის ავტორია, რომლითაც მიკრო-რაიონების სკოლები და ბავა-ბალები სარგებლობენ.

სცენარით „ღღე პირველი და ღღე უკანასკნელი“ ჩაგარდა საზემო საღამო, რომელიც მოზარდების პირველ კლასში მისვლასა და მე-11 კლასის ბოლო გაკვეთილს მიეძღვნა.

საბავშვო ბიბლიოთეკა ახორციელებს სხვადასხვა აღმზრდლობით ფუნქციებს მოზარდის სულიერი აღზრდისათვის. ამ ბიბლიოთეკაში დაუმოგავად მოღვაწეობენ ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლები: ქეთევან მამულაშვილი, ლ. ბეჟანიშვილი და ლ. გყეშელაშვილი.

მზალაა ბეპირი ჟურნალი „ბავშვის უფლება“, რომელიც ბავშვთა უფლებების კონვენციის გამოცემასა და მის პრემენგაციას მიეძღვნება.

ბიბლიოთეკამ უნდა დაიცვას და იცავს კიდეც მოზარდის უფლებას, რათა ყოველი წიგნი, ახალია იგი თუ ძველი, ბავშვებისათვის მისაწვდომი იყოს.

ყოველივე ამასთან საჭიროდ მიმაჩნია, ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილდეს მთელ საბიბლიოთეკო – ბიბლიოგრაფიულ მუშაობაზე, ინფორმაციაზე; ბავშვებისა თუ მოზარდებისათვის, იქნებიან ისინი პედაგოგები თუ მშობლები, შეიქმნას ინფორმაციით მათი უზრუნველყოფის სრულყოფილი პირობები;

სისტემატურად გარდებოდეს ანკეტიური კვლევა, რაც საშუალებას მოგვცემს ბიბლიოთეკამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინვალიდ, მიუსაფარ, სოციალურად დაუცველ ბავშვების მომსახურებას.

ბიბლიოთეკა შეძლებისდაგვარად ცდილობს შემოიგანოს ბიბლიოთეკაში ახალი წიგნები და ჟურნალები.

ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლები ღღე და ღღე ფიქრობენ, თუ როგორ მოახერხონ ბიბლიოთეკის ფონდების ახალი მასით შევსება, როგორ მიანიჭონ მკითხველებს ესთეტიკური სიამოვნება. ცდილობენ გაზარდონ შემოწირულობები და ამისათვის ოჯახშიც კი დადიან. საბიბლიოთეკო კვირეულმა ბევრი კარგი რამ დაგვანახა, თუმცა ისიც დავინახეთ, რა ნაკლი გვაქვს და საითკენ უნდა წარვმართოთ ჩვენი ძალისხმევა.

ნელი ჯარიშვილი  
თსგ მეთოდისტი

## იოსებ ბრიშაშვილი – დაუპინჯარი და გაუსუნარი

საბიბლიოთეკო კვირეულში თსგ ბიბლიოთეკაში მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩაგარდა. გამორჩეულად შეიძლება აღინიშნოს ჩუღურეთის რაიონის ბიბლიოთეკების მიერ ერთობლივად ჩატარებული ი. გრიშაშვილის პოემის საღამო – „თბილისის იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“,

რომელიც მიეძღვნა პოეტის დაბადებიდან 115-ე წლისთავს. საღამო გახსნა თსგ ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე ბიბლიოთეკის გამგემ მაცვალა თვარაძემ. პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო თსგ მეთოდისტი ნელი ჯარიშვილი. პოეტის ცხოვრების ცალკეულ ეტაპზე ისა-

უბრეს ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა: ცირა გამყრელიძემ, ნამი კაპაგაძემ, ნინო კალანდარიშვილმა, თამილა ბერიძემ, ნათელა ბოგოველმა, ლილი გორდელაძემ და სხვებმა.

პოეტის ლექსები წაიკითხეს კულტურის და ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებმა: მარიამ მჭედლიძემ, ანდრო სარიშვილმა, დავით გონიგაშვილმა, აგრეთვე 31-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა თეონა ორჯონიკიძემ და შორენა მიქელაძემ.

პოემების საღამო დაამშვენეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მხაგვრული კითხვის წრის წევრებმა სალომე მწითურმა და ლექსო ღორეულმა. მხაგვრული კითხვის დიდოსტაგმა მსახიობმა ქ-მა ელდინო საღარაძემ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ნინო ჩხეიძემ გაიხსენა ი. გრიშაშვილის დაბადებიდან მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო, როდესაც ოპერის და ბალეტის თეატრში მან პოეტს ძმის – ლილი მსახიობის უშანგი ჩხეიძის მიერ გაგზავნილი ლექსი გადასცა, რომელიც ლილი პოეტის იუბილეს ეძღვნებოდა. ამ ლექსმა დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია. როგორც ქ-მა ნინომ აღნიშნა, ძმის დავალებით, მას ლექსი ისე უნდა გადაეცა ი. გრიშაშვილისთვის, რომ ამ საღამოს არ უნდა წაეკითხათ. მაგრამ ქ-მა ნინომ ყოველგვარი კომენტარის გარეშე გადასცა ლექსი პოეტს. დიდმა მსახიობმა უშანგი ჩხეიძემ თავისი ლექსი გელეეკრანიდან მოისმინა და განაწყენებული დახვდა დას, რომელმაც თხოვნა არ შეუსრულა.

ქ-მა ნინომ ი. გრიშაშვილისადმი ძმის მიერ მიძღვნილი ლექსი საღამოს დამსწრეებს წაუკითხა და გვთხოვა, გადაგვეცა ის ქურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკისთვის“ დასაბეჭდად, რასაც დღეს სიამოვნებით ვასრულებთ.

საღამოს დასასრულს თავიანთი შემოქმედებით მკითხველი საზოგადოების წინაშე წარსდგნენ 23-ე ბიბლიოთეკაში გამოზრდილი და დავაჟაკცებული მკითხველები ლევან ლორია

და სოსო კაპანაძე.

უალრესად ღილი მადლიერების გრძნობით გოვებლენ ჩვენი მკითხველები ბიბლიოთეკას, რომელმაც ესოდენ დიდად სასიამოვნო საღამო მიუძღვნა მათ.

**რედაქციისაგან:** ჩვენი მხრივ ჩვენ მთლიანად ვაქვეყნებთ სახელოვანი მსახიობის – უშანგი ჩხეიძის ლექსს, მიძღვნილს ღილი პოეტის – იოსებ გრიშაშვილისადმი.

## სოსო გრიშაშვილს

(40 წლის მოღვაწეობის გამო)

მე ვუღარ გზვდები და ასე მითხრეს,  
რომ თითქოს თმები გაგთეთრებია,  
ვინ იცის, ალბათ ამ ორმოც წელში  
რამდენი დამე ვითენებია.  
ზშირად გიგონებ და უსათუოდ  
წვერ გაუზარსავს, წიგნებით ხელში,  
როცა გამზირზე ნარინჯისფერი  
ცვივა ფოთლები ოქტომბრის თვეში.  
ხან მაგონდები ბუკინისტებთან,  
ჩაჩერებინარ გაცრეცილ ფურცლებს,  
თითქოს დაემე მტკრიან წიგნებში  
წარსული დროის დაკარგულ სურნელს.  
როგორ მსიბლავდა ბრწეინჯალე ნიჭთან,  
პოეტო, შენი წმინდა სინდისი,  
რომ ასე მტკიცედ გიუვარდა მუღამ  
საქართველო და ძველი თბილისი.  
ჩვენი თაობა წავა, გადავა,  
ეს საუკუნეც გადაიქუხებს,  
შენი ლექსები ოქროს ზარნიშად  
დარჩება ძველი თბილისის ქუჩებს.  
დღესაც ვერ გნახავ, ისევ გიგონებ  
წვერ გაუზარსავს, წიგნებით ხელში,  
ეხლაც ხომ ალბათ ცვივა გამზირზე  
ნარინჯისფერი ფოთლები მსეში.

1944 წელი, ოქტომბერი.

უშანგი ჩხეიძე



მაია ძიძიკაშვილი  
თბილისის 44-ე სკოლის პედაგოგი – ბიბლიოთეკარი

## ჩემი სკოლა

ამოთხილვე წლის წინ დელაქალაქის ერთ-ერთ საინტერესო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დავიწყო მუშაობა. სკოლას საკმაოდ გრძელი სახელი – თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის საბაზისო, ძმები კაკაბაძეების სახელობის 44-ე საშ. სკოლა ჰქვია.

სკოლისათვის ძმები კაკაბაძეების სახელის მიანიჭებას გარკვეული დატვირთვა აქვს: სამი სხვადასხვა სპეციალობის მქონე ძმათა სახელი (სარგისი – ისტორიკოსი, არგემი – ექიმ-ფსიქიატრი, დავითი – მხატვარი) მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა მიმართულებით განავითარონ თავიანთი ნიჭი და უნარი.

რა ხდება ჩვენი საზოგადოებისთვის ახალი და საინტერესო ამ სკოლაში?

სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა (ამჟამად სკოლას ხელმძღვანელობს ღირეჯორის მოვალეობის შემსრულებელი მათემატიკის პედაგოგი ქალბატონი მარინა შანშიაშვილი) მიზნად დაისახა იმ პრობლემების დაძლევა, რომლებსაც მოსწავლე აწყდება სკოლის დამთავრების შემდეგ. როგორც ვიცი, იგი ცხოვრებისათვის მოუმზადებელი, არაპრაქტიკული და ნაკლებად ინფორმირებულია. ხშირად ხვდება ისეთ წინააღმდეგობებს, რომელთა გადალახვა



ძალიან უჭირს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სკოლის გარეშე მუშაობის გეგმები, რომელთა მიხედვითაც მოსწავლეს შეუძლია ნებისმიერი პროფესიის გაცნობა, შეყვარება და დაუფლებაც კი სკოლის კედლებშივე. თითოეულ მოსწავლეს, თავისივე სურვილის მიხედვით, განაწილებული აქვს უფქცია. გვეყვანან ჟურნალისტები, კორესპონდენტები, ფოტო-კორესპონდენტები, კორექტორები, დამკაბადონებლები, მხატვარ-დიზაინერები.

1996 წლიდან გამოდის ბეჭდური გაზეთი „მთაწმინდა“. გვეყავს აგრეთვე ექსკურსიამბლოლი, ქართულ, რუსულ, ბერძნულ, ინგლისურ ენებზე მოლაპარაკე

გიდები, რომლებიც სხვადასხვა ეროვნების სტუმრებს აცნობენ თბილისისა და ჩვენი სკოლის ისტორიას, ჩვენს მიზანმიმართულ რეკონსტრუქციებს. არიან ეკოლოგებიც, ჯანდაცვისა და სანიტარიის მომწესრიგებლები, წესრიგისა და დისციპლინის დამცველები, არქივარიუსი, კურიერი, მემაგიანე, რომელიც აღნუსხავს სკოლის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, ბიბლიოთეკარი და წიგნის მკურნალი თავს დასტრიალებენ წიგნებს. რესტავრატორ-შემკეთებელი შეძლებისდაგვარად მზრუნავს შენობისა და მოსწავლეთა ინვენტარის მოწესრიგებაზე. მოსწავლეთა მზრუნველი ხელი ყველაფერს ეგყობა, 25 წლის წინ გარემონტებული შენობა და დგამ-ავეჯი ჯერ კიდევ კარგად გამოიყურება.

მოსწავლეები ენათმცოდნეობაშიც მუშა-



ობენ, ეძიებენ და იწერენ აწ უკვე ხმარებიდან გამოსულ, მივიწყებულ მშვენიერ ქართულ სიტყვებს და პრესაში აქვეყნებენ, რითაც ხელს უწყობენ დღევანდელი ქართული ლექსიკის გამდიდრებას. ბავშვები ხშირად არიან სკოლის ბიბლიოთეკაში. სამეცნიერო თემებისა და სხვადასხვა მასალების მოძიებისას იძენენ წიგნზე მუშაობის უნარ-ჩვევებს.

ასეთ პირობებში სიამოვნებით დავთანხმდი ღირექციის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, შემეთავსებინა სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობაც. ვხედავ, რომ აქ ბევრი რამ მაქვს სასწავლი და გასაკეთებელი. ვცდილობ დავეუახლოვდე ჩემს უფროს კოლეგებს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელებს. ამ მხრივ ჩემი პირველი ნაბიჯი იქნება დავგეგმო ღონისძიება (სემინარი, კონფერენცია, შეხვედრა), მოვიწვიო ისინი და უფრო ახლოს გავაცნო ჩვენი სკოლა და ჩვენი ბიბლიოთეკა.

პროფესიათა დაუფლების პარალელურად, სკოლაში ხდება მოსწავლეების მიერ სახელმწიფოს მართვის საკითხების შესწავლაც. ამ მიზნით შექმნილია თვითმმართველობის რგოლი – კლუბი „თეთრი კვიცი“. ეს სახელწოდებაც სიმბოლურია. თურმე თეთრი ფერის კვიცი არ იბადება, იგი ზრდის პროცესში იხვეწება და თეთრდება. ჩვენი მოსწავლეებიც ისწავლიან ამა თუ იმ სა-

კითხის ოპერაგულად გადაწყვეტას, ორგანიზაცია-მართვას, გაიბრდებიან, დაიხვეწებიან თეთრი კვიციებით და ჩვენს ქვეყანას, სახელმწიფოს მშენებლობის ნათელ გზაზე გაიყვანენ.

მინდა წინ წამოვწიო ის ფაქტი, რომ ჩვენი საამაყო სკოლის ამ თანამედროვე მოღერნიზაციას სათავე დაუდო აწ განსვენებულმა ღირექტორმა, შესანიშნავმა პიროვნებამ და ორგანიზატორმა გულნარა ჩხეიძემ. მისი ღვაწლის შედეგია, რომ 1999 წელს სკოლამ, პირველმა საქართველოში, მიიღო საკუთარი წესდება, რომელიც 2000 წლის პირველი სექტემბრიდან ამუშავდა. სკოლაში ფუნქციონირებს მზრუნველთა საბჭო. თანამშრომლობს საზოგადოებასთან „ბავშვი და გარემო“ და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. იგი საბაზო სკოლაა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, სადაც მეცხრე-მეთერთმეტე სკოლის კურსდამთავრებულები იღებენ ახალი ბერძნული ენის ცოდნის სერტიფიკატს.

2004 წელს სკოლა გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

გმა, რომელსაც ადგას 44-ე სკოლა, ძალიან მოგვწონს ჩვენ – პედაგოგებს და ჩვენს აღსაზრდელებს.



ბალრი ცხადაძე

## ნიგნოსკოლნოპოზიტ-პოლეოგრაფიული ტერმინები ქართულში: ნიგნი, სანიგნი, ნიგნოსსაპი, მნიგნოპარი, ნიგნადი/ნიგნედი



არმოუდგენელია ქართველი ერი, მწიგნობრობის, წიგნის, წიგნიერების გარეშე. წიგნი ოდითგანვე განუყრელი თანამგზავრი იყო ქართველი კაცისა. წიგნი და მწიგნობრობა ისტორიულად შეიძლება ყველა ქართველს არ სცოდნოდა ბედშიწევნით, მაგრამ, რომ სცოდნია წიგნი, მისი დანიშნულება-აგებულება, ამაზე მიგვანიშნებს დღევანდელი ქართული ენის დიალექტებიც. მაგ., გურულ კილოში წიგნი დღესაც წერილის მნიშვნელობითაც იხმარება. ს. ქლენგს ამავე დიალექტში დაუფიქსირებია გამოთქმა-გერმინი ალბომის წიგნი (ერთგვარი ხელშეკრულების სახის დოკუმენტი სასიძოსა და საცოლეს მხრიდან ქორწინებადის შედგენილი იმის პირობით, რომ არც ერთი მხრიდან არ მოხდებოდა პირის შეშლა (1, 208).

წიგნარა ძროხის (ჭრელი ძროხის) სახელია მთიულეთში(2). წიგნარას თანამედროვე ქართულ ენასა და მის დიალექტებში (იმერული, ქიზიყური, ფშაური) უწოდებენ ასფურცელას, მცოხნავი საქონლის კუჭის მესამე განყოფილებას, რომლის ლორწოვანი გარსიც მრავალკეცია (3); წიგნარა გერმინის წარმოშობის მოგვივაცია ნათელია: „წიგნარა საქონლის კუჭის განყოფილებაა, რომელიც შედგება მრავალი ფურცლისაგან. მისი გასუფთავება ძალიან ძნელია. ხაშად აკეთებენ.“ (4) ასფურცელას/წიგნარას იმერულში მოეპოვება სინონიმები: ცხრაწიგნა, წიგნობელა, წიგნა-წიგნა; ეს იგივეა, რაც ცხრაპაგარძალა (კიდევ ერთი სინონიმი). გემოიმერული ინფორმაგორის თქმით: „რო დაეკალით ხფო, წიგნობელას რეცხვამ მო-

მკლა; საშინელი გასარეცხია. თუ დაქჩა გადაუფურცლავი, შეგარცხვენს...“ „ცხრაპაგარძალა ფენებად არის მიწყობილი, იმაში მოძრაობს საჭმელი, რო იცოხნება საქონელი“ (6). „ცხრაპაგარძალა“ რაჭაშიც გვხვდება. ვ. ბერიძის ახსნით, ცხრაპაგარძალა-წიგნობელა, მრავალწიგნა, ცხოველთა კუჭის თავს ეწოდება მრავლად დაკეცილს (7). გოპოლოგიურად საინტერესოა სლავურ ენათა მონაცემები. მაგ. შდრ. რუს. КНИГА: ТАКЖЕ КНУЖКА „ЧАСТЬ ЖЕЛУДКА ЖВАЧНЫХ“ (8,262). როცა სახელდება მოგივაცია, ამ შემთხვევაშიც სახელდება თვალში საცემია. წიგნობელა, წიგნარა, წიგნა-წიგნა, ცხრაწიგნა, ცხრაპაგარძალა, ასფურცელა – საქონლის შიგთავსის ერთი ნაწილია, როგორც წიგნი, ისე უნდა გადაფურცლო, მისი გარეცხვა რომ შეძლო; ასეა იმერულში, კერძოდ, ე.წ. შუაიმერულში. პ. გაჩეჩილაძეს დადასტურებული აქვს წიგნა, გადაწიგნა ლექსემებიც ასეთი მნიშვნელობით: ვაზის რქის მიწით ისე დაფარვა, რომ თავი ამოშვერილი ჰქონდეს, რათა ცალკე მცენარედ გახდეს (9,34). სახელდება აქაც ანალოგიური: ვაზის რქის/ლერწის გადანერგვა-გადარგვა წიგნის ფურცელასთანაა ასოცირებული.

წიგნი (მით უმეტეს საეკლესიო-რელიგიური დანიშნულების) ჩვენს წინაპრებს იმთავითვე ძვირფას ნივთად ჰქონდათ შერაცხილი. მაგ., შუა საუკუნეთა ნოველებში, კერძოდ, ქართული პაგერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში (XI ს. ხელნაწერი) წიგნის შესახებ ასეთ შემთხვევას წავაწყდით:

„ბერსა ვისმე ჰყვა მოწაფე კეთილი და უნდა გამოცდაჲ მისი, და ჰრქუა მას: წარვედ, შეილო, და აღილე წიგნი იგი, რომელსა ვიკითხავ ეკლესიასა და შთააგონე იგი ფურნესა მას შინა მგზნებარესა. ხოლო მან აღილო და შთააგლო იგი ფურნესა მას შინა შეუორგულე ბელად სიგყსაებრ ბერისა. და ვითარცა შთააგლო, მეყსულად დანელდა ფურნე იგი. და გამოიღეს წიგნი იგი შეუხებლად. ვითარ კეთილ არს და საკურველ არს ნაყოფი მორჩილებისაჲ, რამეთუ კიბე არს იგი სასუფეველისა ცათამსახ!“ (10, 160).

წიგნის, წიგნიერების, მწიგნობრობის ძირძველობას დადასტავებს ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულები: წიგნი – „კელით-წერილი“, „პროარგაკი“, ნაწერი, გექსგი, ასო, მაგიანე, სიგელი, მწიგნობრობა, წერა-კითხვა, ღოკუმენგი. წიგნის ამ მნიშვნელობების დადგენა-განმარტება ი. აბულაძეს ეკუთვნის (11, 543). ძველი ქართულის ამ მონაცემს განეკუთვნება აგრეთვე: წიგნის კითხვა („მწიგნობრობა, წერა-კითხვა“), წიგნის-მეცნიერი („გრამატიკოსი“), წიგნის მიმღებელი („წიგნის მიმღანი“), წიგნის-მკითხველი („წამკითხველი, მწიგნობარი“), წიგნის მწერალი („ანდერძის მწერალი“, მწიგნობარი), წიგნის-გყავი („ეგრატი“), წიგნის-წერა (ანდერძის წერა, წერილის წერა“), საწიგნე („წიგნისაყავი“) (11).

ძველი ქართულის ამ სალექსიკონო ერთეულებს ზ. სარჯველაძე შვიდ სიგყვა-ფორმას უმაგებს: წიგნის-მკითხველობა („მელავითნეობა“), წიგნისმმოსელი („ყდის გამკეთებელი“), წიგნისმრთუმელი („შიკრიკი“), წიგნსაყავი, (წიგნისაყავი), წიგნური („სალიგერაგურო“), წიგნთ-წერით („წერილობით“), წიგნ-წერილობა („დაწერილი“) (12, 265).

ცხადია, ძველ ქართულში წიგნთან დაკავშირებული და წიგნ ლექსების შემცველი კიდევ ბევრი სიგყვა-ფორმა, გამოთქმა-გამონათქვამი, ფრაგმენტოლოგიები იქნებოდა. (იყო კიდევ, მაგ., წიგნის შეკვრასთან დაკავშირებული

გერმინები, რომელთაც სხვა ნაშრომებში შევეხებით. მათ შესახებ არსებობს ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია (13) და მ. კარანაძის სპეციალური სამეცნიერო წერილი (14, 165-184).

ბემოთქმულს და წარმოდგენილ წიგნთან დაკავშირებულ (წიგნ ლექსების შემცველ) სიგყვებს შეიძლება დავუმაგოთ სულხან-საბას ლექსიკონიდან: წიგნაკი („წიგნცუდა“), წიგნარა („ნაკეციანი ფაშვი“), წიგნების მნე, დასგურის წიგნი, მწიგნველი, უწიგნო, სამწიგნობრო, წიგნი მოგებისა („მონასყიდულობისა“) (15); დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებიდან: საწიგნე (– მაღალ-სკამი, წიგნთ-დასადები საკითხავად НАЛОЙ), შიგნთ-საყავი (БИБЛИОТЕКА), უწიგნოდ (БЕЗ АКТА), უწიგნო – (წიგნისა და წერილის არმქონებული ან უცოდინარი წერილთა), წიგნელი (წიგნისა, КНИЖНЫЙ (16,17).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვაგომეულის) მიხედვით, ახალი ქართული ენის წიგნის და მისგან ნაწარმოები ლექსების მნიშვნელობებია:

1. წიგნი (ა. გექსქტის შემცველი ფურცლები, ერთად აკინძული, ჩვეულებრივ, ნაბეჭდი; ბ. ვრცელი ლიგერაგურული ნაწარმოების დიდი ქვეგანაყოფი, შღრ. გომი. გ. დავთრის სახით აკინძული სუფთა ფურცლები, ზოგჯერ გრაფებად დაყოფილი, სპეციალური დანიშნულებისა; დ. ძვ. წერილი, ბარათი; ე. საუბრ. კითხვა, წერა-კითხვა; ვ. ძვ. წერილობითი საბუთი, ხელწერილი).

წიგნალი (ბიბლიოთ. წიგნებისაგან შემდგარი, წიგნებისა). წიგნაკი (პაგარა ზომის წიგნი, ბროშურა).

წიგნარა, წიგნა-წიგნა, წიგნისაყავი, წიგნიანი, წიგნიერი, წიგნიერება/წიგნიურობა, წიგნისმცოდნეობა (წიგნის შესახებ ლისციპლინების ერთობლიობა – ბიბლიოლოგია), წიგნობრივი, წიგნსაყავი, წიგნუკა (დამცირებით: უხეირო წიგნი), წიგნური, (1. რაც წიგნს ახასიათებს, არა პრაქტიკული, 2. ბიბლიოთ. წიგნ-

ბის შემცველი, წიგნებისაგან შემდგარი, წიგნურა კუთხ. (თუშ.) ჩითის ნაჭერი ერთგვარი. (4).

აღსანიშნავია, რომ ანგონ კათალიკოსის გრამატიკაში წიგნს კვლავ შენარჩუნებული აქვს მისი ერთ-ერთი ძველი მნიშვნელობა: წიგნი – ასო (18, 186).

რაც შეეხება წიგნარას და მის სინონიმებს ქართული ენის დიალექტებში, ამის შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი, ამიგომ აქ აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: ასფურცელას, ცხრაწიგნას, წიგნობელას, ცხრაპაგარძალას შინაარსის შემცველია იმერეთსა და გურიაში ხმარებული წიგნა-წიგნა-ი („საქონლის ფაშვის ნაწილი“) (19, 38). და მაინც წიგნის და მასთან დაკავშირებული სიტყვა ფორმების დამოწმებას, ვფიქრობთ, ვერ ამოვწურავთ ყველა დიალექტის მიხედვით. სიტყვაქმნალობის პროცესი ენაში დღესაც გრძელდება (წიგნა, როგორც ადამიანის მეგსახელი, საფუძვლად დასდებია ქართულ გვარსახელს წიგნაძე-ს. ამ გვარის მაგარებელნი დღეს ცნობილნი არიან იმერეთში...).

რაც შეეხება მწიგნობარ ლექსემს, ისიც ძველ ქართულშივე ფრიად გავრცელებულია. არნ. ჩიქობავას აზრით, „ოთხთავში საკმაოდ ხშირად ხმარებული ეს სახელი, ერთი შეხედვით, მიმღეობის შთაბეჭდილებას გოვებს; არსებითად არაფერი შეიცვლებოდა მ-პრეფიქსის გაგებაში, თუ მწიგნობარს მიმღეობად მივიჩნევდით, მაგრამ აქ უნდა გვექონდეს არა მიმღეობა (არ არსებობს შესაბამისი გმნა) – არამედ სახელისაგან ნაწარმოები სახელი; საწარმოებლად აღებულია წიგნ-ობ, სადაც –ობ კრებითობის ფუნქციისა უნდა იყოს: – არ დეგერმინანტი სუფიქსია: მ – ადამიანის კატეგორიის მჩვენებელი პრეფიქსი (20, 153). მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სადაც მ-არ ან მ-არ-ე ცირკუმფიქსიანი სიტყვა-ფორმა გვაქვს, ყოველთვის მიმღეობური ფორმაა ისგორიულად სავარაუდებელი: შდრ. ათევს – მ-თევ-არ-ი, კელ-ს, მ-

კელ-არ-ი, მაგრამ: თავ-ი მ-თავ-არ-ი, დიდი მ-დიდ-არ-ი, მწიგნობარი ისეთივე წარმოებისაა, როგორც მწერალი (ამ უკანასკნელში დისიმილაციით რ-ალ) (21,232). მწიგნობარ ლექსემა ისგორიულად აუცილებლად გულისხმობს გმნის პირიან წიგნობს და წიგნობა გმნის უპირო ფორმას. რა თქმა უნდა, ის, ვინც წიგნობს ანუ წიგნიერებას მისდევს, წიგნს წერს, მწიგნობარიც გახდება, მწიგნობარსა და წიგნს აუცილებლად სჭირდება ისეთი ადგილი, სადაც წიგნს დაწერს, წაიკითხავს, შეინახავს. ასეთ ადგილს კი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში საწიგნე ჰქვია. „წიგნი ბალაჰვარისა“-ში ვკითხულობთ: „მივიწიე ოდესმე იოჰედ და მუნ ეპოვე წიგნი ესე ჰინდაითა საწიგნესა, რომელსა შინა სწერიან საქმენი ამის სოფლისანი, ფრიად სარგებელნი სულისანი“ (20, 3-7-8).

როგორც ი. აბულაძე ფიქრობს, საწიგნე აქ წიგნისადაც ნიშნავს, უფრო მუსკად: ჰინდოთა საწიგნე. ინდოელთა წიგნისადაცა, მეტიც: „ბიბლიოთეკაც“. ამ სიტყვის ძველი გაგებით, საწიგნეს და წიგნისადაც, როგორც ჩანს, სინონიმური გაგება აქვს.

ძველ საქართველოში საწიგნე, ჩვენი აზრით, რამდენიმე მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო. 1. საწიგნე – განსაკუთრებული ოთახი მონასტერში, სადაც ხელნაწერები ელაგა და საიდანაც წიგნების გამოგანა სენაკში წასაკითხავად იკრძალებოდა; ვისაც კითხვა სურდა, იმავე ოთახში უნდა წაეკითხა და წაკითხვის შემდგომ ხელნაწერი თავისსავე ალაგას და ედვა (ივ. ჯავახიშვილი), რასაც დოკუმენტურად ცხადყოფს სინას მთის №77 ხელნაწერის ანდერძი: „ვინც ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს ანუ სხუასა ეკლესიასა წაიღოს, ანუ გაღმა გაიღოს, ანუ სენაკსა შინა დაიღვას, ანუ ეკლესიის სენაკსა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა გაუქსნელად“. 2. აქ არ ჩანს, საწიგნე თაროებისაგან შედგებოდა თუ ოდენ ოთახი იყო. ან ფერხელიანი თუ ბანდუკის მსგავსი. ივ. ჯავახიშვი-

ლის ოქრო-ვერცხლით დაფერილი საწიგნის შესახები სიგყევიც, ალბათ ხელნაწერების დასაწყობს გულისხმობდაო, ან წიგნის ბუღე იგულისხმებოდაო (13). ვფიქრობთ, საწიგნე ოთახში გამოყოფილი ნიშიც უნდა ყოფილიყო თაროს მსგავსი, აგრეთვე სპეციალური ოთახი, სადაც წიგნის მოძიებაც შეიძლებოდა და წაკითხვაც. ჩვენი აზრით, საწიგნეს კიდევ სხვა მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა: საწიგნე შეიძლებოდა რქმეოდა სპეციალურ ყუთს, რომელშიც ერთი ან რამდენიმე წიგნი მოთავსდებოდა და საჭიროების შემთხვევაში სასულიერო თუ საერო პირი მგზავრობისას თან წაიღებდა - ცხენს ან ჯორს, სახედარს აჰკიდებდა. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია. მისი ფაქტობრივად დადასტურება ჭირს.

და ბოლოს – ისმება კითხვა: სადაური სიგყვაა წიგნი, საკუთრივ ქართული თუ უცხოური წარმომავლობის?

სპეციალურ ლიგერაგურაში ამ სიგყვის წარმომშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: გრადიციისამებრ იგი ლათინურ სიგყვადაა მიჩნეული: ლათ. სიგნონ signator 1. ბეჭდის დამსმელი. 2. გადაგ. მოწმე. significatio აღნიშვნა, ნიშნება, მითითება, signo 1. აღვნიშნავ, დავნიშნავ. 2. აღვბეჭდავ. 3. დავბეჭდავ; ბეჭელს დავსვამ; signum 1. ნიშანი, 2. გამოსახულება; 3. დროშა, ალაში (23, 367-868), (24, 708).

ამავე სიგნუმ ძირს უკავშირებენ ინლოევროპულ ენათა სიგნალს (25, 618).

სიგნ/სიგნუმ მართლაც აღნაგობით და შინაარსითაც წიგნ ლექსემას ეთანხმება, ოლონდ ასახსნელია ს-ც-წ? სიგნ-ციგნ-წიგნ ფონეტიკურად სახეცვლა, წიგნის წარმომშობის არაქართულობას მოწმობს მისი შესაგყვისი არსებობა სხვა ქართველურ ენებში. მეგრულში – წიგნი, სვანურში – ლაირ; წიგნი, წერილი, КНИГА, ПИСЬМО (26). ლაირ/ლაირ, ლაირ – 1. წერილი, 2. წიგნი, 3. წიგნარა (27). ღირსსაცნობია, რომ ლაირ „წიგნარა“ სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტშია დადასტურე-

ბული, რაც იმას მოწმობს, რომ ყველგან, ყველა ქართველურ ენაში მისი მოგივაცია ერთნაირია (26, 27, 28), რაც შეეხება მეგრულ-ჭანურს, აქ იგი შესასწავლია, საფიქრებელია, მისი ამ სახით არსებობა.

სვანური ლაირ და მისი ვარიაციული ფორმები წიგნის, წერილის შინაარსით სხვა ძირისაა, რაც გვაფიქრებინებს, რომ წიგნი მართლაც ქართულ ენაში ძველთაგანვე ლათინურიდან შემოსული სიგყვა უნდა იყოს.

არსებობს წიგნ ლექსემის ახლებური ეგიმოლოგია. ამ სიგყვას, ბოლო ათწლეულია, უკავშირებენ შუმერულ-კავკასიურ-იბერიულ სამყაროს. (რ. გორდემიანი, გ. ჭელიძე) ჩვენი აზრით, ორივე ახსნა მეცნიერულ პოსტულატებს ეყრდნობა. თუ ამ ახალ ახსნას-ეგიმოლოგიას გავიზიარებთ, მაშინ ქართ. წიგნი, მეგრ. წიგნ, სვან. ლაირ/ლაირ/ლაირ ლექსემათა სხვადასხვა ფუძით არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ეს სიგყეები წიგნის, წერილის შინაარსით უნდა გაჩენილიყო დამოუკიდებლად ქართველური ენების არსებობის ხანაში, ანუ წინარე ქართველური ენის დაშლის შემდგომ. ერთი რამ ნათელია: როგორადაც არ უნდა აიხსნას წიგნ ლექსემის წარმომავლობა, ჩვენთვის საცნაურია: წიგნი, საწიგნე, წიგნთსაცავი/წიგნისსაცავი, მწიგნობარი, წიგნელი (წიგნალი ახალი გერმინია – მე-20 ს-ში დამკვიდრებული) ძირძველი ქართული წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიული გერმინებია, რომელთა არსებობა ქართულში წინარექრისტიანულ, წარმართულ ხანაშია საგულვებელი.

### მითითებული ლიგერაგურა:

1. ქლენგი. გურული კილო. გამოკვლევა, გექსტები, ლექსიკონი. გ. ახვლედიანის რედაქციით. თბ., 1936.

2. ხორნაული გ. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.

3. კაიშაური ლ. მთიულურის დარგობრივი ლექსიკა. თბ., 1967.



4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), ტ. VIII. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბ., 1964.
5. მენთეშაშვილი ს.გ. ქიმიური ლექსიკონი. ვ. თოფურიას რედაქციით. თბ., 1943.
6. ძოწენიძე ქ. ზემომერული ლექსიკონი. არნ. ჩიქობავასა და მ. ალავიძის რედაქციით. თბ., 1974
7. ბერიძე ვ. სიგყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. სანკგ-პეტერბურგი, 1912.
8. Фасмер М... Этимологический словарь русского языка. В четырех томах. Перевод с немецкого и дополн. О.Н. Трубачева. Издание второе, стереотипное, т. II, М., 1986.
9. გაჩეჩილაძე ა. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. ა. კიბირიასა და მ. ქალღანის რედაქციით. თბ., 1976.
10. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები I. ქართული პაგერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით. გექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. დვალმა. თბ., 1966.
11. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). ე. მეგრეველისა და ც. ქურციკიძის რედაქციით. თბ., 1973.
12. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), ზ. ჭავჭავაძის რედაქციით. თქ., 1995.
13. ჯავახიშვილი ი. ქართული პალეოგრაფია, მეორე გამოცემა. თბ., 1949.
14. კარანაძე მ. წიგნის შეკვრასთან დაკავშირებული ტერმინები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიგურაგურის სერია. 1-4, თბ., 1995.
15. ორბელიანი სულხან-საბა. თხზულებანი, ტ. IV (სიგყვის კონა). ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. თბ., 1966.
16. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. მეორე გამოცემა აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ. თბ., 1984.
17. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონგის რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1961.
18. ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი. შეადგინა რაფიელ შამელაშვილმა. თბ., 1975.
19. ქართულ კილო-თქმათა სიგყვის კონა. შეადგინა აღ. ლლონგმა. II. ნ-პ. თბ., 1975.
20. ჩიქობავა არნ. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. ვ. თოფურიას რედაქციით. თბ., 1942.
21. ცხადაძე ბ. აფიქსური სიგყვაწარმოება ძველ ქართულში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მანქანაზე ნაწერი. თბ., 1989.
22. სიბრძნზ ბალაპვარისი. რედაქცია, ვარიანები და ლექსიკონი ილია აბულაძისა. თბ., 1937.
23. ლათინურ-ქართული ლექსიკონი. შეადგინა ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1948.
24. Дворещкий И.Х. Ламинско-русский словарь. Издание 3-е, исправленное, М., 1986.
25. Фасмер М... Этимологический словарь русского языка. В четырех томах. Перевод с немецкого и дополн. О.Н. Трубачева. Издание второе, стереотипное, т. III, М., 1987.
26. ღონღუა კ. სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი). გექსტი გადაამუშავა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აღ. ონიანმა. თბ., 2001.
27. თოფურია ვ. ქალღანი მ. სვანური ლექსიკონი. თბ., 2000.
28. ლიპარტელიანი ასლ. სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩაოლურული კილო). თბ., 1994

ნინელი მეღვინე, ალექსანდრე ლორია

## თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკა (1899-1923)

**თ**ბილისში ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება წარმოადგენდა დიდი მგონის გენიის მიმართ ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემის გამოხატულებას.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე 1899 წლის 20 იანვარს უმაღლესი ხელისუფლების პროგრამა გამოცხადდებოდა ა.ს. პუშკინის დაბადების 100 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნასთან დაკავშირებით (1), თბილისის ქალაქის მმართველობის წევრი ა.მ. არგუცინსკი-დოლგოროუკოვი საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წინადადებით გამოვიდოდა, ჩატარებულიყო მთელი რიგი ღონისძიებებისა: 1899 წლის 26 მაისს პუშკინის ძეგლთან გადახდილიყო პარაკლისი; მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტში დაეარსებინათ პუშკინის სახელობის სტიპენდია, გახსნიყო ბიბლიოთეკა-სამკითხველო პუშკინის სახელობაზე.

გამეთ „კავკაზის“ რედაქტორი ვ.ვ. ველიჩკო წერდა: „კავკასიას, არანაკლები უფლებით, ვიდრე რუსეთის გულს-მოსკოვს, შეუძლია თქვას პუშკინის შესახებ: „ის ჩემია!“ (2). ველიჩკო მოუწოდებდა კავკასიელებს, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მოსკოვში პუშკინის ძეგლის აგებისათვის სახსრების შეროვებაში. ამ ძეგლისათვის თანხების პირველი შემომგანები იყვნენ: თვით ვ.ვ. ველიჩკო, ნ.ვ. ჯამბაკურორბელიანი, ა.ი. ჯამბაკურორბელიანი, ი.გ. მელიქიშვილი, ვ.ი. ბესლავსკი, მ.ა. გრუმინსკი (ბაგრატიონი), ი.გ. ბარათაშვილი, ი.ვ. საგინაშვილი, პ.თ. პოლუნინი, გ.ი. რადე, მ.ი. იოსელიანი, ქ. მამალაშვილი და სხვ. (3,4,5,6,7).

თბილისის საზოგადოებრიობამ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა პუშკინის

საიუბილეო დღეებში. ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი გამოეხმაურა ამ თარიღს, მათ შორის: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, თეატრალური წრეები, გამომცემლობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სათათბიროს გადაწყვეტილება:

1. თბილისის მკვიდრთათვის დაარსდეს ა.ს. პუშკინის სახელობის 4 სტიპენდია;
2. სკოლას ხარფუხში და სამასწავლებლო ინსტიტუტს მიენიჭოს ა.ს. პუშკინის სახელი.
3. დაარსდეს ა.ს. პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო დარბაზი (8)

1899 წელს ამ დადგენილების აღსრულების ნებართვა ვერ იქნა გაცემული განათლების სამინისტროს მიერ, რადგანაც არ იყო დადგენილი, საიდან იქნებოდა გაღებული საამისო ხარჯები (9). რაც შეეხება ბიბლიოთეკას, სპეციალური კომისიის წევრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, გამოეყენებინათ ცერინოვის მიერ შემოთავაზებული ოთახები პუშკინის ქუჩაზე თავის სახლში, რომელშიც 1827 წელს თბილისში ყოფნისას ა.ს. პუშკინი იყო გაჩერებული (10). სახლის მფლობელი თავდაპირველად თანახმა იყო უფასოდ დაეთმო ფართობი (2), მაგრამ შემდეგ 600 მან. ვერცხლით მოითხოვა, რამაც პრობლემები შეუქმნა ქალაქის მმართველობას. ამას ისიც ემატებოდა, რომ თბილისში უკვე არსებობდა სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც ვორონცოვის დროს იყო დაარსებული 1846 წელს „გფილისს საჯარო ბიბლიოთეკის“ სახელწოდებით (11). ამ ბიბლიოთეკის მიმართ პრესა ხშირად გამოხატავდა უკმაყოფილებას იმ მოტივით, რომ ის ვერ ასრულებდა კულტურულ-საგანმანათლებლო როლს და ფაქტობრივად

გადაქცეული იყო კავკასიოლოგიურ სამეცნიერო ბიბლიოთეკად. სწორედ ამ საბაბით მოითხოვდა სამოგადოება გახსნილიყო თბილისში საქალაქო ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც ა.ს. პუშკინის სახელზე იქნებოდა დაარსებული და მოსახლეობას კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით მოემსახურებოდა.

1899 წლის 10 მაისს სათათბიროს დადგენილებით, სხვა საკითხებთან ერთად, რაც დაკავშირებული იყო პუშკინის სახელის უკვდავსაყოფად გამართულ ღონისძიებებთან, გადაწყდა, დაარსებულიყო მგოსნის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას დიდხანს არ ეღირსა განხორციელება. მხოლოდ 1904 წელს გახდა შესაძლებელი, კვლავ დაბრუნებოდნენ ამ საკითხს (12). სწორედ ამ წელს იქნა მიღებული ამ ბიბლიოთეკის დებულება (13), ამავე წელსვე შეუდგნენ ბიბლიოთეკისათვის შენობის აგებასაც (12).

სპეციალური შენობა აიგო ყოფილ გიორგის ქუჩაზე მე-4 ნომერში (ამჟამად თაბუკაშვილის ქ. №5) ალექსანდრეს ბაღის ქვედა იარუსზე. დღეს აქ მოთავსებულია „ისგორიისადა კულტურის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი“, შენობის მარცხენა ფართის ქვემო ნაწილი დაკავებული აქვს „ყაზბეგის ლუდის რესტორანს“, რომელსაც ბაღის საკმაოდ დიდი ფართობი აქვს მითვისებული. სხვათა შორის, მის საპირისპირო მხარეს, იმავე ბაღში ააგეს მაღლივი, სრულიად უსახური საცხოვრებელ სახლი, რომლის ადგილას ვარაუდით იყო პირველი საბიბლიოთეკო შენობა, აგებული ვახტანგ ორბელიანის მიერ მ. ვორონცოვის დაკვეთით „გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის“.

სახლს, რომელშიც თავის დროს განთავსე-

ბული იყო პუშკინის სახელობის ცენტრალური საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკა, სადარბაზო შესასვლელთან მიკრული აქვს მემორიალური დაფა, რომელიც გვამცნობს, რომ ამ სახლში 1904-1928 წლებში მოღვაწეობდა კავკასიის სამედიცინო სამოგადოება (სხვათა შორის, სინამდვილეში ეს იყო 1905 წლიდან); ისიც უნდა ითქვას, რომ იქ იმყოფებოდა აგრეთვე რუსეთის საიმპერატორო გექნიკური სამოგადოების თბილისის განყოფილება და ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც იყო სწორედ გათვალისწინებული ამ შენობის აგება. სამწუხაროდ, ეს თითქმის

არაფინ იცის, რადგან სამოგადოებისათვის არაფითარი ცნობა არ არის ამასთან დაკავშირებით და ამიგომაც, საჭიროდ მიგვაჩნია მემორიალური დაფის სრულყოფა. ეს მით უფრო საჭიროა, რადგანაც თბილისის სინამდვილეში ა.ს. პუშკინის სახელობის ბი-



ბლიოთეკა წარმოადგენდა საკმაოდ საგულბისხმოდ დაწესებულებას, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში.

ჩვენ მოგვიწია ჩაგვეგარებინა 1899-1905 წლების გაზეთ „КВВКВ“-ის პუბლიციების საფუძვლიანად გაცნობა და ანალიზი, რამდენადაც ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა უფრო უცყუარი წყარო ფაქტების დასადგენად არ გაგვაჩნია.

1904 წლის 9 აპრილს (№92) გაზეთი „კავკაზი“ იცობინებოდა, რომ ქალაქის მმართველობამ ამა წლის 7 აპრილს განიხილა და მოიწონა ა.ს. პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკისა და კავკასიის სამედიცინო სამოგადოებისათვის შენობის აგების პროექტი და დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვაო. პროექტის მიხედვით, შენობა უნდა ყოფილიყო ორსართულიანი: პი-

რველი სართული და სარდაფი გათვალისწინებული იყო ბიბლიოთეკისათვის, მეორე – სამედიცინო სამოგადოებისათვის. მათ საერთო უნდა ჰქონოდათ სხლომათა ღარბაში, რომელსაც ორივე დაწესებულება თანაბრად გამოიყენებდა. გერიგორიაზე არსებული პაგარ-პაგარა სავაჭროები ალებას ექვემდებარებოდა. ბიბლიოთეკის ასაგებად გამოიყო 8.000 მან. ვერცხლით, სამედიცინო სამოგადოებისათვის – 5.500. აკლდებოდა 3.500 მანეთი, რომელიც სათათბიროსაგან უნდა გამოეთხოვათ.

გაზეთი „კავკაზი“ 1904 წ. 21 აპრილს (№104) მკითხველებს აცნობდა, რომ სათათბიროს გადაწყვეტილებით, სამედიცინო სამოგადოება განთავისუფლდა მასზე გაწერილი ხარჯებისაგან და მისი დაფარვა მთლიანად ქალაქმა იკისრაო.

1904 წლის 2 მაისის (მე-15) ნომერში იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა, რომ რუსეთის საიმპერატორო გექნიკური სამოგადოების თბილისის განყოფილების თავმჯდომარემ ი.თ. ნოვომეისკმა თხოვნით მიმართა ქალაქის თავს, მიეცათ ნება, პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკისა და სამედიცინო სამოგადოების ორსართულიან ნაგებობაზე გექნიკური სამოგადოებისათვის მესამე სართულის დაშენებისა. სანაცვლოდ ეს სამოგადოება კისრულობდა თავის თავზე აქედნე 3.500 მანეთის ოდენობის ხარჯები.

თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

ამგვარად აშენდა სამსართულიანი შენობა სამი სხვადასხვა დამოუკიდებელი დაწესებულებისათვის, რომლის პირველ სართულზე მთლიანად განთავსდა ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკა.

1905 წლის იანვარში, როცა მშენებლობა თითქმის მიიწურა, ქალაქის მმართველობა შეუდგა ბიბლიოთეკის კოლექციების ორგანიზაციას. კავკასიის მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი 1904-1919 წლებში ა.ნ. კაზნაკოვი ქალაქის მმართველობას მიმართავს თხოვნით, გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის გამოეყო 16.000 მანეთი ვერცხლით თაროების განსაკუთრებული სისტე-

მისა და ელექტროგანათების სრულყოფილად მოწყობისათვის, სანაცვლოდ კი ის მზად იყო, პუშკინის სახელობის ახალგახსნილი ბიბლიოთეკისათვის გადაეცა მისდამი რწმუნებული ბიბლიოთეკის განყოფილება 5.000 გომის შემადგენლობით, რომლის ღირებულება შეადგენდა 7.000 მანეთს ვერცხლით (14). სათათბირომ დაავალა სასწავლო კომისიას, დაეწყო მოლაპარაკება გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასთან შემოთავაზებულ წინადადებასთან დაკავშირებით (15), მაგრამ სათათბიროს საფინანსო კომისიამ, სახსრების სრული უქონლობის გამო, ა.ნ. კაზნაკოვის წინადადებაზე უარი თქვა (16).

რუსეთ-იაპონიის ომმა საბიბლიოთეკო პრობლემები უკანა პლანზე გადაიგანა. შენობა გამოყენებულ იქნა ჯარში ახალწვეულთა საკითხების ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (16). ბიბლიოთეკა მხოლოდ 1909 წლის 1 მაისს გაიხსნა. დაწყებით ეტაპზე საერთო ხელმძღვანელობა სათათბირომ სპეციალურ საბიბლიოთეკო კომისიას დააკისრა.

აუცილებელი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შექმნა ხდებოდა საბიბლიოთეკო კომისიის წევრთა მივლინებების მეშვეობით. კერძოდ, ხარკოვში ამ მიზნით მივლინებული იქნა ოსიპ სოლომონის ძე ბუკშტეინი, რომელმაც ძირითადად შეისწავლა ხარკოვის ბიბლიოთეკის გექნიკური აღჭურვილობა. მისი ნახაზებისა და ნიმუშების მიხედვით ორგანიზებულ იქნა ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკა და კ. გუბალაშვილის ქალაქის სახალხო სახლის ბიბლიოთეკა (17).

ქალაქის მმართველობის მომსახურე პერსონალმა ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკას 400 წიგნი გადასცა, რითაც დაიწყო სწორედ ამ ბიბლიოთეკის ფონდების საწყისი აღრიცხვა. ბიბლიოთეკის კომპლექცია იმ დროისათვის სავსებით მიზანშეწონილი სისტემით ხდებოდა: ბიბლიოთეკის გამგე ნ.ა. რუბაკინის კატალოგის მიხედვით აღგენდა შესაძენი წიგნების სიას, რომელსაც დასამტკიცე-

ბლად საბიბლიოთეკო კომისიას გადასცემდა. 1911 წელს ამ კომისიის უფლებები გადაეცა საზოგადოებრივ მმრუნველს. ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის პირველ მმრუნველად არჩეულ იქნა კ.რ. გორინა, რომელიც ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკას. 1913 წელს ის მივლინებით გაიგზავნა მოსკოვის ა.ლ. შანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტთან მოწყობილ ბიბლიოთეკართა წლიურ კურსებზე. ბიბლიოთეკას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ როგორც საზოგადოებრივი მმრუნველები, ისე მეცენატები. 1911-1917 წლებში ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა კუსტარული კომიტეტის საქმის მწარმოებელთა წევრის, აგრონომ არგემ სტეფანეს ძე პირალოვის, ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის, საპაგიო სამოქალაქო მოსამართლის ნიკოლოზ კარლოს ძე ზეილიცის, კავკასიის სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარის ანდრეი რომანის ძე ფიშერის, იურისკონსულტის, იურიდიული საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწის, ნაფიც მსაჯულთა რწმუნებულის ლეონიდე იოსების ძე შვეალიეს, საგუბერნიო მმართველობის უფროსი მრჩევლის, საპაგიო სამოქალაქო მოსამართლის იაკობ კასპარის ძე ელიმირზოვის კოლექციები (17). მთავარ მონაპოვარს მაინც წარმოადგენდა ე.წ. „თამამშევის განყოფილების“ კოლექცია, რომელიც 4.105 დასახელებას შეადგენდა. იგი ბიბლიოთეკას გადასცეს ლილია პეგრეს ასულმა და მიხეილ ივანეს ძე თამამშევებმა. კოლექციაში საკმაო რაოდენობით იყო ისეთი გამოცემები, რომლებიც მაშინაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა (18). ამ კოლექციაზე, გ. როგინიანცმა შეადგინა ბეჭდური სისტემატური კატალოგი (19), რომელიც ნ.ა. რუბაკინის საკლასიფიკაციო სისტემის მიხედვით იყო აგებული. ამ დროს ეს სისტემა საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. გაითვალისწინა რა მონაძვენი კოლექციის თავისებურებანი, გ. როგინიანცმა თავის შედგენილ კატალოგში უცვლელად შეიტანა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ორიგინალური გამოცემა, ამა-

სთან, მხედველობაში იქნა მიღებული გარდნილი მოთხოვნა კავკასიოლოგიური ლიგერაგურისადმი და ცალკე განყოფილებად გამოყო: კავკასია, ქართველთმცოდნეობა, სომეხთმცოდნეობა, სომხური ლიგერაგურა (20). 1910-1912 წლებში შედგენილ იქნა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგი. სამხედრო უწყებამ ბიბლიოთეკას 3.000 მანეთი ვერცხლით გამოუყო და აჩუქა 5.000 წიგნი. ბიბლიოთეკასთან ორგანიზებული იყო საბავშვო განყოფილებაც.

ბიბლიოთეკას გააჩნდა თავისი წესები. წესების მიხედვით, მხაგვრული ლიგერაგურა გაიცემოდა აბონემენტზე მხოლოდ 10 დღის ვადით, სამეცნიერო – 20 დღით. ამისათვის საჭირო იყო ფულადი საწინდარი ან სარწმუნო მინდობილობა. მკითხველი, რომელიც დათქმულ ვადაში არ მოიგანდა წიგნს, ჯარიმდებოდა. სამკითხველო დარბაზში კითხვა უფასო იყო.

თანამედროვე ლიგერაგურით აქტიურმა დაკომპლექტებამ, მკითხველთა მიმართ ყურადღებამ, მოკრძალებულმა დამოკიდებულებამ და თანამშრომელთა პროფესიონალიზებამ განაპირობა ბიბლიოთეკის პოპულარობა. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, თბილისის მოსახლეობის ზრდასთან ერთად, მკითხველთა რაოდენობა 3000-ს აღწევდა, ხოლო წიგნის გაცემა აბონემენტითა და მკითხველთა დასწრება დარბაზში დღეში 300-ს შეადგენდა. ეს იყო ნამდვილი საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც თანაბარი წარმატებით ემსახურებოდა როგორც მეცნიერულ, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებით დაინტერესებულ მომხმარებლებს. მომსახურეთა შგაგი ყოველწლიურად მაგულობდა. 1917 წლისათვის მათი რაოდენობა 16 კაცს შეადგენდა (გამგე, 4 ბიბლიოთეკარი, 4 ტექნიკური მუშაკი, 2 სამკითხველო დარბაზის შეფი, 2 საბავშვო განყოფილებისა, დანარჩენები იყვნენ შევიცარი, დამლაგებელი და კურიერი). მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკა ვერ აუდიოდა მკითხველთა მოთხოვნებს; დაისვა საკითხი საბიბლიოთეკო ქსელის შექმნისა. საჭიროდ მიაჩნდათ, ქალაქის გარე-



უბნებში გახსნილიყო საქალაქო ბიბლიოთეკის 4 ბიბლიოთეკა-ფილიალი.

1917-1920 წლებში ბიბლიოთეკას მძიმე დღეები დაუდგა – ბიუჯეტზე კატასტროფულად იმოქმედა ინფლაციამ, მაგრამ ბიბლიოთეკის კოლექცია მაინც ივსებოდა ახალი ლიტერატურით; ჰქონდა ელექტროგანათება და გათბობა.

1921 წელს, საბიბლიოთეკო ქსელის გასახეულმწიფოებრიობისა და ცენზრალიზაციის პირობებში, როცა საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელობა „მთავარპოლიტგანს“ დაევალა, პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მისთვის არც ერთი კაპიკი არ იქნა გამოყოფილი; უფრო მეტიც – მთავარპოლიტგანი თვითონ ბიბლიოთეკის „პარაზიტად“ იქცა, გასცა რა განკარგულება, ბიბლიოთეკის მთელი თანხები პოლიტგანის სალაროში ჩაერიცხათ. ამასთან დაკავშირებით, ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორი ელენე რომანის ასული გორინა წერდა: „Трудно описать те бедствия, какие библиотекам пришлось претерпеть за это время: сокращение штатов, к которому прибегали по 4 раза в год в целях экономии, довело количество персонала до такого состояния, что уже некому было охранять ее имущество. Не стало света, в течение двух зим библиотека не отапливалась, приходилось открывать ее на два часа. Самое главное зло, с которым пришлось столкнуться библиотека –

Невежество инструкторов (их было 10 человек). Непонимание нужд библиотеки, требования, противоречащие здравому смыслу (в роде того, что централн ая „Пушкинская“ библиотека обязывалась обслуживать только рабочих или устраивать музыкально-литературные вечера силами собственного библиотечного персонала), недоверие и неуважение к работникам, несвоевременная выплата мизерных окладов – вот условия существования библиотеки в течение 1921-1922 гг“ (22).

ყოველივე ამის შემდეგ პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში მკითხველთა რაოდენობა 400 კაცამდე შემცირდა, ხოლო დღიური წიგნბრუნვა 40-50 ერთეულამდე დავიდა. ცდილობდა რა დაპირისპირებოდა არაკომპეტენტურობას, ე.რ. გორინა აღშფოთებით წერდა ამის შესახებ და საკმაოდ კვალიფიციურ მოსაზრებებს გამოთქვამდა ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების შესახებ. ის სამართლიანად შენიშნავდა, რომ ბავშვებზე ზრუნვა და მათ მიმართ გაზრდილი ყურადღების გამოჩენა ფიზიკური თუ სულიერი აღზრდის თვალსაზრისით – ეს ჩვენი დროის განსაკუთრებული თავისებურებაა; მუშავდება ახალი მეთოდები, აზრსებენ ბავშვთა სახლებსა და ბაღებს, გაჰყავთ ბავშვები საზაფხულო ბანაკებში; ბავშვთა კვებისათვის ხსნიან სასადილოებს. დავიწყებულა მხოლოდ ბავშვთა მოთხოვნილებები წიგნზე. მაგალითად, თუ ქალაქის შემადგენლობიდან, რომელშიც ნახევარი ბავშვებია, გამოვთიშავთ საბავშვო ბიბლიოთეკას, აღმოჩნდება, რომ მობარდი თაობა საერთოდ დარჩება საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. მთავარპოლიტგანის სარაიონო ბიბლიოთეკებში არის საბავშვო წიგნის განყოფილებები, მაგრამ ბავშვებს მობრდილთა თანაბრად ემსახურებიან, თანაც შემცირებული შტაგით. ე.რ. გორინა აშკარად აცხადებს, რომ ამ ბიბლიოთეკებში ბავშვთა მომსახურების დონე ძალიან დაბალია, ბავშვე-

ბთან მუშაობა კი ამ დროს უზარმაზარი მნიშვნელობის საქმეა. დღეს მრავლად არიან უპაგრონო ბავშვები, რომლებიც უეჭველად უნდა ჩამოვაშოროთ ქუჩის გავლენას. ამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს წიგნი. ღარიბთა ბავშვები, რომელთა უმრავლესობა ბინის სივიწროვეს განიცდის, არა აქვს შინ შესაფერისი პირობები, ამ პირობებს მათ ბიბლიოთეკა უნდა უქმნიდეს, სადაც გამოყოფილი იქნება მათთვის სპეციალური სამკითხველო დარბაზი. ჩვენი ბიბლიოთეკების ტენდენცია, უგულვებელყონ ბავშვებთან მუშაობა – არის უკან გადადგმული ნაბიჯი, სინამდვილე კი გვეკარნახობს, მეტი ყურადღება მივაქციოთ ბავშვებს, ვიდრე მოზრდილებს (17).

ამგვარად მიმართავდა ე.რ. გორინა ხელმძღვანელ ამხანაგებს ოციანი წლების დასაწყისში, მაგრამ უშედეგოდ. ერთ დროს აქტიურად მომუშავე ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება დახურეს, ხოლო ბავშვთა წიგნების კოლექცია ამოიღეს სპეციალური საბავშვო ბიბლიოთეკის ჩამოსაყალიბებლად.

ე.რ. გორინა ამავე წერილში ეხება საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის საფასურის შემოღების საკითხს და კატეგორიულად გამოდის ამის წინააღმდეგ. მისი თქმით, აგერ უკვე ხუთი თვეა ბიბლიოთეკები საფასურს იღებენ, მაგრამ ეს არავითარ არსებით შედეგს არ იძლევა: იგი გამოთქვამს აზრს, რომ „ბიბლიოთეკები ისევე მნიშვნელოვანია და საჭირო, როგორც სკოლა, საავადმყოფო, შუქი, წყალი“. შემდეგში ის აყენებს წინადადებას, შემოღებულ იქნეს საბიბლიოთეკო გადასახადი, რომ გადავარჩინოთ ბიბლიოთეკები, რომლებიც თანდათან ქრებიან. „წლის განმავლობაში, – აცხადებს ის, – ისინი არამც თუ არ მარაგდებოდნენ წიგნებით, არამედ არც კი ფინანსირდებოდნენ“ (17). ე.რ. გორინას მიერ წამოყენებული პრობლემები ე.წ. „რეკონსტრუქციის პერიოდში“ 1917-1920 წლებში, სამწუხაროდ, ჩვენში დღესაც აქტუალურია თანამედროვე პერიოდში.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დამანგრეველად მოქმედებს ბიბლიოთეკაზე, იყო გაცემული წიგნების „ქრონიკული“ დაუბრუნე-

ბლობა. ბიბლიოთეკა იძულებული გახდა, მიემართა მკითხველისათვის „წიგნების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ლიგის“ შექმნის შესახებ. ე.რ. გორინა იქვე წერდა, რომ ბიბლიოთეკის წიგნების მითვისება ხდება ბიბლიოთეკის განადგურების ნამდვილ მიზეზად. რაც შეეხება საწინდარს, ფულის კურსის დაცემასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, არარაობად იქცა, ხოლო მინდობილობები, რომლებსაც საწარმო-დაწესებულებები იძლეოდნენ, ფარაგინა ქალაქებად გადაიქცა. ბიბლიოთეკარის შრომა ფაქტობრივად დავალიანებული წიგნების დაბრუნებისათვის ბრუნვამდე დავიდა, ამას ემატება გაფაციცებული ყურადღების მიპყრობა, რომ დარბაზებში მკითხველმა წიგნებიდან ფურცლები არ ამოხიონ (17).

დაწყებული 1922 წლიდან, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბიბლიოთეკა ქაოტურად, მაგრამ მაინც კომპლექტდებოდა. რუსეთისა და უკრაინის წიგნის პალატებმა ამ წელს დაიყეს თბილისში სავალდებულო ცალების გამოგზავნა, რასაც ერთგვარი გაუგებრობები დაერთო. წიგნები და შეტყობინებები იგზავნებოდა აღრესაგისათვის – „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას“. გზავნილები ხან თბილისის პუშკინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, ხანაც სახელმწიფო ცენტრალურ აკადემიურ ბიბლიოთეკაში (ყოფილი პარლამენტის ბიბლიოთეკა), ხანაც კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში – ყოფილ „გფილისის საჯარო ბიბლიოთეკაში“ ხვდებოდა. ჯერ კიდევ არ არსებობდა რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რაც ერთგვარ არეულობას იწვევდა. ამგვარი მდგომარეობა 1923 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე „გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“ (კავკასიის მუშეუმთან არსებული) არ გარდაიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკად.

ისტორია კარგად იცნობს საბიბლიოთეკო ფონდების დაქსაქსვისა და დაფანგვის ფაქტებს, განსაკუთრებით იდეოლოგიურ „არქიტექტურთა“ ცხაურში გაგარების დროს ე.წ. „პოლიტიკური რეკონსტრუქციების“ პერიოდში. ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლი-

ოთეკის ბედი ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს. 1922 წლის აპრილში მთავარპოლიტიკანმა გადაწყვიტა შენობის ზედა სართული, სადაც იმყოფებოდა გექნიკური საზოგადოება, სკოლისგარეშე მუშაკთა სახლისათვის დაეთმო, ამასთან, მას გადასცა განათლების სახალხო კომისართა და არგისტული საზოგადოების ბიბლიოთეკების ფონდები (18). სკოლისგარეშე მუშაკთა სახლის წიგნადი ფონდები და ინვენტარი დაახვავეს ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავში. შედეგად მთლიანად მოიშალა პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის ფონდისა და ქონებრივი აღრიცხვის სისტემა. ეგყობა, ამან და სრულმა განუკითხაობამ აიძულა ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორი ე.რ. გორინა გადამდგარიყო (17).

1923 წლის 22 თებერვალს სკოლისგარეშე მუშაკთა სახლის დირექტორმა, ვაქთა გიმნაზიის ისტორიის და გეოგრაფიის ყოფილმა მასწავლებელმა დიმიტრი გიორგის ძე ბუნინმა თავის თანამშრომლებს განუცხადა, რომ 1923 წლის 15 თებერვალს მთავარპოლიტიკანის განკარგულებით, „პუშკინის ბიბლიოთეკა“ როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციული თვალსარისით გადავიდა სკოლისგარეშე მუშაკთა სახლის გამგებლობაში. მოგვიანებით სკოლისგარეშე მუშაკთა ბიბლიოთეკა საერთოდ გაუქმდა, ხოლო მისი კოლექციები მთლიანად გადაეცა საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას და, ამრიგად, გაქრა საბიბლიოთეკო ისტორიაში თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის ფონდების კვალი. ამის გამოკვლევა უკვე სულ სხვა კვლევის საგანს წარმოადგენს.

დამოწმებული წყაროები:

1. Кавказ – 1899, 6 февр. №34.
2. იქვე – 1899, 4 მარტი, №59.
3. იქვე –
4. იქვე – 1899, 13 მარტი, №68.
5. იქვე – 1899, 17 მარტი, №72.
6. იქვე – 1899, 2 აპრ. №87.

7. იქვე – 1899, 7 აპრ. №99.

8. იქვე – 1899, 12 მაისი, №124.

9. იქვე – 1899, №274.

10. იქვე – 1899, 9 მარტი, №64.

11. იქვე – 1904, 18 მაისი, №129.

12. იქვე – 1904, 16 მაისი, №128.

13. იქვე – 1904, 28 სექტ. №258.

14. იქვე – 1905, 16 თებ. №44.

15. იქვე –

16. იქვე – 1905, 9 თქტ. №257.

17. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი – Горина Е.Р. Основание и развитие Пушкинской библиотеки: (рукопись) – Тифлис, 1924.

18. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი – Благодарный читатель. Библиотека внешкольного работника г. Тбилиси: (Рукопись) – Тифлис, (Б.г.).

19. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი Туманова Е. Сведения о Тифылисских библиотеках в дореволюционное время собранные мною: (Рукопись);

20. Систематический каталог книг пожертвовани Л.М. и М.И. Тамамшевым Тифлисской Городской Публичной Библиотеке им. А.С. Пушкина. – Тифлис: „Гермес“, 1912. – 508с.

21. Каталог Тифлисской городской публичной библиотеки им. А.С. Пушкина. – Тифлис: Тифлисское городское самоуправление; Типография Штаба Кавказского военного округа, 1910-1912. – 576с.

22. საქართველოს ნაციონალური ბიბლიოთეკის არქივი. გეხგმანი გ.ნ. საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზაციისათვის. – თბ., 1923.





ირინა გოგლიძე  
 ქრონული ბიბლიოთეკის საცავ-მუზეუმის გამგე

## ახალციხის მისიონის ბიბლიოთეკის ისტორიიდან

1828 წელს, როდესაც რუსეთის თვითმპყრობელობამ დიდი ბრძოლის შემდეგ ახალციხე აიღო, სხვათა შორის, მას ალაფად დარჩა ძვირფასი განძი – ექვსასზე მეტი არაბული ხელნაწერი, რომელიც მაშინვე აუწერიათ და ს. პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკისათვის გაუგზავნიათ.

ვინმე П.С..... СКИЙ ვრცელ წერილს უძღვნის ახალციხის ბიბლიოთეკას და დაწვრილებით აგვიწერს იქ ნახულ ხელნაწერებს. მისი წერილი „Ахалскихская мечеть и библиотека“ მოთავსებულია გაზ. „Тифлисская ведомость“-ში (1828, №16).

ავტორი ჯერ აგვიწერს ახალციხის მთავარ მისიონს, რომელიც ცნობილი ყოფილა ახმედის მისიონის სახელწოდებით, შემდეგ ამ მისიონთან არსებულ ლიცეუმს, რომელსაც საუკეთესო ბიბლიოთეკა ჰქონია ახმედ-ფაშას მიერ დაარსებული. აგვიწერს რა ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერებს, ამბობს, რომ „ახალციხეში ნაპოვნ წიგნებს შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია კიგაბ-სიბევე, I ნაწილი. ეს ძვირფასი ხელნაწერი, როგორც ჩანს მინაწერიდან, გადაუწერიათ 547 წელს, მეორე – 389 წლის მანუსკრიპტიდან (წელთაღრიცხვა მაჰმადიანურია), ე.ი. ახალციხეში შექმნილი კიგაბ-სიბევის ასლი დაწერილია 697 წლის წინათ“. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობდა სამი ხელნაწერი „ყურანი“ ძვირფასად შემკული და მოხატული. ყოფილა აგრეთვე ხელნაწერი წიგნები ღვთისმეტყველებიდან: შრახი იშარაგა\*, ხელლე მუშკულიაგ და შარხე აკაიდ; ფილოსოფიიდან: გეხმიბ, შარხიხალი, კამირ და სხვ. ომარის სექსის ერთ-ერთი კანონმდებელს – ცნობილ

ახცხანიფეს მიერ მეშვიდე საუკუნეში ბაღდადში გამოქვეყნებული საკანონმდებლო წიგნები, როგორცაა, მაგალითად, ხოლასეგულფეგავი, მცინულ-ხუკამ, ბახრუფიგვა და შირაგულ ისლამ. სიგყვიერებიდან: შარხ-ჯამი, მუგაველ, არაბული და თურქული ლექსიკონები. ისტორიიდან: გარიხრაშიდ, სიარი-ქებრ და სხვანი.

უკანასკნელი წიგნი, რომელშიც აღწერილია ბოლო დროის ამბები, ახალციხის ბიბლიოთეკისათვის უჩუქებია სულთან მაჰმუდს. პოემიდან არაბულ ენაზე: კასიდე-ბარიდე, აბიგგება; სპარსულად ჰაფიზის ლექსთა კრებული, თურქულად: რაგიბა, ისაბიგა და სხვა.

ახმედის მისიონის ბიბლიოთეკაში ყოფილა ისეთი წიგნები, რომლებსაც აღმოსავლეთის ლიგერაგურის მკვლევარნი საგანგებოდ ეძებდნენ შესაძენად სპარსეთსა და განსაკუთრებით არღებილის ბიბლიოთეკაში. ასეთებია, მაგალითად, ანვარუ განშილი – თხზულება კამი ბეიბავასი, ჰაფიზის განმარტებებით; გიული-სგან-სადის თხზულება, გარიფაგ-სვიდ-შარიფის თხზულება და სხვ.

ახალციხის ბიბლიოთეკა, არღებილის ბიბლიოთეკასთან შედარებით, უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანი ყოფილა. არღებილის ბიბლიოთეკის წიგნების დიდი უმრავლესობა დაწერილი ყოფილა ფარსულ ენაზე. უმთავრესად ისტორიის და პოემიის დარგიდან. სხვადასხვა დროს უსისგემოდ შეგროვებული ახალციხის ბიბლიოთეკა გათვალისწინებული იყო სასწავლებლისთვის და ამიგომაც აქ წარმოდგენილი იყო მეცნიერების სხვადასხვა დარგი: გრამატიკა, რიტორიკა, სიგყვიერება, მათემატიკა,

ასგრონომია, ფილოსოფია, ღეთისმეგყველები, კანონმდებლობა და სხვ. ამ წიგნების დიდი ნაწილი დაწერილი ყოფილა არაბულ ენაზე, რაც, წერილის ავტორის აზრით, დიდ უპირატესობას ანიჭებდა ახალციხის ბიბლიოთეკას, რადგანაც არაბული კულტურა პირველწყაროა სპარსელების, თურქების და თათრებისთვის.

როგორც ხსენებული წერილიდან ჩანს, ეს ბიბლიოთეკა გაუყვიათ: ნაწილი (უნდა ვიფიქროთ, მცირე და ნაკლებად მნიშვნელოვანი, რადგანაც რუსეთის თვითმპყრობელობის გენერლები თავს არ მოიგყუებდნენ) დაუტოვებიათ ახმედის მისგითისთვის, როგორც ავტორი ამბობს: „для продолжения и поддержания училища“, ნაწილი კი გაუგზავნიათ ს.-პეტერბურგში.

საინგერესოა კიდეც ერთი პაგარა ცნობაც: ახალციხის აღების შემდეგ, როდესაც მთავრობას გაუგია, თუ რა სიმდიდრეს წარმოადგენდა ახმედის მისგითის ბიბლიოთეკა, დაუვალეებით ნიკ. მურავიოვისთვის და პასკევიჩის თარჯიმან აბას-ყოლ-აღასთვის, გაესინჯათ და სისგემაგურად აეწერათ ხელნაწერები.

მათ თანამშრომლად მიუწვევიათ მოხუცი, ეფენდი ახალციხელი. ამის შესახებ თვითონ ნიკ. მურავიოვი ერთ პაგარა წერილში გვამცნობს: „ხელნაწერების გარჩევის დროს, მე შევამჩნიე ყუმბარა, რომელსაც ბრძოლის დროს გაეგლიჯა ბიბლიოთეკის სქელი კედელი და მეცნიერების წმიდათა-წმიდის შუაგულში დაცემულა. – ყუმბარა ხელში ავიღე, მივუგანე ეფენდის და ვკითხე: „რომელ თანრიგს მიაკუ-

თვნებთ, პატივცემულო მოხუცო, ამ ნობათს?!“ ჩემი სიგყვების მწარე შთაბეჭდილებით მოხუცის შუბლი შეიჭმუნხნა, მან გამომართვა ყუმბარა, რამდენჯერმე შეატრიალა, ღრმად ამოიხრა ამაყი ახალციხის დაცემის გამო, და მიპასუხა: „ჩაწერეთ, ქვეყნიერების უკუღმართობის მოგონებათა თანრიგში“. (იხ. АНЕКДОТ, – გაზ. „Тифлисская ведомость“ – 1829, №4. ВЕ. 4).\*

ამ ბიბლიოთეკის შესახებ ერთხელ კიდეც ვკითხულობთ: „ახმედ ფაშას მშვენიერი მისგითი გადაუკეთებიათ ქრისტიანულ ეკლესიად, მაჰმადიანური სასწავლებელი ბიბლიოთეკით გაუქმებულა და ექვსასი ხელნაწერი გადაგზავნილა ს.-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში“ (იხ. КОНСТАНТИНОВ, О. Закавказский край – „Кавказский календарь“ – Тфл., 1851).

ახალციხე – ძველი კულტურული მესხეთის ნაწილი, დიდხანს იყო მაჰმადიანური სარწმუნოების გავლენის ქვეშ და, როგორც ბემოთ მოყვანილი წერილის ავტორი აღნიშნავს, ამიის ოსმალეთის კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა. რომის ეკლესიისათვისაც ახალციხე იყო ბაზა კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდისათვის საქართველოში.

უნდა ვიფიქროთ, ყველაფერი ეს თავლებია იმისა, რომ ახალციხე საინგერესო ასპარეზია მკვლევარისთვის. ალბათ, კიდეც მოიძებნება იქ ძველი საბუთები, ხელნაწერები და წიგნები.

\* ხელნაწერების სათაურის და ავტორთა გვარების მართლწერა ყველგან წერილის ავტორისაა.

\* საქ. საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტსაცავში დაცულია „Тиф. вед.“ 1828-29 წ.წ. ამ წერილის ბოლოში ევ. ვილენბაუმის ხელით მიწერილია – Ник. Ник. Муравьев.

მიმდინარე წელს შესრულდა დიდი რუსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვის დაბადების 200 წლისთავი და გარდაცვალებიდან 175 წელი, აგრეთვე მიხეილ ბარათაშვილის (ბარათაევის) დაბადების 220 წლისთავი და მისი „უკვდავთა აკადემიაში“ არჩევის 160 წელი. მკვლევარმა გიორგი სარაჯიშვილმა ამ მნიშვნელოვან თარიღებს მიუძღვნა გამოკვლევა, რომელსაც უმნიშვნელო შემოკლებით ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.



გიორგი სარაჯიშვილი

## „ჩვენ არასოდეს მოვკვდებით“ ...



„არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა“.

ილია

**გ**რიბოედოვის გვარი, რომელიც „ღღისათვის შეწყვეტილია, მიეკუთვნება რუსეთის უძველეს სათავადაზნაურო გვარების რიცხვს. პოეგის მამა-სერგეი ივანეს ძე ლაქორწინებული იყო ასევე გრიბოედოვამბე-ნასტასია თედორეს ასულზე – ჭკვიანზე, ენერგიულ ქალზე, რომელსაც „ეკავა სახლი თავისი ღესპოგური ძალაუფლების ქვეშ. ქმარი მის წინ მიჩქმალული იყო“.

სახლი, რომელშიც გრიბოედოვები ცხოვრობდნენ, მოსკოვის გარეუბანში, ღღესაც იმავე სახით გამოიყურება. იქ იკრიბებოდნენ მოსკოვის ღღგვაროვანი თავადები: ოღოვესკები, ნარიშკინები, რიმსკი-კორსაკოვები. რაც შეეხება რაზუმოვსკებს, ისინი ოჯახის ნათესავები იყვნენ. მათ აქ რუსეთის ღღკაცური სამყარო ჰქონდათ შექმნილი, რომლის წარმომადგენლები ეკატერინე II-ის სასახლის სამსახურში იყვნენ. ასეთ ღღკაცურ წრეში მიმდინარეობდა ალექსანდრეს ბავშვობა. ღღდამ იბრუნა, შვილისათვის ბრწყინვალე მეცნიერული განათლება მიეცა. ალექსანდრე თავისუფლად


ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ ენებს. ბავშვობიდანვე უკრავდა ფორტეპიანოს, ეხერხებოდა იმპროვიზირება, კარგად იცოდა მუსიკის თეორია, სწავლობდა ცნობილ პეტერბურგელ პროფესორ იოანე მილერთან, მისი საყვარელი კომპოზიტორები იყვნენ: მოცარტი, ბეთჰოვენი, ჰაიდნი, ვებერი. საუცხოოდ უკრავდა და თავადაც არაერთი მუსიკალური ნაწარმოები ჰქონდა შექმნილი. „ვაი ჭკუისაგან“ წარმოდგენისას ალექსანდრეს მიერ შეთხზული ვალსი სრულდებოდა და სპექტაკლს მიმზიდველ ელფერს სძენდა. რუსული კლასიკური მუსიკის უუძემდებელი მიხეილ გლინკა ღღდად აფასებდა გრიბოედოვის მუსიკალურ ნიჭს. იგი წერდა: „თითქმის მთელი ღღე გავაგარე გრიბოედოვთან ერთად, ის ძალიან კარგი მუსიკოსი იყო და გაღღმომცა თემა ქართული სიმღერისა, რომელზეც ალექსანდრე პუშკინმა დაწერა ღღქსი „ნუ მიღღერ, ღღამაზო.“

გრიბოედოვის საყვარელი გასართობი რიღაღღე ღღკვრა იყო, ამიგომაც, როცა თბილი-

\* ღღსაწყისი. გაგრძელება შემღღეგ ნომერში

სში იმყოფებოდა, ფორგეპიანო იყიდა. 1820 წლის 3 მაისს თავრიზში მყოფი, წუხდა, რომ ფორგეპიანო ჯერ კიდევ არ ჰქონდა იქ. მისი თბილისიდან ჩაგანა სულ უფრო იგვიანებდა. 1823 წლის დასაწყისში გრიბოედოვი შვებულე-ბით მოსკოვში უნდა გამგზავრებულიყო. როცა ფორგეპიანოს აღრინდელმა პაგრონმა გაიგო ეს, თხოვა ალექსანდრეს, ინსტრუმენტი მისთვის დაეთმო. ალექსანდრე ასე იგონებს ამას: „...მე ყუთში მოვათავსე კიდევ ჩემი ფორგეპიანო, რომელიც მურავიოვს მიეყიდა; ადამიანი იფიქრებდა, კუბოში ვლებდი მეგობარს, ისე მე-კუმშებოდა გული...“ მუსიკალური ნიჭის პაგრონის მხოლოდ ორილდე მუსიკალურმა ნაწარმოებმა მოაღწია ჩვენამდე.

ალექსანდრეს ცნობილი ენციკლოპედი-სტი პეგროზილიუსი და სამართლის დოქტორი იონი მოძღვრავდნენ. 15 წლისა შეუყვანიათ უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად, სადაც მეტი სიფხიზლისათვის, დედა მას აღმზრდელთან ერთად აგზავნიდა. ალექსანდრესათვის დედას შეურჩევია „ეთიკო-პოლიტიკური“ ფაკულტეტი. იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში წესად იყო, პროფესორთა სახლის კარები ღია იყო სტუდენტებისათვის. პროფესორთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა სახელებიც დასავლეთ ევროპაში ქუხდა: ბული, გეიმი, რეინჰარდტი, შლეცერი (შვილი) და სხვები. ბული გრიბოედოვს კერძო გაკვეთილებს უგარებდა სხვადასხვა საგნებში. ორი წლის შემდეგ (1812) ალექსანდრემ სამართლის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა. მაგრამ მას ლიგერატურა იზიდავდა. სწავლის პერიოდში წერდა ლექსებს, უმეტესად საგირასა და ეპიგრამებს, გაგაცებული იყო თეატრით და თავად თამაშობდა კიდევ სტუდენტო-



ბის დროს მოყვარულთა სპექტაკლებში. ალექსანდრე პიესებს თარგმნიდა როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვებთან ერთადაც. მკაცრ დედას არ მოსწონდა შვილის ლიგერატურული „გართობანი“ და გასაქანს არ აძლევდა. გაჩაღებული ომის გამო 1812 წელს ახაგაზრდა ალექსანდრეს გადაუწყვეტია, თავი დაეღწია ოჯახური მარწუხებისთვის და სამხედრო სამსახურში შესულა და ჰუსართა პოლკში გაუმწესებიათ, მაგრამ „პოროხის“ სუნის გასინჯვა არ მოსწევია. ყმაწვილ კაცში მომაღლებულ ნიჭს ცელქობა და ჟინიანობა სძლევდა. ცხოვრობდა მხედრული ცხოვრებით: დროს აგარებდა, კარგს თამაშობდა. ამგვარ ყოფაში გააგარა 4 წელი. „Вестник Европы“-ში გამოუქვეყნებია სტატია „О кавалеристских резервах“. ერთელ ცხენზე ამხედრებული შენობის II სართულზე ბალზე შევარდნილა; ეკლესიაში წირვაზე დაუკრავს და „შტუკა“ ჩაუდენია;

უმომოდ ჰყვარებია მეგობრები. 1816 წელს თავი დაუნებებია ყაზარმის „საბუგილნიკებისათვის“ და „აგსტავკაში“ გასულა. გამგზავრებულა პეგერბურგში. მეგობრების დახმარებით გასცნობია ალექსანდრე პუშკინის წრეს. ამ პერიოდს განეკთვნება ლუელის ეპიზოდი, რომელმაც მის შემდგომ ცხოვრებას სამუდამოდ დაასვა დაღი. იმ დროს ალექსანდრე მეგობართან – თავად ბავალოვსკისთან ცხოვრობდა ბინაში. ბავალოვსკი ეარშიყებოდა ცნობილ მოცეკვავე ისტომინას. გრიბოედოვმა ისტომინა სპექტაკლის შემდეგ მიიწვია ჩაიზე თავისთან. ისტომინა დათანხმდა, მაგრამ ვასილ შერემეგევის შიშით, რომელიც თავყანს სცემდა მას, ვერ გადაეწყვიტა, პირდაპირ თეატრიდან წასულიყო თუ არა გრიბოედოვთან ერთად. ამიგომ

სტოვა მას, სასტუმროს ებოში და-  
ეცადა მისთვის, სანამ იგი სახაზინო კა-  
რეგით მივიდოდა. ისტომინამ შე-  
ასრულა დანაპირები. გადაუჯდა მარხი-  
ლში გრიბოედოვს და მასთან გაემგზა-  
ვრა. შერეშეგეივი შენობის კელლის კუ-  
თხიდან თვალს აღევნებდა მათ. ცნო-  
ბილი ღუელიანტი იაკუბოვიჩი – მომა-  
ვალი დეკაბრისტი – ჩაერია რა ამ სა-  
ქმეში, ურჩია მას, გრიბოედოვი ღუ-  
ელში გამოეწვია, თვითონ კი ღუელს  
ზავადოვსკისთან გამართავდა. გრიბო-  
ედოვმა მიიღო გამოწვევა, დათანხმდა  
ღუელზე იმ პირობით, რომ შერეშეგეი-  
ვი შებმოდა ღუელში ზავადოვსკის, ხოლო  
თვითონ – იაკობოვიჩს. პირობები მიღებული  
იქნა. ეს უაზრო დაპირისპირება შერეშეგეივის  
სიკედლით დასრულდა. ყოველივე შეიძლე-  
ბოდა უფრო მძიმე შედეგით დამთავრებუ-  
ლიყო, თუ არა შერეშეგეივის მამა, რომელმაც  
სტოვა ხელმწიფეს, არ დაესაჯათ ზავადო-  
ვსკი. ზავადოვსკი საზღვარგარეთ გადაასა-  
ხლეს, ხოლო იაკუბოვიჩი კავკასიის დრაგუნთა  
პოლკში გადაიყვანეს. შერეშეგეივის „სასი-  
კვდილო კრუნჩხვების“ ხილვამ შემადრწუნე-  
ბელი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრე-  
ზე. მას ცხოვრების მანძილზე მუდამ თვალწინ  
ედგა ეს სურათი. განსაკუთრებით უმძიმდა პი-  
რველ ხანებში. ამის გამო იყო, რომ სპარსეთის  
საქმეების რწმუნებულის შეთავაზებულ წინა-  
დადებაზე, გამგზავრებულიყო ირანში, მას  
უარი არ უთქვამს და უყოყმანოდ დათანხმდა  
ამას.

ალექსანდრე გრიბოედოვი თბილისში პი-  
რველად 1818 წლის 21 ოქტომბერს ჩამოსულა  
და 25 ოქტომბრამდე უცხოვრია პოლის სასტუ-  
მრო-გრაქტირში, რომელიც დღევანდელი კო-  
ლმეურნეობის მოედანზე მდებარეობდა ყო-  
ფილი საფოსტო კანგორის პირდაპირ, სადაც  
შემდეგ ნერსესიანის სომხური სასწავლებელი  
გახსნილა. საფრანგეთის თბილისელი კონსული



გამბა გვიამბობს: „ჩვენ ჩამოვხვით საფრანგე-  
თის არმიის ერთ გრენადერთან, პოლად წოდე-  
ბულ პროვანსალელთან, რომელიც რუსებს  
გყვედ ჩავარდნიათ 1818 წლის კომპანიის  
დროს. საქართველოში იგი ჩამოსულა, რო-  
გორც მზარეული ერთ რუს გენერალთან  
ერთად, ახლახან თბილისში გახსნა საკუხმი-  
სგრო სასაუბმე, რაც ნამდვილ სიახლეს წარმო-  
ადგენს აზიაში. იგი პატიოსანი და პატივსაცემი  
კაცია“. დიუბუა და მონპერეს ჩანაწერების მი-  
ხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას „რესტორაცია“  
1828 წლის ბოლომდე უნდა ჰქონოდა, რადგან  
1829 წლის პირველ თვეებში მის სასტუმრო-  
გრაქტირს უკვე ვინმე ანგუან მაგასი მართა-  
ვდა. პოლის სასტუმრო 1819 წელს თბილისის  
მოწინავე საზოგადოების თავმჯდომარე  
ადგილს წარმოადგენდა. გამთრის პერიოდში  
მოქმედებდა კლუბი ანუ კაზინო. გაუსხნიათ ბი-  
ბლიოთეკა სხვადასხვა საუკეთესო გამოცემე-  
ბით. დაუწყიათ ფრანგული და გერმანული გა-  
ზეთების გამოწერა და სამკითხველო კაზინე-  
ციც გაუსხნიათ: „იმ კლუბის წევრი ვარ, რომე-  
ლიც ყოველნაირ გამეთებს იწერს“, – წერდა  
თავის მეგობარს გრიბოედოვი თბილისდან.  
კლუბს საკრებულოს ეძახდნენ, სადაც აგარე-  
ბდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს. თბილისში  
გრიბოედოვის პირველი ჩამოსვლა ემთხვევა  
კავკასიაში სახელგანთქმული მხედართმთა-

ვრის ალექსი ერმოლოვის (1772-1861) მთავარმართებლად (1816-27) ყოფნას. გრიბოედოვის თბილისში ჩამოსვლის მიზეზი იყო პეტერბურგში საგარეო საქმეთა კოლეგიაში თარჯიმნად მომუშავეს სპარსეთში საელჩოს მდივნად გამწესება.

პოლის სასტუმროში ჩამომხტარ ალექსანდეს შენობაში შესვლამდე შეხვედრია იაკუბოვიჩი, რომელსაც შეუთავაზებია მისთვის „გადაღებული“ ღუელის გაგრძელება. მათი ღუელი კუკიის რაიონში, გყის პირას, დღევანდელი მარჯანიშვილის ქუჩის ბოლოს შემდგარა. გრიბოედოვმა პირველმა ისროლა, მისცა „ПРОМАХ“-ი. იაკუბოვიჩმა მსუბუქად დაჭრა. გაუხვრიტა მარცხენა ხელის მტევანი,

დაუზიანა ნეკი. ალექსანდრე „ბრიჩკით“ წაიყვანეს. ორთაბრძოლის მიჩქმალვის მიზნით, ხმა გაავრცელეს, თითქოს სანადიროდ იყვნენ, ალექსანდრე ცხენიდან გადმოვარდა და ცხენმა ფეხი დააბიჯა ხელზე, ხოლო იაკუბოვიჩი გრიბოედოვთან გრიალებდა და ვერავინ იფიქრებდა, რომ ისინი ერთმანეთის მტრები იყვნენ. მაგრამ ღუელის ამბავი მაინც გამომჟღავნდა. ხელის დაზიანების თაობაზე ალექსანდრე



მეგობარს წერდა: „... მე აქ კინალამ მომისპეს ფორგეპიანოზე დაკვრის უნარი, თუმცა ახლა განვიკურნე და ისევ ვმართავ კრიმანჭულეზსო“. იაკუბოვიჩის ნახვით გაკვირვებული ალექსანდრე ღუელს მოუმზადებელი შეხვედრია. თუ გრიბოედოვის ბიოგრაფიას თვალს გაავადვენებთ, შეიძლება ითქვას, რომ მხედრობისაღმდეგ მიდრეკილება მას არ გააჩნდა. ეს შეხვედრა რადგან გრაგიკულად არ დასრულებულა, არც მისულა ოფიციალურ მოხელეთა ყურამდე, მაგრამ ერმოლოვი მაინც დიდხანს ბრძობდა ღუელის მონაწილეებზე.

სპარსეთში გრიბოედოვმა 3 წელი დაჰყო. შეისწავლა სპარსული. შეიძლება ითქვას, სპარსეთის მასზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ადევნებდა სამშობლოზე ფიქრი. მოწყენილობისას ერთხელ ბაღში ჩასიძინებია. დასიზმრია, რომ იმყოფებოდა მეგობრების წრეში მოსკოვში, სადაც მათ უკითხავდა თავის კომედიას. გაღვიძებულმა მოიმარჯვა ფანქარი და გააკეთა პირველი სცენების მონახაზი. მოგებრდა სპარსეთში ცხოვრება და საკუთარი თხოვნის საფუძველზე გადმოიყვანეს დიპლომატიური ჩინოვნიკების ნაწილში ერმოლოვთან. თბილისში 1 წლამდე დაჰყო. ცხოვრებდა ექმარქოსის მოედანზე მდებარე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის სახლში.

სწორედ აქ გაასრულა მან „ვაი ჭკუისაგან“. ეწეოდა თავდაჭერილ ცხოვრებას. იჯდა სახლში „გუმბეცების“ ახალუხში. ერთობოდა უმეგესად მუსიკით; იყიდა ფორგეპიანო ერევნის პოლკის კომანდირის – მურავიოვისგან, რომელიც შემდეგ კავკასიის მთავარმართებელი გახდა. მისი ფორგეპიანო თბილისში მესამე იყო, საკრავი ედგათ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს და გენერალ ახვერდოვს. ალექსანდრე

მიღებული იყო თბილისის ცნობილ არისტოკრატიულ ოჯახებში როგორც მეგობარი. ძალზე ხშირად სტუმრობდა სოლოლაკში „გენერალმა“ ახვედროვას – ჭკვიანი, განათლებული ქალბატონის ოჯახს. ამ ოჯახში იზრდებოდა ნინო ჭავჭავაძე და იქ გაიცნო იგი ალექსანდრემ.

სოლოლაკის ხევში ახვედროვების მშვენიერი ბაღიანი სახლი იდგა. ბინის ერთ ფლიგელში ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ცხოვრობდა. 1820 წელს, დაქვრივების შემდეგ, პრასკოვია ახვედროვამ, პანსიონი გახსნა. პანსი-

ონში სხვებთან ერთად დადიოდნენ ნინო და ეკატერინე. სხვადასხვა სასწავლო საგნებთან ერთად, ასწავლიდნენ ცეკვას, მუსიკას. მუსიკალურ შეკრებებსა და მასკარადებს გრიბოელოვი ედგა სათავეში. სადილის შემდეგ საღარბაბო ოთახში გავიდოდა და იცყოლა: „აბა, ბავშვებო, იცეკვეთო“. თვითონ თხზავდა საცეკვაო მელოდებს. ცეკვები ბავშვებისათვის სასიამოვნო, მაგრამ რთული იყო. მთელი საღამო ალექსანდრე არ შორდებოდა როიალს. გამართულ კონცერტებში სტუმრებიც მონაწილეობდნენ. ერთ-ერთ მასკარადზე ნინო ჭავჭავაძე მოვიდა ძველ ქართულ კაბაში გამოწყობილი, კაბა მის ბეზიას, მარიამ ივანეს ასულს შემორჩენოდა. კაბა ახალი ყაილის სამოსზე ბევრად უფრო ლამაზი იყო და ნინოსაც ისე უხდებოდა, რომ თვალი იმაზე უკეთესს ვერას ნახავდა.

ნინოს მუსიკა მალე შეუსწავლია. „ალექსანდრე სერგეევიჩის მთავარი ყურადღება ნინოსადმი იყო მიპყრობილი, რომელიც მაშინ, მართალია, 14 წლის იყო, მაგრამ, როგორც ყველა სამხრეთელი, უკვე სავსებით დაქალბული. იგი ნინოს მუსიკას ასწავლიდა, ფრანგულად ელაპარაკებოდა და მაშინაც კი, როცა ნინოს ხელი მოჰკიდა და ჩვენს ბაღში მოიყვანა, რათა ცოლობა ეთხოვა, ნინოს ეგონა, რომ როიალთან მიყვანა სწავლიაო“, – წერდა ქართული პოლკის უფროსის თედორე ახვერდოვის ქალიშვილი.

ოთხი წლით მოსკოვთან განშორების შემდეგ ალექსანდრე შვებულებით მიემგზავრება რუსეთში. ახლო მეგობრულ წრეში წაიკითხა თავისი კომედია; ერთნი კმაყოფილნი და-

რჩნენ, სხვები იწუნებდნენ. ცნობილია, რომ აგორს დაუხევია ნაწერები და „ფეჩი“ შეუყრია, მაგრამ თავის წამოწყებას თავს მაინც ვერ ანებებდა და ისევ და ისევ წერდა. გრიბოელოვს, როგორც პიროვნებას, მისი უახლოესი მეგობარი ასე ახასიათებდა: „გრიბოელოვთან კეთილშობილი ადამიანი გარდაიქმნებოდა უკეთილშობილესად. მისი ხმის გემბრი, გაღიმება, გამოხედვა, მოქცევა აგარებდა რაღაც უბოროტ მომხიბლველობას; ხმის ბგერები აღწევდა სულში. დაჯერებულობა მოედინებოდა მისი ბაგედან... შეეძლო, თვითონ მოგყუებუ-

ლიყო, სხვა მოეცეუებინა – არასოდეს...“

ერთხელ მის დასთან მისულ გრაფ ვილეგორსკის უნახავს კომედიის ხელნაწერი, რომელიც ფორგეპიანოზე იღო, აუღია და წაუკიხავს. ძალზე მოწონებია, უთხოვია, გადაწერის ნებართვა მომეციო. ალგაცებას ვერ ფარავდა, გადაუწერია და, როგორც იცყვიან, თვალის დახამხამებაში მოსკოვში გაუვრცელდება.

1826 წელს თებერვალში კავკასიაში ერმოლოვის მოგზაურობაში თავ-

ნმხლები გრიბოელოვი სგანცა ეკატერინოღარში დააპაგიმრეს, როგორც ღეკაბრისგულ მოვლენებში მონაწილე. სამხედრო დისციპლინის მოყვარულს, ბრძოლის ველზე გაჭაღარავებულ ერმოლოვს, ვისმეც პუშკინი წერდა: „Смирись Кавказ – идет Ермолов“-ო, ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობამ დასძლია. გულწრფელად უყვარდა გრიბოელოვი, როგორც საკუთარი შვილი. გააფრთხილა ალექსანდრე და ერთი საათი მისცა იმისათვის, რომ გაენადგურებინა მამხილებელი მასალები. ამ ამბა-



ვთან დაკავშირებით ალექსანდრე გურგენევს თავის დღიურში ჩაუწერია: „...ერმოლოვს თავი რომ გადაერჩინა, გრიბოედოვი გადაარჩინა, იცოდა და ორი საათით აღრე გააფრთხილა“-ო. გრიბოედოვმა მოსკო მამხილებელი ქაღალდები – ორი ჩემოდანი. ერმოლოვმა სამხედრო მინისტრს მისწერა, რომ მან მიიღო მისი უმაღლესობის ბრძანება გრიბოედოვის დაპატიმრების შესახებ, რაც სწრაფად იქნა შესრულებული და ამდენად, გრიბოედოვი ვერ შეძლებდა მამხილებელი ქაღალდები მოესპო. ამასთან, ერმოლოვი აგრეთვე წერდა, რომ გრიბოედოვს ახასიათებს წესიერება და გამორჩეული თვისებები. გრიბოედოვი სასწრაფოდ გაგზავნეს პეტერბურგში. მთელი გზა მხიარულად იყო, იცინოდა, ხუმრობდა – დარწმუნებული, რომ ვერაფერს დაუმტკიცებდნენ. მოსკოვში ჩასულმა, ბეღამხედველს სთხოვა, ცოგა ხნით გაჩერებულიყვნენ, რათა დედა ენახა. მეთვალყურემ ნება დართო, 10 საათის განმავლობაში მოენახულებინა დედა, ახლობლები, მეგობრები. როგორც მოსალოდნელი იყო, დედა უსაღმოდ შეხვდა, საყვედურები „დააყარა“, კარბონარი და თავისუფალი მოაზროვნე უწოდა. ალექსანდრე მშვიდად პასუხობდა: „Я, КАК ЖИВУ, ТАК И ПИШУ СВОБОДНО...“

ციხეში ჯდომის დროს მეგობრებს სთხოვდა, მისთვის ქურნალ-გაბეთები მიეგანათ. მოწყვნილობისგან თავი რომ დაეძვრინა, მათემატიკას მიმართა, ითხოვდა, მიეწოდებინათ მისთვის „დიფერენციალური აღრიცხვა“ ფრენკელინა. ამავე პერიოდს ეკუთვნის ეპიგრამა:

„По духу времени и вкусу,  
Я ненавижу слово: раб,  
За то посажен в главный штаб,  
И там притянут в Висусу“.


იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ ციხეში 4 თვის ყურყუგის შემდეგ „მოფერებით“ გაანთავისუფლა ალექსანდრე. დედის-ნასტასია თედორეს ასულის (გარ. 1834) დაქინებული

თხოვნით ალექსანდრე გრაფ პასკევიჩ-ერივანსიკის სამსახურში შევიდა. მას არ სურდა ემსახურა პასკევიჩთან დედის მხრიდან ახლობელ ნათესავთან – არ უნდოდა ერმოლოვი გაენაწყენებინა, რომელმაც ასე ბევრ გააკეთა მისთვის. დედის ფინანსურმა მდგომარეობამ, ცრემლებმა და დაქინებულმა მოთხოვნამ იმოქმედმა მასზე, მიიღო შეთავაზება, გამხდარიყო სახელმწიფო მოხელე. ისე, როგორც თურქეთთან და ირანთან საგარეო ურთიერთობათა განყოფილების გამგე, 1827 წლის აპრილში მსახურში გაემგზავრა. მანამდე, თებერვალში, ხელმოწერილი იყო ე.წ. თურქმენჩაის ხელშეკრულება, რაზეც ყოველდღიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა გრიბოედოვი. პასკევიჩმა გრიბოედოვი ბრწყინვალე ხელშეკრულების მიღწევის გამო „დააჯილდოვა“ იმით, რომ უწყებით გაგზავნა ხელმწიფესთან „დაზავებაზე“. გრიბოედოვი მიიღო იმპერატორმა, მეხუთე კლასის სამოქალაქო ჩინი (СТАТСКИЙ СОВЕТНИК) უბოძა და ბრილიანტებით შემკული წმინდა ანას ორდენით დააჯილდოვა. ალექსანდრემ პეტერბურგში 3 თვე დაჰყო და იმპერატორის შეთავაზება – წასულიყო სპარსეთში როგორც მინისტრი – რეზიდენტი – მიიღო.

თანამდებობის მიღების შემდეგ გრიბოედოვის სულში „შავმა ღამემ“ დაისადგურა, რაზეც ამბობდა კიდეც: „ჩვენ ყველას დაგვხოცავენ, ალაგიერ-ხანი პირადი ჩემი მგერია. არ დამასაჩუქრებს ის მე თურქმენჩაის გრაჟგაგის გამო“.

1828 წლის 8 ივლისს გრიბოედოვი უკანასკნელად ჩამოვიდა თბილისში. უმაღლესი პატივისცემით მიიღეს. მაშინვე მიაშურა პასკევიჩის მთავარ ბინას. შემდეგ მოინახულა ნინო ჭავჭავაძე. სპარსეთში გამგზავრებამდე დაქორწინდა და გაემგზავრა დანიშნულების ადგილზე მეუღლითურთ, ამაღლის თანხლებით, პოლკის მუსიკის სადღესასწაულო გაცილებით. 7 ოქტომბერს ახლად შეუღლებულები ჩავიდნენ თავრიზში, სადაც ნინო ინგლისის საკონსუ-





ლოში საცხოვრებლად დარჩა, გრიბოედოვმა კი მხოლოდ 5 დეკემბრამდე დაჰყო აქ, შემდეგ განაგრძო გზა და სამუდამოდ დაშორდა თავის უბნობლ შეყვარებულ მეუღლეს.

თეირანში შაჰის კარზე მისული, პირველ დღესვე აღმოჩნდა უყურადღებობის გარემოში, რწმუნების სიგელი რომ გადაეცა, დიდხანს მოუწია ჯდომა ყოველგვარი პატივისცემის გარეშე. შაჰის კარის მსახურებთან მიწერ-მოწერა გაციებულ ურთიერთობით ხდებოდა. ყოველდღიურად იმართებოდა შეტაკებები საელჩოს თანამშრომლებსა და ბრბოს შორის. გრიბოედოვს მოსვენებას არ აძლევდნენ განსაკუთრებით სომხები, რომლებიც მას გამოსარჩლებას სთხოვდნენ და ისიც ყოველთვის მფარველობდა მათ. ცალკე აღნიშვნის ღირსია 1820 წლის 15 დეკემბრით დათარიღებულ ერთ წერილში მოგანილი ფაქტი სოფ. მარგყოფიდან მოგაცებული ბავშვის თაობაზე, რომელსაც სახელად გაგე ჰქმევია. აღნიშნულ პერიოდში ალექსანდრე არა ოფიციალურად ღებულობდა სპარსეთის საქმეებში მონაწილეობას, მაგრამ ბავშვის შესახებ როგორც კი გაიგო, მოსვენება არ მისცა რუსეთის წარმომადგენლობას, შაჰბაღეს სასახლიდან გამოაყვანინა გაგე და ყარაბაღში გააგზავნინა. ამ შემთხვევამ გრიბოედოვის შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა. პოემა „სგრანიკ“-ში, აგრეთვე ჩვენამდე მოღწეულ „მეყალიონეს“ ფრაგმენტში.

ყველაფერი აღიზიანებდა ფანაგიკოს მუსლიმანებს, მაგრამ ღროთა განმავლობაში მდგომარეობა თითქოს ლაგებოდა. გრიბოედოვი ის იყო თავრიზში გამგზავრებას აპირებდა, კიდეც გაემზადა, რომ მასთან მივიდა შაჰის მთავარი საჭურისი მირკარიანი (ერევნის გუბერნიაში დაბადებული) და სთხოვა, ხელი შეეწყო მისთვის, სამშობლოში დაბრუნებულიყო. საკითხის გადაწყვეტაში გრიბოედოვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, რითაც შაჰი გაააფთრა. დღე არ იყო, შაჰის წარმომადგენელი ოცი კაცი მაინც არ მისულიყო გრიბოედოვთან. ეუბნებო-

დნენ, რომ მარკანიანი, როგორც საჭურისი იგივეა, რაც შაჰის ცოლი და ეს ნიშნავს, რომ მინისგრ – რეზიდენცმა შაჰს ცოლი წაართვასო. გრიბოედოვი კი ჯიუტად იდგა თავისაზე. იგი მკაცრად მოითხოვდა გრაქტაგის პირობების შესრულებას. სასულიერო მსახურები ბრბოში ხმებს ავრცელებდნენ რუსეთის საელჩოს უმცავსო საქციელების შესახებ. მათ ხალხს გამოუცხადეს: „დახურეთ ხვალ ბაზარი და შეიკრებით მეჩეთში. იქ მოისმენთ ჩვენს სიგყვასო“.

რუსეთთან დაღებული საზავო ხელშეკრულების დარღვევისათვის თეირანის მუშგეიდი თავგამოდებით იღვწოდა. იგი შაჰის საგანგებო დავალებით ანგირუსულ საქმიანობას რულიგიურ ხასიათს აძლევდა.

გრიბოედოვმა შაჰთან შეხვედრის ღროს მთელი რიგი საკითხებისა მაინც მოაგვარა. მას შაჰთან გამომშვიდობებისათვის აუღენციის უფლებაც კი ჰქონდა მიღებული და თავრიზში დასაბრუნებლად ემზადებოდა, სადაც ნინო ელოდებოდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მდგომარეობა საბედისწეროდ შეტრიალდა.

შაჰმა უკმაყოფილო ძალები აამოქმედა და რუსეთის დიპლომატიურ მისიას დაუპირისპირა. შაჰი, რომელსაც მხარს უჭერდა ინგლისის დიპლომატიური მისია, ვარაუდობდა, რომ დადგა რუსეთთან დაღებული მძიმე საზავო ხელშეკრულების გაუქმების ღრო. ის შეუთანხმდა თურქეთის სულთანს და მზად იყო ომი დაეწყო რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისი შექმნილ ვითარებაში შაჰს დახმარებას ჰპირდებოდა და წარმატებასაც უწინასწარმეტყველებდა. მაჰმადიანური სარწმუნოების ღირსებათა ფეხქვეშ გათელვის, ქვეყნის კანონებისა და მზე-ჩვეულებების შეურაცხყოფის ბრალდებით გრიბოედოვს თეირანის სასულიერო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები დევნას უცხადებენ.

თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების XII მუხლის საფუძველზე ალექსანდრე ირანის ხე-

ლისუფლებისაგან სასწრაფოდ მოითხოვდა ტყვეების განთავისუფლებას. გრიბოედოვს იმ ტყვეთა საქმეების განხილვაც კი უხდებოდა, რომლებიც ალა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევისა და თბილისის აოხრების დროს იყვნენ დატყვევებულნი. ტყვეების განთავისუფლება დიდ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც ირანელები ტყვეთა გადაძალვას ცდილობდნენ, დაშინებისა და ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ.

30 იანვრისათვის გამოცხადებულ მოწოდებაზე მეჩეთში მისულებს უთხრეს: „წადით რუსეთის წარმომადგენლობის სახლში, წართვით დატყვევებულები, მოკალით მირზა იაკუბი და რუსგანი ქართველი მსახური ელჩთან“.

ათასობით ხმლებით, თოფებით, ქვებით შეიარაღებული კაცი შეიჭრა შენობაში. რამდენიმე რუსი ჩინოვნიკი და მოხელე შეჯგუფდა ელჩის ოთახში და მამაცურად იცავდნენ თავს კარების წინ. ოთახის ჭერი იწვოდა.

ხმლების ქნევით და თოფების სროლით შეამგვრიეს კარები. აკუწეს საეღროს თანამშრომლები. ალექსანდრე გრიბოედოვი ხანჯლით მოკლეს, ირანის უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება შაჰთან შეთანხმებით მოქმედებდა, გრიბოედოვის მკვლელობის სანქცია 12 საათისათვის, როგორც დადგინდა, შაჰს გაუცია. ჩადენილი ბოროტმოქმედება ირანის ხელისუფლებმა თეირანის ფანაგიკოსთ მიაწერეს.

1829 წლის 30 იანვარს ბრბომ შენობაში დახოცა რუსეთის მისიის 6 კაცი, მათ შორის ალექსანდრეს პირადი მდივანი. ხელისუფლება ცდილობდა საიდუმლოდ შეენახა გრიბოედოვის

მკვლელობა, თავიდან აეცლინა პასუხისმგებლობა.

მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1829 წლის 17 ივლისს, თბილისმა უკანასკნელად ნახა ალექსანდრე გრიბოედოვი და ისიც მიცვალებული. ნინოს ბედმა არგუნა, თავისი ახალგაზრდული შემართება შემზარავ უბედურებაში გამოეცადა. მწუხარებით შეპყრობილი ნინო ქალაქის საგუშაგოსთან იდგა ოჯახის წევრებთან ერთად. პირველი ჩირაღდანის შუქმა ამცნო მას ძვირფასი ცხედრის მოახლოება. იგი დაეცა გულწასული და დიდხანს ვერ შესძლეს მისი გრძნობაზე მოყვანა.

მიცვალებულის გვამი გვიან ღამით იქნა თბილისში მოსვენებული. ღამის ბინდში ჩირაღდნებით მსვლელობა



წარმოუდგენლად შემადრწუნებელი იყო. თავსაბურველიან მოგირალე ქალთა მწუხარება, მგალობელთა გაბმული სიმღერა, ურმის ირგვლივ ხალხმრავლობა მაუწყებელი იყო გრიბოედოვის

ცხოვრების დასასრულისა. ყოველივე ეს გრიბოედოვის ნაცნობებსა და მის მოსიყვარულეთ გულებს უხეთქავდა.

მეორე დღეს, საკარანგრო წესების დაცვის შემდეგ, გვამი მდიდრულად მოკამშული კაგაფალკით სიონის გაძარში გადაასვენეს. გზა საკარანგინოდან მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვაზის ბაღების გავლით, მაღალი ქვის კედლებს შორის, სავსე იყო ხალხით. „მგლოვიარე პროცესიის სანახაობა ადამიანის სულს აუწერელ მღელვარებას ანიჭებდა“. იგრძნობოდა განსაკუთრებული პაგივისცემა პოეგის მიმართ. „მეორე დღეს შედგა მიცვალებულის წე-

სის აგება სამხედრო გუბერნატორის, ქალაქის უმაღლესი გენერალიგეტის, თბილისის საპატიო მოქალაქეთა და სხვათა დასწრებით. საქართველოს ეგზარხის საეკლესიო რიგუალის შემდეგ, მიგროპოლიტ იონის მგრძნობიარე სიტყვებმა გაძარში მრევლს ცრემლებით აუესო თვალები, თავად უჭირდა ლაპარაკი ქვითინის გამო“. მიცვალებულის ცხედარი გადაასვენეს მამადავითის ეკლესიაში, ცერემონიალის წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. დამსწრე საზოგადოების სახეობზე იგრძნობოდა დიდი მწუხარება. საღვთისმეტყველო ლიტურგიის შემდეგ მთაწმინდაზე „მოხდა თავისი ნების აღსრულება“, რაზეც გრიბოედოვს ცხოვრებაში არაერთხელ უთქვამს.

1830 წლის 22 აპრილს წინანდლიდან პეტერბურგში ნინომ წერილი გაუგზავნა გრიბოედოვის მეგობარს, რომელშიც სთხოვს: „მავბოლევში თუჯის ან მარმარილოსაგან შეუკვეთოს ისეთ მხაგვარს, რომელიც შესძლებდა გამოეცხა ალექსანდრე სერგის ძეს ღირსებანი, მისი უბედური აღსასრული, მისი მეგობრის მწუხარება“. იგალიელმა მოქანდაკემ ს. კამპრონიმ ხორცი შეასხა ნინოს ჩანაფიქრს: ალგეთიდან ჩამოგანილ ქვაზე დევს შავი მარმარილოს კვარცხლბეკი, მასზე კი ბრინჯაოს ფილა, რომელზეც აწყვია ორი წიგნი, სიმბოლოდ გრიბოედოვის შემოქმედებისა; ამავე ფილაზე აღმართულია ქრისტეს ჯვარცმა, დამწუხრებული, დაჩოქილი ნინო ორივე ხელით ჯვარსაა ჩაჭიდებული. მურილიოს „მადონა“ – ნინო ჭავჭავაძე გამოქანდაკებულია ბრინჯაოსაგან. კვარცხლბეკის წინა მხარეზე მიმაგრებულია გრიბოედოვის ბარელიეფი, რომლის ქვეშაც წარწერილია: „Александр Сергеевич Грибоедов. Родился 1795 года генваря 4 дня, убит в Тегеране 1829 года генваря 30д.“ მარცხენა მხარეს ოქროს ასოებით წერია ეპიგრაფა – ნინოს შეთხზული გექსტი: „Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для

чего пережила тебя любовь мая“, ხოლო მარჯვნივ, მეუღლისადმი აღმნიშვნელი საჩუქრის წარწერაა – „Незабвенному – его Нино“.

გრიბოედოვის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით, მამადავითის ეკლესიის ეზო გამოცხადდა პანთეონად, რომლის პირველ მკვიდრად ალექსანდრე იქცა.

პირველ ხანებში ღამღამობით ძეგლზე პაგარა ღამპარი ენთო, რის გამოც პოეტი პოლონსკი წერდა:

„ნაწერს ანათებს, ქრება წყვილიანი  
მკრთალი სინათლით სანათურისგან,  
რომ მოგაგონოთ თქვენ ორი ღარდი,  
სიყვარულის და „ვაი ჭკუისგან“.

ალექსანდრეს გვერდით განისვენებენ: მათი შვილი; 45 წლის ასაკში გარდაცვლილი ნინო, ვინც ბოლომდე პირველი სიყვარულის ერთგული ღარჩა, რომელმაც სულიერი სიწმინდისა და იდეალური სიყვარულის მაგალითი უჩვენა მთამომავლობას.

ამბობენ, მთაწმინდაზე ასულ ბარათაშვილს ქალის გირილი შემოესმაო. უფიქრია „ნეტავ ვინ ქვითინებსო?“ საფლავზე დამხობილი ნინო მეუღლეს დასგროდა. წინანდალში ჩასულმა გრიგოლ ორბელიანმა 1829 წელს ლექსი უძღვნა „მგირალ ნინოს“:

თუ გურფანი თვალნი შენნი,  
ცრემლთ აფრქვევენ მწუხარებით,  
სულისა შენის განჯვანი  
არ არს უკეთუ ოცნებით,  
მაშ მოვედ მნათო! ჩემს გულმედ.





ჯემალ ლეკავა

## 110 წლის ბიბლიოთეკა

(სოფელ დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკის დაარსებიდან 110 წლისთავის გამო)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთელ საქართველოში (მათ შორის დიდ ჯიხაიშშიც) ფართოდ ვრცელდებოდა მოწინავე, პროგრესული იდეები; 70-90-იანი წლების დიდი ჯიხაიშის პროგრესული მოღვაწეები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ხალხის საკეთილდღეოდ ყოველ ახალ საქველმოქმედო წამოწყებას.

ასეთ საქველმოქმედო საქმესთანაა დაკავშირებული დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა, რომლის ინიციატივა სოფლის იმდროინდელ ინტელიგენციას ეკუთვნოდა.

დიდ ჯიხაიშში ბიბლიოთეკის გახსნის საკითხი ჯერ კიდევ 1887 წელს დაისვა. პირველი კაცი, ვინც იკისრა ეს დიდი მამულიშვილური საქმე და პირველი წიგნი დალო მისი ფონდის შესაქმნელად, იყო სოფლის სკოლის მასწავლებელი რაქდენ გრიგოლის ძე კახაძე. ამ საქმის განხორციელებისათვის მას დიდ დახმარებას ჰპირდებოდა სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის მმრუნველი, თავადი ალექსანდრე ჩხეიძე.

დიდ ჯიხაიშში ბიბლიოთეკის გახსნის იდეა არც შემდგომ წლებში შენელებულა. რაქდენ კახაძეს არაერთხელ მიუმართავს თხოვნით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის, რათა ნებართვა დაერთოთ სოფელში უფასო სამკითხველოს გახსნისათვის.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის სამმართველოს 1894 წლის 19 აპრილის №1163 დადგენილებაში ვკითხულობთ: „სოფელ დიდი ჯიხაიშის მასწავლებელ რაქდენ გრიგოლის ძე კახაძეს მიეცეს უფლება სოფელში გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველო“.

ჩვენთვის უცნობია რაქდენ კახაძისეული ბიბლიოთეკა რამდენ წიგნად ფონდს შეიცავდა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ ბიბლიოთეკას უჭირდა დამოუკლებლად არსებობა.

1895 წელს სოფლის მოწინავე ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა მასწავლებელ პოლიკარპე ლორთქიფანიძის თაოსნობით კვლავ აღძრა საკითხი სამოგადოებრივი უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გახსნის თაობაზე. როგორც ყველა დიდ კეთილშობილურ საქმეს, ამ საქმესაც გამოუჩნდა მომხრეები და მოწინააღმდეგეები, რამაც რამდენიმე წლით უკან გადასწია ბიბლიოთეკის გახსნის საკითხი.

1898 წელს ხელახლად აღძრა საკითხი სამკითხველოს გახსნის თაობაზე. იმავე წლის 18 მაისს მოიწვიეს კრება, რომელსაც 25 კაცი ესწრებოდა. კრებაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა იმის შესახებ, თუ როგორი სამკითხველო უნდა დაეარსებინათ – ფასიანი თუ უფასო. ბოლოს ერთხმად გადაწყვიტეს უფასო სამკითხველოს დაარსება.

1898 წლის 18 მაისს გახსნეს უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო, რომელიც 27 მაისს აკურთხა სოფლის მღვდელმა სამსონ დევიძემ. რადგან ამ საქმის მოთავე პოლიკარპე ლორთქიფანიძე იყო, იგი დანიშნეს დიდი ჯიხაიშის სამკითხველოს მმართველად (გამგედ).

დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორების შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. თითქმის ყველა მოწინავე ოჯახმა ამ კეთილშობილურ საქმის სასარგებლოდ დახმარება გაიღო.

გარდა ფინანსური შემოწირულობებისა,



ახლადგანხსნილ ბიბლიოთეკას ნიკო ნიკოლაძემ, დავით და სამსონ ლევიძეებმა, ბესარიონ ჩომახიძემ, ნიკო ლორთქიფანიძემ და სხვებმა გამოუწერეს შემდეგი დასახელების ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კავკაზი“, „ახალი მიმოხილვა“, „კვალი“, „მოამბე“ და სხვა.

იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე პერიოდულად ქვეყნდებოდა იმათი გვარები, რომლებიც ფულით ან ნივთიერად ეხმარებოდნენ დიდი ჯიხაიშის უფასო სამკითხველოს. მაგალითად, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ბათუმში არ იყო სახალხო ბიბლიოთეკა, იქ მცხოვრებ საზოგადოების ერთ ნაწილს გარკვეული თანხა შეუგროვებია დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

1899 წლის 4 აგვისტოს დიდი ჯიხაიშის საზოგადოებამ მოიწვია კრება. დიდი სჯაბაასის შემდეგ კრებამ დაადგინა, ბიბლიოთეკა შესულიყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მფარველობის ქვეშ. ბიბლიოთეკის მმართველად არჩეულ იქნა სოფლის აფთიაქის გამგე ბესარიონ ნიკოლოზის ძე ჩომახიძე, მოადგილედ – სოფლის მასწავლებელი ანდრო ანგონის ძე შუბლაძე.

1894 წლის აგვისტოში კერძო ბიბლიოთეკის მმართველმა რაქდენ კახაძემ თხოვნით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს, რათა მის დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკა გადასცემოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

1899 წლის ნოემბერში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა გერშელმანმა ნება დართო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, ჰქონოდა სოფ. დიდ ჯიხაიშში უფასო სახალხო სამკითხველო.

დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკა განთავსებული იყო ვინმე ლეჟავას კერძო საცხოვრებელ სახლში, რისთვისაც წელიწადში ხუთ თუმანს იხდიდნენ.

1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის წლები კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა დიდი ჯიხაიშის სამკითხველოსათვის. „რეაქციის სუსხიანმა ქარიშხალმა, სხვა კულტურულ დაწესებულებებთან ერთად, სული ამოხადა და განუსვენა აბრაამის წიაღსა შინა სამკითხველოსაც“, – წერდა გამეთი „წყარო“ 1907 წლის 25-ე ნომერში. შენობას საგუსალოდ იყენებდნენ. 1907 წლის დამლევს კი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ბიბლიოთეკა დაიკეცა და სამკითხველოს გამგე ივანე ცქიტიშვილი ცოლ-შვილით რუსეთის შიდა გუბერნიაში გადაასახლეს.

1908 წელს ადგილობრივმა ინტელიგენციამ დაიწყო ბიბლიოთეკის ხელახლად მოწყობა. აირჩიეს კომისია, გამგე და დასახეს სამომავლო საქმეები. გამგედ არჩეულ იქნა მღვდელი გერასიმე ნუსუბიძე.

1913 წელს სამკითხველოს ბლომად მოსდიოდა რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთი. გაიზარდა, შემოწირულების რაოდენობაც. შემომწირველთა შორის იყვნენ: დიდი ჯიხაიშის მგალობელთა გუნდის წევრები, მურდულის (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის გერიგორი-აბეა) ქარხნის მუშები, ნიკო და ოლა ნიკოლაძეები, ილარიონ ხარაბაძე, რომელსაც გარდაცვლილი მეუღლის სახსოვრად 3 მანეთი გაუღია ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, კოლია ჩხიკვაძე და სხვა მრავალი.

ბიბლიოთეკის საქმიანობის გააქტიურებაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: 1914 წლის ოთხ თვეში წიგნი გაუგანია 529 კაცს, გაზეთის წასაკითხად შემოსულა 1689 კაცი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის პერიოდში დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკას დიდი ცლილებები არ განუცდია.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ბიბლიოთეკა აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. თავის მხრებზე გადაჰქონდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშა-

ობის სიმძიმე.

გასული საუკუნის 50-70-იან წლებში სოფელში კიდევ უფრო გაფართოვდა საბიბლიოთეკო ქსელი. თუ მანამდე მოსახლეობას ერთი ბიბლიოთეკა ემსახურებოდა, 70-იანი წლებიდან 6 ბიბლიოთეკა იყო, რომელთა წიგნადი ფონდი 50. 000 ეგზემპლარს აღწევდა.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ თავისი ღრმა კვალი დააჩნია სოფლის ბიბლიოთეკასაც. თითქმის დაიხურა და თავისი ფუნქციონალური დამოკიდებულება დაკარგა სოფლის რამდენიმე ბიბლიოთეკამ. №1-მა ბიბლიოთეკამ, რომელმაც რამდენჯერმე შეიცვალა თავისი ადგილსამყოფელი და ბოლოს სოფლის საკრებულოს შენობაში იყო განთავსებული, პოლიციის ქვეგანყოფილების გახსნასთან დაკავშირებით, განთავსებულ იქნა წიგნის მაღაზიის შენობაში.

გემოთდასახელებული გამგეების გარდა, დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკის გამგეებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ივანე ლეჟავა, მ. დადიანი-ლორთქიფანიძე, ი. ქუთათელაძე, ივ. ცქიტიშვილი, ვასილისა ლეჟავა, ლუბა ბალა-

ნხივაძე, გრიგოლ კოსრეიძე, თამარ ჩხეიძე. 1958 წლიდან დღემდე ბიბლიოთეკას სათავეში უდგას გამოცდილი, უნარიანი და თავის საქმებზე უზომოდ შეყვარებული და მცოდნე ქალბატონი თამარ ჩხიკვაძე. წლების მანძილზე ბიბლიოთეკარებად მუშაობდნენ თამარ შოვნაძე, ტატანა ვაშაკიძე, ელენე ვაშაკიძე.

სოფლის საბიბლიოთეკო ქსელს წლების მანძილზე ემსახურებოდნენ და ემსახურებიან: ნათელა ლეჟავა, იულია სანებლიძე, ლილი შუბლაძე, მერი დიდიძე, დალი ჩიმაკაძე, მანანა ხაბაღია და სხვები.

ბოლო პერიოდში კვლავ გამოცოცხლდა ბიბლიოთეკის საქმიანობა, ეწყობა ლექცია-საუბრები, სალიგერატურო საღამოები და სხვა საინტერესო ღონისძიებები, რომელთა მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური წვლილი შეაქვს საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებს.

დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკა, რომელსაც ახლახან 110 წელი შეუსრულდა, კვლავ განაგრძობს იმ მდიდარ და ისტორიულ გრადიციებს, რომლითაც ის ყოველთვის იყო ცნობილი, და ყველაფერს აკეთებს მკითხველთა ფართო წრის მოზიდვისათვის.

## პროფესია და პროფესიონალები

ნანა გურგენიძე

### შეხვედრა პროფესიონალთან



საქართველოში წიგნის მნიშვნელობაზე დღეს ძნელიცაა და ძალიან ადვილიც საუბარი, მაგრამ ეს გაცილებით ადვილი იყო გასული საუკუნის 60-იანი წლებისა და შემდეგი თაობებისათვის. დიდი სი-

ყვარულით, რიდითა და პატივისცემით მინდა შეგახვედროთ გამორჩეულ, საქმისადმი ერთგულების მაგალითად ქცეულ კაცს, რომელიც თავისი ცხოვრების მეცხრე ათეულის დროსაც, ისეთივე თვალუბანთეული, ენერგიული საუბრობს წიგნზე, მის დანიშნულებაზე, საქმებზე, რომელიც მისთვის არასოდეს ყოფილა

მხოლოდ მოვალეობა, ეს იყო მისი ცოხვრების აზრი, მისი დიდი სიყვარული, რომელიც ისე გადამელო, რომ ვიგრძენი – ძალიან მომნაგრები ქართული წიგნის ღვთიურ დანიშნულებაზე საუბარი, თურმე ძალიან მყვარებია საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ღირსეული მოქალაქე, მამა, დიდი ბაბუა, ბუნებით პატიოსანი, უერთგულესი მეგობარი – ბატონი გრიშა კიპაროიძე. კაცი, რომელსაც საქართველოში ყველა წიგნიერი ქართველი იცნობს, რომელმაც მთელი თაობები აღზარდა საბიბლიოთეკო საქმის ერთგულეობით. მისი ქალიშვილი – ქალბატონი ნუნუ ორაგველიძე, დიდი ოჯახის დედა, მუშაობს მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგედ. ბატონი გრიშა დარწმუნებულია, რომ ცოხვრებაში არასოდეს არ უნდა და-

აყენო მაგერიალური დოვლათი სულიერ ღირებულებაზე მაღლა, რომ შენი ეროვნული სული ქართულ წიგნშია დავანებული, და ეს უდიდესი სიმდიდრე უნდა გააცისკროვნო, ყველაფერი უნდა გაკეთო, რომ ამ სენით ბევრი ადამიანი დაავადო, არასოდეს არაფერი უნდა დააყენო უფრო მაღლა, არ აღიარო უფრო მნიშვნელოვან საქმედ, ვიდრე წიგთან მეგობრობაა.

ასე იცხოვრა ბატონმა გრიშამ.

სამუშაო ოთახში, სადაც სიძველის, ხელმოკლეობისა და თვითგადარჩენის ძიების განცდაა, შრომობს ჭარმაგი, სიკეთით სავსე ადამიანი, რომელსაც დღეს მოფერება, ყურადღება და დაფასება სჭირდება.

– ბატონო გრიშა! მიაშბეთ ცოცხა რამ თქვენს ოჯახზე, თქვენს საქმიანობაზე, როგორ აღმოჩნდით არგვეთელი ბიჭი მაშინდელი მინი-

სგრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის სამეცნიერო – მეთოდური ცენტრის ხელმძღვანელად.

დავიბადე 1921 წელს, საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში. ექვსშვილიანი ოჯახის უფროსი ვაჟი ვიყავი, სკოლა 1940 წ. წარჩინებით დავამთავრე.



1942 წ. 20 წლის ახალგაზრდა გორისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. 1950 წ. ასევე წარჩინებით დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, იმავე წელს მუშაობა დავიწყე საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში კადრების და სპეცნაწილის ინსპექტორად. 1952 წ. გადავედი

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფის სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის მეთოდისგად. 1953 წ. შვეუერთლით კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას (ღირექტორი გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სანდრო ეული-ქურიძე) და ეწოდა – ბიბლიოთეკათმცოდნეობის სამეცნიერო მეთოდური განყოფილება. აქ თანამშრომლობდნენ საქართველოში ცნობილი წიგნის პროპაგანდისტები – გუია ბერულავა, დიმიტრი მარკვეიჩი, ფილიმონ ყურაშვილი. 1962 წ. ვადამიყვანეს აღნიშნული განყოფილების გამგედ. პარალელურად ვმუშაობდი საბიბლიოთეკო დარგის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ხელმძღვანელად.

1955 წ. კულტურის სამინისტროსთან შეიქმ-

ნა საბიბლიოთეკო დარგის უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა ერთწლიანი კურსები, რომლის ხელმძღვანელობაც მე დამევალა.

– ბაგონო გრიშა! თქვენს სამეცნიერო მეთოდურ განყოფილებას რა ევალებოდა?

– მეთოდური განყოფილება ამუშავებდა მეთოდურ წერილებს, რაიონებში კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გარდებოდა ყოველთვიურად ორდღიანი სემინარები, დავნერგეთ ზონალური პრაქტიკული სემინარები.

საბიბლიოთეკო საქმის აღმავლობა საქართველოში დაიწყო განსაკუთრებით 1965 წლიდან. მთავრობის დადგენილებით 1965-66 წლებში ჩაგარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხებზე ზონალური თათბირები, რომლებსაც ესწრებოდნენ: რაიკომის პირველი მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარეები, კულტურის დაწესებულებათა ხელმძღვანელები და სხვა პაუხისმგებელი მუშაკები.

სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება ამზადებდა კულტურის მინისტრის გამოსვლას, რისთვისაც საჭირო იყო მონების მიხედვით ბიბლიოთეკების მუშაობის შესწავლა და ანალიზი.

– გაიხსენეთ თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი ამბავი.

– სამხრეთ ოსეთის ზონალური თათბირისათვის შევისწავლეთ ზონის საბიბლიოთეკო მუშაობა, მინისტრისათვის მომზადებულ გამოსვლაში ჩაირთო კრიტიკული მასალები, ამ ფაქტებმა ოსეთის ლიდერები გაანაწყენა, ვლებულთ მინისტრისაგან ბარათს – „გრიშა! გამოდი და დაანთე შენებური ხანძარი“.

ჩემმა გამოსვლამ დაიმსახურა მსმენელთა ტაში.

ზონალური თათბირების მუშაობის შედეგად დიდი ყურადღება დაეთმო საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზაციას, 1966 წლიდან მოყოლებული, 80-იანი წლების ჩათვლით, რესპუბლიკაში ყოველწლიურად იხსნებოდა სხვადასხვა

ტიპის 150-200 ბიბლიოთეკა. იმ დროისათვის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში 4500 ბიბლიოთეკა ირიცხებოდა და თითქმის ყველა დასახელებული პუნქტი უზრუნველყოფილი იყო საბიბლიოთეკო წიგნით. ჩვენთან გარდებოდა (ჩაგარდა სამჯერ) ამერიკა-სსსრ-ის ზონალური თათბირები.

ჩემი მოღვაწეობის პერიოდში აქტუალურ საკითხებზე გამოვეცი 31 მეთოდური სახელმძღვანელო, დაგებულ 200-ზე მეტი საგამეთო პუბლიკაცია.

1966 წ. აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეში გაიხსნა შ. რუსთაველის ძეგლი, სიგყვით გამოსვლის მერე მთავრობის სახელით ჯილდო გადავეცი სხვადასხვა დარგის მუშაკებს. დამამახსოვრდა ცნობილი რუსი პოეტის ე. ვეგუშენკოს გამოსვლა აფხაზეთ და ქართველურ ქალაქების მეგობრობაზე.

ბევრი ვიბრძოლე, რომ ა. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მხოლოდ საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომლები მიეღოთ.

1972 წ. კულტურის სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა საკითხი – „საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მდგომარეობის საკითხი საქართველოში“ – რის შემდეგაც კულტურის მინისტრის ბ-ნ ო. თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა – „კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები“, რომელმაც 1992 წლის ოქტომბრამდე იარსება. ყოველწლიურად ერთთვიან კურსებზე კვალიფიკაციას კულტურის სამინისტროს სისტემის 2000 თანამშრომელი იმაღლებდა. მათ შორის 700-800 ბიბლიოთეკარი იყო.

– თქვენი მოღვაწეობა ალბათ არ რჩებოდა შეუმჩნეველი, როგორ გიფასებდნენ შრომას?

– დაჯილდოვებული ვარ მედლებით:

„კავკასიის დაცვისათვის“,



„დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამბარჯეებისათვის“,

„შრომითი მამაცობისათვის“,

80-ზე მეტი საპატიო სიგელით.



საკავშირო კულტურის სამინისტრომ დამაჯილდოვა სამკერდე ნიშნით – „წარჩინებული მუშაკი“

1961 წ. მომენიჭა – „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდება

1971 წ. – „საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ წოდება

დაბადების 80 წლისთავზე დამაჯილდოვეს ღირსების ორდენით.

ვუსმენ მწიგნობართუხუცესს და ვფიქრობ, – ღმერთო! გააძლიერე გრიშა კიპაროიძე, ეს ის კაცია, რომლის ცხოვრების მაგალითზე თაობები უნდა იზრდებოდეს.



ქეთევან ნიკურაძე

ახალგაზრდული რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ღირექცორის მოადგილე

## პოეტი ბიბლიოთეკარი

**ა**ლბაგონ ბუმრუდ გოდერძიშვილს დიდი წარდგენა არ სჭირდება, რადგან ბიბლიოთეკების მუშაკთა უმრავლესობა ძალიან კარგად იცნობს. ქალბაგონი ბუმრუდი წლების მანძილზე მეთოდი-სგად მუშაობდა და ხშირად უხლებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩასვლა, ბიბლიოთეკების საქმიანობის შესწავლა და მეთოდური დახმარების გაწევა. ამჟამად იგი საქართველოს მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო მეთოდური განყოფილების გამგე გახლავთ და, ცხადია, ბიბლიოთეკის მუშაობის ავ-კარგი ბევრად და მობი-ღებული მის პროფესიონალიზმზე, მაგრამ ამჟამად მინდა სულ სხვა ამპლუაში წარმოგიდგინოთ იგი – როგორც პოეტი და რამდენიმე შესანიშნავი კრებულის ავტორი.

ქალბაგონ ბუმრუდ გოდერძიშვილს მკითხველების სახით ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ეს იმიტომ, რომ ვინც კი გაეცნო მის პოეზიას, გულგრილი არავინ დარჩენილა, მასში ქალის ნაზი სულია ჩაქსოვილი, იგი უზადო სიყვარულითაა გაქდენილი. ქ-ნ ბუმრუდის ლექსები ისეთი სათნო, ჰაეროვანი და მუსიკალურია, ღრმად წვდება მკითხველის გუ-

ლის სიმებს. სწორედ ამიტომ შეიყვარა მისი ლექსები მკითხველმა, მოუთმენლად მოელიან ყოველი ახალი ლექსის დაბადებას და კიდევ ერთი ახალი კრებულის გამოცემას. ამავე მიზეზით ჩემს თავს უფლებას მივცემ – და კანდი-ერებაში ნუ ჩამომართმევთ – თუ კი მას „პოეტიის დედოფალს“ ვუწოდებ.

ქალბაგონ ბუმრუდ გოდერძიშვილს ხშირად უწყობენ შეხვედრებს. მას შეხვედრები ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: გციბუ-ლში, ბესგაფონში, თელავში, ჭიათურაში და სხვ. მირზა გელოვანის სახელობის ახალგა-ზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბი-ბლიოთეკამ ფართო მასშტაბით აღნიშნა ქ-ნ ბუ-მრუდის შემოქმედებითი საიუბილეო საღამო. ასევე ძალზე გულთბილი და ლამაზი შეხვე-დრები მოუწყვეს ქ. თბილისის მიხეილ ჯავახი-შვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთი-ანების ბიბლიოთეკა-ფილიალებმა, კერძოდ: მე-2, მე-3, მე-18 და 55-ე ბიბლიოთეკა-ფილი-ალებმა (გამგეები: ციცო გოგიჩაიშვილი, მერი ლომია, ნათელა ჭყონია, ნინელი კოკოლი-შვილი).

ქალბაგონ ბუმრუდ გოდერძიშვილის ლე-ქსები ბევრჯერ დაბეჭდილა ცენგრაღურ და რაიონულ ჟურნალ-გამეთებში, ასევე „ცისკა-

რში“, „მნათობში“. მისი ლექსები შესულია სხვადასხვა კრებულში: ასე მაგალითად, ლექსი „შენ უკვდავების ხარ ბინადარი“ შეგანილია ალექსანდრე შუშანაშვილის მიერ შედგენილ კრებულში, სადაც თავმოყრილია ქართველი პოეტების ლექსები, მიძღვნილი გალაქტიონ გაბიძისადმი. ლექსი „დედა“ შესულია ვაჟა ოთარაშვილის მიერ შედგენილ კრებულში „ქართველი პოეტები დედას“, აღმანახ „ახალგაზრდობაში“ დაბეჭდილია მისი შვიდი ლექსი, ქალბატონ ბუმრუდ გოდერძიშვილის პოეზია მრავალჯერ შეუქიათ მწერლებს, პოეტებს, კრიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მაგრამ სულ სხვაა, როცა მკითხველი გადირსებს და შეგიყვარებს. სწორედ მკითხველების ასეთი დიდი სიყვარული და სითბოა გამოსხატული იმ სიგყვებში, რომლითაც მისი შემოქმედების შესახებ ლაპარაკობენ, როგორ აფასებენ მას მწერალი სილოვან ნარიშანიძე, პოეტი



ოთარ შალამბერიძე და მკითხველები; გთავაზობთ რამდენიმე მათგანის მოსაზრებას:

„კარგა ხანია ვკითხულობ ბუმრუდ გოდერძიშვილის ლექსებს. ოთხ მცირე მოცულობის კრებულშია თავმოყრილი მის მიერ ერთად შეკონილი მათი თაიგულები. სინანულით მინდა ვთქვა, რომ მკითხველთა ფართო აუდიტორია ნაკლებად იცნობს სვედიან მონოლოგებს, პოეტური ოსტატობითა და ხეღვით, მგრძობიარე პასაჟებით სავსე სტრიქონებს, ღმერთს პოეტისათვის თითქმის ყველაფერი მიუმაღლია – რწმენა შემოქმედებითი მისწრაფებისა, პოეტური ოსტატობის, განცდისა და აღქმის უნარი, მაგრამ ამ შემოქმედის იგივე მოკრძალებამ, ერთგვარად შეაკავა ფართო საზოგადოებისათვის უფრო თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი ყოფილიყო მისი პოეზია. თამამად შეიძლება

ვთქვა, რომ მათი ავტორი, რომელიც ბიოგრაფიული წიაღსვლებით, გულწრფელობით და ოსტატობით იმშვენებს თავს, გოლს არ დაუღებს ბევრ შემოქმედს, რომელნიც დიდი ხანია მწერაკთა კავშირის წევრები არიან, თამამად გაჰყვება მათ მართონში. განსაკუთრებით გამოირჩევა გაბაფხულისადმი და დედისადმი მიძღვნილი ციკლები, გიორგი ლეონიძისა და მირზა გელოვანისადმი დაწერილი ლექსები, სამყაროს აღქმის მისეული სურათები, აღამიანის სულიერი გარემოს აღქმა, ცოდნა და თვითონ იგი ამ სამყაროში. აი კრელო მისი შემოქმედებისა. იგი დიდი ხანია ემსახურება მწერალთა

პოპულარიზაციის დიდ საქმეს, წარმატებით უძღვება მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდურ განყოფილებას.“

მწერალთა კავშირის წევრი – მწერალი სილოვან ნარი-

შანიძე

საინტერესოა გავეცნოთ პოეტ ოთარ შალამბერიძის სიგყვის შემცირებულ ვარიანტს, რომელიც წარმოთქვა ქალბატონ ბუმრუდ გოდერძიშვილის საიუბილეო საღამომზე – „...არიან ხმაურის მოყვარული პოეტები. ხმაურში ვგულისხმობ გაშს, გელევიზიის ეკრანს, ლიგერატურულ საღამოებს და ა.შ. ისინი მართლა ხმაურობენ, ხოლო მათი ლექსები დაგუქსული ბავშვებით კუთხეში მიყუქულან და არავის აგონდება. ჯობია, კი პირიქით: პოეტი იყოს ჩუმად, ლექსმა კი იხმაუროს. შენ სწორედ ასეთი იყავი და ასეთად დარჩი – ჩუმი, უპრეტენზიო, მორიდებული, შენი ლექსები კი თავიანთ საქმეს აკეთებენ – მკითხველის გულში მოთმინებით იშენებენ ბუდეს. უკეთეს ხმაურს ვერც ინაგრებს შემოქმედი. ეს პაწია ლექსი სამშობლოს

სიყვარულსაც იტევს და უდიდეს ქველმოქმედებასაც კისრულობს, რადგან ბუხარი, რომელიც „თავისთვის ანთია მარგოდ“, გყუილად არ ანთია: ვილაც გამვლელი ხელებს შეითბობს და გზას გააგრძელებს; შეგვიანებული მგზავრი ჭიქა წყალივით მიწოდებულ სინათლეს მიენდობა და მის პაგრონს დალოცავს; ან კიდე: რომელიმე ნაღველმოკითხული მეოცნებე თვალს მოკრავს აგიზგიზებულ ბუხარს და მინავლულ სიმხნევებს აღიდგენს. აკი ცისკენ მიმავალი კვამლი სიცოცხლისა და სინარულის მაუწყებელია? ასე აღვიქვი ეს ნაწარმოები. ბუმრუდ, ასეთივე დარჩი ბოლომდის! ჩვენი კოლეგიალური ნაცნობობა ალბათ ოცამდე წელს ითვლის, ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ წავწყდომივარ შენს ლექსებს ჩვენს პერიოდულ პრესაში. აგერ, მიღვეს წინ 1991 წლის კურნალი „ცისკარი“, მასში შენი ცხრა ლექსია მოთავსებული. ეს ლექსები ხალასი პოეტური ალგკინებითაა შთაგონებული, რასაც უდავოდ ძირს უმაგრებს ადამიანის ბუნების ცოდნა“...

აქვე მოვიყვან მკითხველის ნონა გიორგაძის შემოკლებულ სიგყვას, რომელიც წარმოთქვა ქალბატონ ბუმრუდ გოდერძიშვილის ერთ-ერთ შემოქმედებით საღამომზე: „როდესაც ადამიანი იბადება, მას საშუალება არ ეძლევა პირადად თვითონ აირჩიოს სამშობლო, მშობლიური ენა და ეროვნება. ყველაფერი ეს ბედისწერაა და ბედისგან გვეძლევა, როგორც ღვთაებრივი ჯილდო ანუ განაჩენი. ბუმრუდ გოდერძიშვილის უნაბეს სტრიქონებთან შეხვედრისას, რაგომღაც ეს ფრაზა ამეკვიატა, უკვე საკუთარი განცდებით სავსეს. ბედისწერაა: ზოგჯერ ღვთაებრივი ჯილდო, უფრო ხშირად კი მძიმე განაჩენი. იყო პოეზიის საოცარი მაღლით მოსილი, ცხოვრობდე „აქ, ამ ქვეყანაში“, წერდე ისე, რომ მე ამ წუთში, როგორც რიგით მკითხველს, შენს სტრიქონებთან განშორება მეძნელებოდეს.

ფრთხილად, მოწიწებით შემოვდივარ ამ სათნო, კეთილშობილ სამყაროში, სადაც ესოდენი სითბო, სინამე, ტკივილი, პოეტის მახვილი თვალისთვის გამოუპარებელი სიცხადე, ლო-

დინი, მონაგრება, განშორება და, რაც მთავარია, სიყვარული, დიდი და მზისფერი სიყვარული ცოცხლობს...“

დასასრულ, მინდა მაღლობა მოვასხენო დამსახურებულ ბიბლიოთეკარს ქალბატონ ბუმრუდ გოდერძიშვილს თავისი ლამაზი ლექსებისათვის, ყველაფერ იმისათვის, რასაც იგი ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის კეთილდღეობისათვის აკეთებს, მინდა ვუსურვო სიკეთე და დიდი შემოქმედებითი წარმატებები.

## საუბარი წიგნთან

ბუმრუდ გოდერძიშვილი

მე შენ მოგენდე და უშენოდ  
არ გამეძლება,  
თუ რამ სიკეთე გამაჩნია  
სულ შენ გეძღვნება.  
მე შენით ვსუნთქავ, შენით ვუმზერ ცის  
დასალიერს,  
და შენით ვისმენ ბედისწერის ავემარიას,  
შენ ხარ სიცოცხლის ზედაშე და ხარ  
უკვდავება,  
შენს საბრძანებელს ვერავინ ვერ  
შეგედავება,  
ჩემი მამულის სილამაზეს შენ მაზიარე,  
შენ მაძლევ იმედს, შენ მიშუშებ სულის  
იარებს,  
ვიცი, არასდროს არ გამწირავ, არ  
მიღალაგებ,  
მე შენში ვპოვებ წუთს მშვენიერს,  
მარად სანაგრელს,  
შენ შემაყვარე ოცნებების წმინდა საუფლო,  
სიმარტოვეში შენლა ღამრჩი,  
შენთან ვსაუბრობ.



ნაზი ელიავა

სენაკის რაიონის სოფელ ეკის ბიბლიოთეკის გამგე

## ქალი, რომელის აუზაინებს ქალაქს

„მოვიჩქარი კოლხი ქალი  
თეთრი ცხენით, დაუღლეღით,  
ვევლა გზა რომ ჩამიკეტონ,  
მანც არ ვარ ჩამმუნჯელი“

ლ. სგვილია

**ს**ენაკი, სამეგრელოს კოპწია ქალაქი, აიეგისა და მედეას სამშობლო, დიდი ქუჯის ნაგახგარი. სენაკი ციხე-გოჯით, ნოქალაქევით, შხეფის ციხის ქონგურებით შემოჯარული, გეხურას ანცი გალღეზივით მოკამკამე და დაუღეგარი. პაგარა, მყუღრო, კოლორიგული, უძველეცი გრადიციების მაგარებელი, თავისი სტუმართმოყვარე, ნიჭიერი ხალხით; ადამიანებით, რომლებმაც იციან ჭეშმარიტი სიყვარულის ფასი.

ამ პაგარა ქალაქში დაიბადა ჩემი ნარკვევის გმირი, რომელიც ბავშვობიდანვე აზიარეს მშობლური მიწისა და ცის სურნელს, შრომისმოყვარობას, წიგნიერებას. ეს ის ქალბატონია, ვინც თავისი ყმაწვილქალობა მშობლიურ ქალაქში დედის წმინდა მანდილივით ჩამოაგარა და ყველას თავი შეაყვარა. სასიხარულოა, როცა ვიცით და ჩირაღდანივით აღვმართავთ ზევით ამაღლართა სახელებს, რათა ღროის ლაბირინთები გავანათოთ, გავაშუქოთ. ერთ-ერთი ასეთი მაღლის გამღები გახლავთ რაიონული საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი – ქალბატონი ციური ხორავა.

ნელ-ნელა ვმარცვლავ მისი ცხოვრების კრიალოსანს. სურათიდან შემომცქერის ლამაზი, ბაფთიანი გოგონა, სკოლაში გოლს რომ არავის უღებდა და ყველაფერში სამაგალითო იყო. სენაკში შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ სოხუმის №6 საშუალო სკოლა, მერე თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. ბიბლიოთეკათმცოდნე-

ობა – ბიბლიოგრაფის სპეციალობით სრულიად ახალგაზრდამ შეალო საბავშვო ბიბლიოთეკის კარი. აქ ბავშვებთან მუშაობის პერიოდში, თვითონ წიგნებზე უსაზღვროდ შეყვარებულმა, მრავალი ახალი მეთოდი დანერგა მკითხველთა მობიღვისა და კითხვაში ჩაბმისათვის. შემდეგ საქალაქო ბიბლიოთეკის გამგეობა, მერე ცსს-ის მეთოდურ-ორგანიზაციული განყოფილების გამგეობა. ყველა ბიბლიოთეკის დამნარე და ქომაგი. დამეებს ათენებდა და როგორც ქვაში ამღერებული ჩუქურთმა, ქმნიდა ახალ-ახალი ღონისძიებების ქარგას. შემოქმედ ადამიანებს სჩვევიათ ეს, როცა დაიხარჯებიან, შინაგან კმაყოფილებას გრძნობენ, მაგრამ მიღებულით არ კმაყოფილებიან და გაორკეცებული ენერგიით ისევ იწყებენ ახალ საქმეს.

წლებმა მისი ცოხვრებაც შეცვალა. სიღამაზით განებივრებული გოგონა მეუღლედ და დედად იქცა. ერთადერთი ქალიშვილის, სამი შვილიშვილისა და ერთი შვილთაშვილის ახალგაზრდა ბებიას არასოდეს უნანია თავისი პროფესიაული არჩევანი. იგი ყოველ დღით ქალაქის მთავარ ქუჩას მოჰყვება, მოღის მხნე, ენერგიით აღსავსე, ღიმილიანი, სიყვარულით ესაღმებიან თანაქალაქელები, შემდეგ ქუჩას გაღმოკვეთს და კოპწია მენობაში შემოღის. ეს სენაკის რაიონული საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენგრალური ბიბლიოთეკაა. აქ მას საყვარელი საქმე და ერთგული თანამშრომლები ელოდებიან. გულს ახარებს თემატიკით მრავა-

ლფეროვანი, ღრმაშინაარსიანი გამოფენები. ეს ხომ ის ადგილია, სადაც გენიოსები მეფობენ. „კაცთა მინიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრება არს“ – ძველთაგანვე ცნობილია ეს სიტყვები.

ხალხს უყვარს ბიბლიოთეკა. აქ დიდიდან საღამომდე ისმის წიგნებისა და ჟურნალ-გამზეთების ჩუმი შრიალი. ბიბლიოთეკას დაახლოებით 50 დასახელების პერიოდული ორგანო აქვს გამოწერილი. შესანიშნავი საცნობარო აპარატი, სრულყოფილი კატალოგები და კარგოთეკები. აქ თავისი საქმის დიდოსტაგები მუშაობენ. კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა – „ნამდვილი გმირები ხანდახან განმორჩილნი არიან და უჩინარნი“.

უკვე ჩვიდმეტი წელია ქალბატონი ციური ხორავა ამ ბიბლიოთეკის დირექტორია. მძიმე დღეები გამოიარა ბიბლიოთეკამ 90-იან წლების შემდგომ, მაგრამ არც ერთი დღე იქ მუშაობა არ შეწყვეტილა. ბიბლიოთეკის მუშაკები იცავდნენ ფასადდანგრეულ შენობას, წიგნებს, ინვენტარს. ქ-ნ ციურის ხელმძღვანელობით რამდენიმე ღამეც გაათიეს იქ, რათა მარადიურობისაგან დაეცვათ იქაურობა. თანდათან მდგომარეობა გამოსწორდა. ჩაუტარდა რემონტი შენობას. შეძენილ იქნა ახალი ინვენტარ-მოწყობილობა. დაიხვეწა მუშაობის სტილი და მეთოდები, ხშირად გარდება ღრმაშინაარსიანი ღონისძიებები და, რაც მთავარია, ბიბლიოთეკა იქცა რაიონის ერთ-ერთ შესანიშნავ კულტურის კერად, ცოლნის გაძრად, სადაც ყველა ასაკის მკითხველს მოუხარია. იციან, რომ ქალბატონ ციურის უყვარს ხალხთან ურთიერთობა, საქმისათვის თავდადებული, მეტად კეთილი და სამართლიანი პიროვნებაა.

ქალბატონ ციურის შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. 1981 წელს მიენიჭა საქართველოს

რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება. 1998 წელს დაჯილდოვდა „ღირსების მედლით“. 2002-2003 წლებში საბიბლიოთეკო კვირეულში ჩატარებული საქმიანობისათვის, დაჯილდოვდა საბიბლიოთეკო ასოციაციის, კულტურის სამინისტროსა და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის სიგელით, ხოლო კულტურის სამინისტრომ სცნო იგი ნომინაციაში „საუკეთესო დირექტორი“ გამარჯვებულად და ფულადი საჩუქრითაც დააჯილდოვა. სამწუხაროდ, ეს ფაქტი არსად დაფიქსირებულა, არ დაფიქსირებულა ჩვენთვის საყვარელ ჟურნალში „საქართველოს ბიბლიოთეკა“.



ის ახლა ბებიის ნათელი, სიყვარულით აღსავსე თვალებით იღიმება. ამ ქალში დაუხარჯავი ენერჯია იმალება. საქმესთან შეზრდილი, ვერ იფარგლება მხოლოდ ბიბლიოთეკით. ის თავისი ქვეყნის მომავლის რწმენით

ცხოვრობს. ყველაზე მთავარი, რაც მის ხასიათში გამოირჩევა, პრინციპულობაა. თათბირებზე ყოველთვის საჭირობოროტო საკითხებს აყენებს, მრავალი პრობლემა აქვს გადასაჭრელი.

სამუშაო მაგიდასთან მის სანდომიანი სახის ქალი. ერთი შეხედვით იგი მკაცრი მოგეგმვებით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ის გკბილმოუბარია, გულში ჩამწვდომი, ლულუნა ხმა აქვს და დაკვირვებული თვალი. შესანიშნავ ფოლკლორისგს, ქართული ხალხური საკრავების უმაღლო მცოდნეს, არაჩვეულებრივად გამოსდის მეგრული სიმღერები. მის სულს აფაქიშებს ბუნებისგან ნაბოძები მაღალი მწეობა და სისპეგაკე. სწორედ ასეთმა ქალებმა გამოაგარეს ათასგვარ ჭირსა და უბედურებას თავანკარა ქართული წიგნი და სიტყვა – ერის დღეგრძელობის ნიშანსვეტი. ასეთ ქალებზე ბრძანებდა ალბათ დიდი ილია: „ბედნიერია ერი, ვისაც კარგი ქალი ჰყავს“.



გულნარა სგურუა  
 ჟურნალისტი, ბიბლიოთეკათმცოდნე

## ბაპაპტიურით მასპედიასთან თანამშრომლობა

**ს**აქართველოში უკვე მესამე წელია, რაც აპრილის თვის ბოლო კვირას ბიბლიოთეკების კვირეული იმართება. ამ ღინისძიების ჩასაგარებლად წინასწარ შემდგარი მუშა ჯგუფი მიზანდასახულად და გეგმიანად იწყებს სამზადისს. ყოველზე ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, მოითხოვს დიდ ღროს და ენერჯიას. ბიბლიოთეკების კვირეულის თავიდათავი საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციაა, რომლის ასაკი დღეისათვის ოთხ წელს ითვლის. ამ პროფესიონალურ ასოციაციასთან ერთად, კვირეულის თანაავგორების რიცხვი ყოველ წელს იზრდება. იმთავითვე ანუ კვირეულის წამოწყების პირველ წელსვე საბიბლიოთეკო ასოციაციის გვერდით დადგა ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია, რომელმაც 2002 წლის კვირეულის სამზადისის გვირთი ძმურად და სწორად გაინაწილა, 2003 წელს კვირეულის ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთო კულტურის სამინისტრო; ბიბლიოთეკების მესვეურთა ერთობლივი მცდელობით, სახელმწიფომ 30 აპრილი ბიბლიოთეკარის დღედ გამოაცხადა. წელს, 2004 წელს ბიბლიოთეკებს კიდევ ერთი პარგნიორი გამოუჩნდა – კულტურისა და სპორტის პროფესიონალთა კავშირი (თავმჯდომარე ციცო ჯაფარიძე). ერთი სიგყვით, ყურადღება ბიბლიოთეკებისადმი დღითიდღე იზრდება და კვირეულის მიზანი – შექმნას საზოგადოებრივი აზრი, დაანახოს ყველას ბიბლიოთეკების როლი და მნიშვნელობა, როგორც ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის საჭირო, აუცილებელი დაწესებულებისა, სადაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია განათლების მი-

ღება, ცოდნის გაღრმავება, ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება და ამ ინფორმაციის პრაქტიკულად გამოყენების ხერხებისა და მეთოდების სწავლა, დასვენება, გართობა და თავის შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია, თანდათანობით ხორციელდება. ბიბლიოთეკა ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია. იგი ჩვენ, საზოგადოებას გვჭირდება და თუ დღეისთვის ჯერ კიდევ არ არის ჩვენი ბიბლიოთეკები ისეთი, როგორც ოცდამეერთე საუკუნის ადამიანს შეეფერება, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაა ჩამორჩენილი. საზოგადოება, თავისი განვითარების ისტორიული კანონზომიერებით, არის ძალა, რომელიც ცვლის ყველაფერს – ეკონომიკას, კულტურას, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოს, ქმნის ახალ ცივილიზაციას. განვითარებული საზოგადოების ერთ-ერთი მუხგია ბიბლიოთეკა, რომელიც მისი აღმასვლის შემოქმედისაა. ამიტომ იყო, რომ ძველი ცივილიზაციების მეცენატები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბიბლიოთეკას, როგორც წინგობრივი ფონდების, ასევე შენობების არქიტექტურის მხრივაც. განვითარებულ სახელმწიფოებში ეს ყურადღება დღემდე დაცულია. უფრო მეტიც, დღეს ბიბლიოთეკა წარმატებული ქვეყნების მოქალაქეთა ინტერესების ცენტრშია. საქართველოში ბიბლიოთეკების მიზნობრივად გამოყენება, ამ მიმართულებით საზოგადოების დაინტერესება და ყურადღება ქვეყნის წინსვლის საწინდარია.

დღეს, დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობისა და ჩამოყალიბების პროცესში, იმ ინფორმაციულ წყაროებსა და საშუალებებს,

რომლებიც მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომად უმეტესად ბიბლიოთეკებში შეიძლება იყოს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

კვირეულის დღეებმა გაააქტიურა და ერთმანეთს უფრო დაახლოვა ბიბლიოთეკარები და მომხმარებლები, საზოგადოების ყურადღება მიიქცია სხვადასხვა სახის ღონისძიებებმა, გამოფენებმა, პრესკონფერენციებმა, შეხვედრებმა, მკითხველთა შემოქმედებითა საღამოებმა. ამ ხალისიან და შინაარსიან დღეებში ასოციაციებისა და კულუგრის სამინისტროს წარმომადგენლები რეგიონებსაც ეწვივნენ. შესანიშნავი ღონისძიებები ჩატარდა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში. იმერეთის თორმეტი რეგიონმა გაცილებით უკეთ და საქიანად წარმოადგინა თავისი მუშაობა, ვიდრე ეს გასულ წლებში ხდებოდა.

თბილისში 30 აპრილს – საქართველოს ბიბლიოთეკარის დღეს დაემთხვა ქალაქის ბიბლიოთეკების კვირეულის „თქვენი ბიბლიოთეკა – 2004“-ის საზეიმო დახურვა. კვირეულის მესვეურებმა მკითხველ საზოგადოებასთან ერთად მოიწვიეს ქალაქის საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკების მუშაკები და საშუალება მისცეს მათ თავიანთი თავი წარმოეჩინათ. წარჩინებულ ბიბლიოთეკარებს გადასცეს სიგელები და სუვენირები. საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვირეულის საზეიმო დახურვა არც თუ იოლი საქმეა, მით უფრო, რომ ის არ არის მარტო ორგანიზაციულ ნიჭსა და უნარზე დამოკიდებული... მაგერიალური მხარდაჭერაა საჭიროა, რაც ძალიან ძნელი მოსაპოვებელია საქართველოში.

საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ კვირეულის დღეებში შედგა მასმედიისა და ბიბლიოთეკების ურთიერთობა, თუმცა, ჯერჯერობით, ამ მხრივ გაცილებით მეტი მუშაობა გეგმარტებს.

ბიბლიოთეკარების შემდეგ, თუ არა მასმედია, სხვამ ვინ უნდა იცოდეს თანამედროვე საქართველოს ბიბლიოთეკებს თუ რა როლი და დანიშნულება აქვს იმ დიდ საქმეში, რასაც საქა-

რთველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ჰქვია. დღევანდელ ბიბლიოთეკას უდიდესი როლი აკისრია ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ბიბლიოთეკამ უნდა შექმნას მომხმარებლისთვის ნებისმიერი ინფორმაციის ხელმისაწვდომი პირობები, ჩამოაყალიბოს თავის რეგიონში კულტურულ-ინფორმაციული ანუ სოციალურ-კულტურული გარემო, გააფართოვოს საბიბლიოთეკო მოღვაწეობა ინფორმაციული მომსახურების თვალსაზრისით, მიზნად დაისახოს ინოვაციების განვითარება საბიბლიოთეკო და ინფორმაციულ საქმიანობაში, საბიბლიოთეკო-საინფორმაციო რესურსების შენახვაში, მომსახურების დიფერენცირებასა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში.

როგორც ჩანს, ქართულ მასმედიასთან ბიბლიოთეკარებს მეტი ურთიერთობა და მუშაობა გეგმარტებს, რათა ისინი მეტად ინფორმირებულნი იყვნენ ჩვენი საქმიანობისა და როლის შესახებ, რათა ისეთი არაფრისმთქმელი, უინტერესო კორესპონდენციები არ გავიდეს პრესაში, როგორც ერთი ჩემთვის ძალიან პრესტიჟულ გაზეთში „24 საათი“ გავიდა. „საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა“ – ასეთი იყო ამ წერილის სათაური.

კორესპონდენტ ნინო ჯორჯაძეს მადლობას მოვახსენებთ ამ ღონისძიებისადმი ინტერესისა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში მობრძანებისათვის, მაგრამ უფრო მეტი გულისყურით რომ მოკიდებოდა თავის საქმეს, წერილი მოსწავლის ნამუშევარს არ დაემგვანებოდა.

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულის დახურვას ესწრებოდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, სხვადასხვა ასაკის მომხმარებლები, პროფესორ-მასწავლებლები, საბიბლიოთეკო დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, ასოციაციების პრეზიდენტები, ქალაქისა და რეგიონის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი მუშაკები, უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

კორესპონდენტს საღამოს წამყვანისათვის

ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ქეთი გაბაგაძისთვის რომ ყურადღებით მოესმინა, გაცილებით მეტ მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებდა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულზე, ვიდრე თავად მან გადმოგვცა აღნიშნულ წერილში: „უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, სადამო ორგანიზებულობის დონით სკოლის ბეიმს მოგვაგონებდა“. როგორც ჩანს, კორესპონდენტი იმთავითვე ყოფილა უიმედოდ განწყობილი; როგორც მოსალოდნელი იყო, აცხადებს. ალბათ ფიქრობდა, ვინ არიან ეს ბიბლიოთეკარები, რა ბეიმი მოუნდომებიათ, მაინც არაფერი გამოუვათო. მართალი რომ ითქვას, დიდი გმირობა არ იქნება, თუ ვაღიარებთ, რომ ბიბლიოთეკები გაცილებით უკეთეს, ღრმა და შინაარსიან ღონისძიებებს აგარებენ, ვიდრე ის სადამო იყო. კორესპონდენტი მარტო დახურვით რომ არ დაინგერესებულყო და მრავალი შესანიშნავი ღონისძიებებიდან თუნდაც რამდენიმე

მაინც ენახა, ალბათ სხვაგვარ ინფორმაციას მიაწვდიდა მკითხველებს. ისიც უნდა იცოდეს, რომ ყველაფერს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, და რომ უფრო ღრმად ჩაეხედა ამაში და ეცადა უფრო სოციალური ასპექტით გაეშუქებინა მოვლენები, გაცილებით უფრო კარგად შეასრულებდა კორესპონდენტის მოვალეობას.

დღევანდელმა მოქალაქემ, მით უფრო მასმედიის წარმომადგენელმა, კარგად უნდა იცნობდეს ბიბლიოთეკას, შეეძლოს მისი ობიექტური შეფასება და საფუძვლიანი კრიტიკაც.


საერთოდ, საბიბლიოთეკო საქმე ყოველთვის მოკლებული იყო მასმედიის ყურადღებას, ვერ ვიგყვით, დღესაც ასე იყოს თითქოს, მაგრამ ის ვითარება, რომელიც ამჟამადაც იჩენს თავს, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბიბლიოთეკამ მტკიცე მხარდაჭერა იგრძნოს მასმედიისაგან. არა და, ეს ფრიალ მნიშვნელოვანია საბიბლიოთეკო საქმის შემდგომი განვითარებისათვის.



ქეთი ქიქოძე

„კვალის“ ბიბლიოთეკისა და არქივების მენეჯერი

## ასოციაცია „კვალის“ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრი



**ა**სოციაცია „კვალი“ ჩამოყალიბდა 1999 წელს, აშშ-ში ქართული სათვისტომოს განათლების განყოფილების დირექტორის, ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრების“ საკოორდინაციო საბჭოს წევრის, რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონ შოთა ვაშაკიძის მიერ.

ასოციაცია „კვალი“ ახორციელებს 12 პროექტს. მათ შორის:

საგანმანათლებლო, რომლის დახმარებითაც დღეს 30-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს აშშ-ში, მათ შორის უმეტესობა – რათგერსის უნივე-

რსიტეტში.

ქართული ლიგერაგურის, ხელოვნების, კულტურისა და ისტორიის მხარდაჭერა. ამ მიზნით 2002 წელს „კვალმა“ პირველად მოაწყო ლიგერაგურული კონკურსი. გამოსცა კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა ნაწარმოებების კრებული. 2003 წლის ოქტომბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, რათგერსის უნივერსიტეტში, „კვალმა“ მოაწყო ქართული კულტურის დღე.

ისტორიული არქივების მოძიება და შესწავლა. „კვალი“ ფლობს აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ისტორიულ არქივებს.



ელექტრონული გამოცემა. ასოციაცია გამოცემს ყოველკვირეულ ელექტრონულ ჟურნალს ახალი ამბების სექციით

([www.kvali.com](http://www.kvali.com)).

პირველი ელექტრონული ინგლისურ-ქართული ლექსიკონი

([www.kvali.com/dictionary](http://www.kvali.com/dictionary)).

განათლების, მედიცინის და სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო ფორუმი. „კვალის“ საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქართული ღიასპორის გაერთიანება და მათი დაკავშირება ადგილობრივ მოსახლეობასთან. სწორედ ამ მიზნით, ამა წლის 9-12 ივლისს თბილისში მოეწყო საერთაშორისო ფორუმი. ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი:

([www.kvali.org/forum](http://www.kvali.org/forum)).

საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრი „კვალი“, რომელიც ამერიკის მთავრობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უშუალო მხარდაჭერით გაიხსნა

2003 წლის სექტემბერში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსში. ([www.kvali.org/center](http://www.kvali.org/center)) ცენტრი ემსახურება აშშ-ში სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულ პირებს.

ცენტრის მთავარი კომპონენტია სამკითხველო დარბაზი და ახლადშექმნილი ბიბლიოთეკა. „კვალის“ ბიბლიოთეკა მუდმივად განახლებადია, წიგნების სრული ნუსხა განთავსებულია ვებგვერდზე

(<http://kvali.org/center/index.html?library> 2).

მოთხოვნის შესაბამისად, ბიბლიოთეკა აღჭურვილია აშშ-ს უნივერსიტეტების ახალი კატალოგებით, სტანდარტული ტესტების მოსამზადებელი სახელმძღვანელოებით, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ცნობარე-

ბითა და სხვა.

სულ მალე „კვალის“ ვებ-გვერდზე განთავსდება აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ისტორიული არქივების კატალოგი, რომელიც მოიცავს ქართული ემიგრაციის ცხოვრების ამსახველ ფოტოებს, პუბლიკაციებსა და წიგნებს. „კვალი“ აგრძელებს ემიგრანტული მასალების მოძიებას და არქივის შევსებას. როგორც ცენტრში არსებული ბიბლიოთეკის მომხმარებელს, ასევე ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს ქართულ-ინგლისური ელექტრონული ლექსიკონით

([www.kvali.com/dictionary](http://www.kvali.com/dictionary)),

რომელიც „კვალმა“ ქართველ ლინგვისტებთან და პროგრამისტებთან ერთად შექმნა.

ელექტრონული გამოცემის, ჟურნალ „კვალის“ ლიგერატური და მატემატიკის „წიგნის თარო“, რომელშიც შეგიძლიათ გაეცნოთ როგორც აშშ-ში მცხოვრებ ახალგაზრდა ლიგერატორთა შემოქმედებას, ასევე თანამე-

დროვე ქართული პროზის ნიმუშებს.

(<http://www.kvali.com/kvali/taro.asp>).

„კვალის“ თანამედროვე გექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სამკითხველო დარბაზში შემოსულ ნებისმიერ პიროვნებას მაღალი სიჩქარის ინტერნეტული ჩართვით, რომლის საშუალებითაც მსურველი იღებს ინფორმაციას აშშ-ს განათლების სისტემის შესახებ და წარმართავს სააკადემიკაციო პროცესს.

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, „კვალის“ მთავარი მიზანია, თავი მოუყაროს და გააერთიანოს ქართული ემიგრაცია და მისი ძალისხმევა წარმართოს საქართველოსთან თანამშრომლობის განსახორციელებლად. ამას ემსახურება პრაქტიკულად ყველა პროექტი,



რომელიც ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე ხორციელდება.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც საკმაოდ ეფექტურად აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ქართველებს. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ერთი უარყოფითი მომენტი, რომელიც საკმაოდ აფერხებს ქართული სათვისტომოების თანამშრომლობას საქართველოსთან – ეს არის ინგერნეტის მეტად შეზღუდული გამოყენება.

აშშ-ში პროფესიონალები გაცილებით უფრო მეტ დროს ატარებენ კომპიუტერებთან, ვიდრე ტელევიზორებთან. ციფრული ერა განსაკუთრებით იგრძნობა მეცნიერებაში, მედიცინასა და მასმედიაში. აშშ-ში 17 წუთში ინგერნეტით გადაიცემა ინფორმაცია, რომელიც მოცულობით აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკას აღემატება. ინგერნეტის შეზღუდული მოხმარება ბრძლის ჩამორჩენილობის ზღვარს დასავლეთსა და საქართველოს შორის. საქართველოს

უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება მონაცემთა ბაზების შესაქმნელად და გადასაცემად. ამ მხრივ სახელმწიფომ უნდა შექმნას აუცილებელი წინაპირობები. აშშ-ში ამჟამად განიხილება კანონპროექტი, რომელიც გადასახადებისაგან ათავისუფლებს ინგერნეტ-მომწოდებლებს და ბლუდავს ინგერნეტში ჩართვის გადასახადებს. საქართველოში კი ინგერნეტში ჩართვა, სულ ცოცხა, ათჯერ ძვირია, ვიდრე აშშ-ში, რასაც თავისუფლად შეიძლება უნებლიე დივერსია ეწოდოს.

იმედია, ქვეყნის განვითარების შესაბამისად, ეს პრობლემა დაძლეული იქნება და საქართველოში დაიწყება ბიბლიოთეკების განახლება და მათი აღჭურვა თანამედროვე ციფრული ტექნიკით.



#### Association Kvali was founded in 1999. At present Kvali runs 12 projects:

- Education Advising Center ([www.kvali.org.center](http://www.kvali.org.center))
- Promoting Georgian Art and Culture ([www.kvali.org](http://www.kvali.org).)
- Preserving Georgian Emigrant Archives
- Online Publishing ([www.kvali.com](http://www.kvali.com))
- Online Georgian \_ English Dictionary ([www.kvali.com/dictionary](http://www.kvali.com/dictionary))
- International Forum on Cooperation and Development in Education, Reserch and Healthcare

Tbilisi, Georgia July 9-12, 2004

The key component of the Education Advising Center is the library, which Features book and study materials including catalogues, standard test preparation textbooks, guides to U.S. undergraduate and graduate programs.

Kvali's founding principles are to implement and manage carefully defined and interrelated projects that are designed to work closely and support each other.

2004 წლის საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის დღეებში, როგორც ადრე ვიცოცხლებოდი, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მოწვევით, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე სტუმრად იმყოფებოდნენ ამერიკელი სპეციალისტები: შეილა ინტნერი და ბობი ფერგასონი. ქ-ნმა შეილამ მონაწილეობა მიიღო კათედრის ინიციატივით გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც საქართველოში ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. მან წაიკითხა მეტად საინტერესო მოხსენება, რომელსაც ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ მცირედი შემოკლებით.

შეილა ინტნერი

სიმონის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებათა  
კოლეჯის პროფესორი (აშშ)

## საბიბლიოთეკო განათლება, ფონდების განვითარება და ბიბლიოთეკის რესურსები

ა) შესავალი: როგორ მოდის წინააღმდეგობაში საბიბლიოთეკო განათლება პრაქტიკასთან – პროფესიულ პრაქტიკაზე უდიდეს გავლენას ახდენენ პედაგოგები და თვით საგანმანათლებლო პროცესი, როგორც სტუდენტების სწავლების თვალსაზრისით, ასევე პედაგოგებსა და პრაქტიკოსებს შორის პროფესიული ურთიერთთანამშრომლობითაც. შესაბამისად, პრაქტიკის ბრდა-განვითარება რეალურ გავლენას ახდენს საბიბლიოთეკო განათლებაზე, უმეტესად ისეთ გერიგორიებზე, სადაც განათლებაზე, განსაკუთრებით კი იქ, სადაც მიღებული სქემები (ან სასწავლო კურსი) და ტექნოლოგიები მეტად ცვალებადია.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გამოიყენება ყველა საშუალება, ხიდი გაიღო პროფესიონალების ორ ერთობას – პედაგოგებსა და პრაქტიკოსებს შორის.

პრაქტიკოსებს მიაჩნიათ, რომ პედაგოგები იზოლირებულნი არიან ამ მწვავე პრობლემებისაგან, რომლებსაც ბიბლიოთეკარები პირისპირ ეჯახებიან, რაც, რა თქმა უნდა, სავსებით რეალურია; მათ მსგავსად პედაგოგებიც მიიჩნევენ, რომ პრაქტიკოსები მოშორებული არიან თეორიულ და სასწავლო პრობლემებს, განსაკუთრებით ისეთებს, როგორცაა სტუდენტების მოზიდვა ჩვენს სპეციალობაზე, სწრაფად მზარდი და ცვალებადი სასწავლო პროცესის მართვა იმ პირობებში, როცა ჩვენი საზოგადოება თავიდან იცილებს და უარს აცხადებს უმაღლეს განათლებაში ინვესტიციების ჩაღებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთგაველენა ორივე მხრიდან ხორციელდება – პედაგოგებისა პრაქტიკოსებზე და, პირიქით, პრაქტიკოსებისა პედაგოგებზე, ნება მომეცით ყურადღება გავამახვილო იმაზე, თუ ზოგადად როგორ ახდენს საბიბლიოთეკო განათლება გავლენას პრაქტიკაზე. შემდეგ განვიხილავ ფონდის შექმნა-აწყობას და იმ წყაროებსა და სახსრებს, რაც სჭირდება ამ მნიშვნელოვან საქმეს და შემოგთავაზოთ ის გზები და გამოსავალი, რომლის მეშვეობითაც საბიბლიოთეკო განათლება დადებით წვლილს შეიგანს საბიბლიოთეკო ფონდების უკეთესად აგებასა და განმტკიცებაში, როგორც აქ საქართველოში, ისე აშშ-ში და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

ჩემი დაკვირვებით, საბიბლიოთეკო განათლება წინააღმდეგობაშია პროფესიულ პრაქტიკასთან, რაც გამოიხატება შემდეგში:

ჩემი დაკვირვებით, საბიბლიოთეკო განათლება წინააღმდეგობაშია პროფესიულ პრაქტიკასთან, რაც გამოიხატება შემდეგში:

სტუდენტებისათვის სწავლების ფასეულობანი და პრაქტიკული მიზნები ხშირად არ



ამერიკელი სტუმრები ქართველ სპეციალისტებს შორის საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვაზე.

ემთხვევა ერთმანეთს. სწავლება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ის ხელს უწყობდეს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

კვლევა-ძიება წარიმართოს იმგვარად, რომ ნათელი მოეფინოს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობას, ჩამოყალიბდეს პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასარგებლო, გამოსადეგი მონაცემების დახერხვას.

ხელი შეუწყოს პრაქტიკოსების მიერ წერილობითი თუ ბეჭდური მასალების წაკითხვასა და გამოყენებას.

უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკები კარგად მომზადებული ახალი სპეციალისტებით.

გაუძლიერდეს სტუდენტებს ვალდებულება და აუცილებლობა იმისა, რომ სპეციალობის მიღების შემდეგ გააგრძელონ სწავლა და რაიმე ხარისხიცი მიიღონ. მოგჯერ მიაჩნიათ (და საკმაოდ არასწორად), რომ თითქოს ეს გული-სხმობს რაიმეს კეთებას პიროვნების ყოველდღიური კონტაქტებიდან გამომდინარე ცოდნის მოთხოვნის გარეშე.

სწავლების სფერო უნდა ცდილობდეს პრაქტიკოსებთან თანამშრომლობას პროფესიულ ასოციაციებსა თუ სხვა სახის სამსახურში;

თეორიულმა სამსახურმა უნდა აწარმოოს კონსულტაციები პრაქტიკოსებთან მიმდინარე პრობლემებზე, სტანდარტებზე, პოლიტიკურ გავლენასა თუ ურთიერთობაში, ორმხრივი ინტერესებისა და მისი შედეგების შესახებ.

ახლა შევეხოთ იმას, თუ როგორ უნდა აიგოს და დაკომპლექტდეს XXI საუკუნის საბიბლიოთეკო ფონდები. ჩემი შეხედულებები ემყარება აშშ-ში პრაქტიკულ საქმიანობაზე ხანგრძლივ დაკვირვებას. შემდეგ ვეცდები კვლავ დაუბრუნდეთ დეტალურად, რომლებიც დაკავშირებულია ამ პროცესებთან.

ბ) რა სახის ფონდები უნდა განვითარდეს და როგორ? – ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ მცირედი წინაისგორია და ფონდების განვითარების რამდენიმე ზოგადი პრინციპი, აგრეთვე გი-

ჩვენოთ, თუ როგორ ვხედავთ მათ, როგორ ვასწავლო ჩემს სტუდენტებს და როგორ მოქმედებს ეს პრინციპები ამ მიმართულებით.

მთავარი კრიტერიუმი ფონდების განვითარებისა უნდა იყოს წიგნადი ფონდის მომხმარებელთა ანუ მკითხველთა საჭიროებასთან შესაბამისობა. მასალა, რომელიც არ გამოიყენება და არავისთვის მოაქვს სარგებლობა და მხოლოდ ფულის უაზრო ფლანგვას იწვევს, საფუძვლით მისაღებია, გამოდგეს სხვაგან.

(ს.რ. რანგანათანის 5 კანონი: წიგნები განკუთვნილია გამოყენებისათვის; ყოველ მკითხველს აქვს თავისი წიგნი;

ყოველ წიგნს ჰყავს თავისი მკითხველი; და ზოგეთ მკითხველის ღრე; ბიბლიოთეკები მზარდი ორგანიზმებია).

ერთხელ აშშ-ს ბიბლიოთეკებმა სცადეს შემგროვებინათ ყველა დასახელება, რაც მათთვის საინტერესო გერიტორიაზე გამოიყენებოდა; დღესდღეობით ყველაზე დიდი დაწესებულებებიც კი მიხვდნენ, რომ ყველაფრის ყიდვა შეუძლებელი გახდა; ამის ნაცვლად სჯობს განესაზღვროთ, თუ რა ვიყიდოთ მოცემულ მომენტში და რისი შეძენა დაგვეგმოდ წინასწარ ანუ წინ გავუსწროთ მკითხველთა მოთხოვნებს, რადგან კოლექციები, რომლებიც ჯერ არ არის შესყიდული, შესაძლებელია ვინმემ მოითხოვოს. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გაიზარდა

და გაფართოვდა მომსახურებისა და ლოკუმენტიკის შერჩევის უფლებები თუ შესაძლებლობები, უსარგებლო მასალების გამოვლენაზე, რაც არეგულირებს მასალების გამოყენებას.

აშშ-ს საჯარო ბიბლიოთეკები თავიანთი ფონდებისათვის, ჩვეულებრივ, ისახავენ სამ, ე.წ. თანაბარი მნიშვნელობის ამოცანას:

1) განათლება; 2) ინფორმაცია და 3) შრომატევადი საქმისაგან გათავისუფლება ანუ განგვირთვა; ამერიკის აკადემიური ბიბლიოთეკებიც თავიანთი ფონდებისათვის აწესებენ ორი თანაბარი მნიშვნელობის ამოცანას:

1) სწავლების რეგულარულ კურსსა და მიღებული სქემების მხარდაჭერას;

2) კვლევა-ძიების მხარდაჭერას, თუმცა პრაქტიკაში ეს ამოცანები სულაც არ არის თანაბარი მნიშვნელობისა. მათი მნიშვნელობა დიდად განსხვავდება ერთი და იმავე ტიპის სხვადასხვა ბიბლიოთეკაშიც კი,

თუნდაც იმ ბიბლიოთეკებში, რომლებიც მსგავსი ტიპის სხვადასხვა მკითხველებს ემსახურებიან. ამოცანების ასეთი ინტერპრეტაცია ხშირად სადავოა და ამიტომაც დიდი მნიშვნელობა



შეილა ინგნერის სემინარის მონაწილენი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ექნება იმას, თუ როგორ არის ფონდები განაწილებული და დასახელებათა როგორი ნაკრები გვაქვს.

ბიბლიოთეკის დანიშნულების, აგრეთვე მისი მკითხველების ასაკისა და ინტელექტუალური დონის გათვალისწინებით, უნდა განვითარდეს ისეთი ფონდები, რომლებიც: 1) ხელს შეუწყობს კვლევა-ძიებას; 2) წაახალისებს მომხმარებელს აქტიურ კითხვაზე; 3) ხელს შეუწყობს ინფორმაციის მიწოდებას; 4) შესძენს მკითხველს განათლებას; 5) მხარს დაუჭერს

სწავლის რეგულარულ კურსს; 6) გაამდიდრებს საგანმანათლებლო პროგრამებს; 7) ხელს შეუწყობს და წაახალისებს იდეების განვითარებას; 8) უზრუნველყოფს თვითდახმარებას; 9) წაახალისებს სწავლას მთელი სიცოცხლის მანძილზე და, ბოლოს, 10) იქნება გასართობი, განსატვირთავი.

იმ მიზნებისა და ამოცანების კომბინაციები, რასაც ცალკეული ბიბლიოთეკა ირჩევს ხოლმე, რომ გამოიყენოს თავისთვის მასალის შესყიდვის დროს, შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ყოველი შესყიდული და დამტკიცებული დასახელება, რომელიც უკვე შეესაბამება გარკვეულ მიზნებს, შესაბამისობაში უნდა იყოს იმ ხალხის სპეციფიკურ მოთხოვნებთან, ვისაც ბიბლიოთეკა ემსახურება.

ნებისმიერი ფონდის გეგმაში შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ერთი უპირველესი და

პრიორიტეტული მიზანი; ბიბლიოთეკები, რომლებიც ცდილობენ ემსახურონ ბევრ, ე.წ. „მთავარ და პრიორიტეტულ“ მიზნებს, ალბათ, წამოწყებისთანავე დამარცხდებიან. სხვა დანარჩენი მიზნები უფრო მე-

ორხარისხოვანია და ნაკლებად პრიორიტეტულიც. როდესაც ფონდი ღირებულია, მაშინ ფული გამოყენებული უნდა იქნეს ყველაზე მნიშვნელოვანისა და პრიორიტეტულისათვის.

როგორ არის ფონდები აგებული (დაკომპლექტებული)? – აშშ-ს ბიბლიოთეკებმა შეიმუშავეს და განავითარეს ფონდების დაკომპლექტების უამრავი ხერხი, მათ შორის საჯარო ბიბლიოთეკებმაც და უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებმაც.

1970 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა

ფონდების რაოდენობა, რომელიც ინსტიტუციონალურ წყაროს შექმლო მიეცა ბიბლიოთეკისათვის. ყოველივე ეს განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: 1) საექსპლუატაციო და მზა ბეჭდვითი მასალების რაოდენობისა და ტიპების გაზრდით თითქმის ყველა დარგში; 2) გარკვეულ დასახელებათა ფასების ზრდით (თუმცა ზოგად ფორმატში ზოგიერთი დასახელება, მაგ. როგორცაა ვიდეომასალა, მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ აიწია წიგნებისა და ჟურნალების ფასმა, რამაც საშუალოდ დააბალანსა ღირებულება; 3) დოლარის კურსის შემცირებითა და საზღვარგარეთ გამოცემული მასალის გაცვლის დაჩქარებით. ეს არის განსაკუთრებულად მწვავე პროლემა ისეთი პაგარა ქვეყნებისათვის, როგორც საქართველო.

4) ისეთი დაწინაურებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოთხოვნათა და საჭიროებით, რომელიც მხარს დაუჭერს მასალების გამოყენებასა და განაწილებას. 5) საავტორო უფლებების რეგულირების მოთხოვნისა, რაც წარმართავს ამ მასალების მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენების საქმეს; 6) ხალხის სურვილებისა და მოთხოვნების ზრდით, რაც სრულყოფილად ვერ ითვალისწინებს, თუ რა შეუძლია ბიბლიოთეკას, რა შეიძლება მან შესთავაზოს მათ გადასახადის გარეშე; 7) ბიბლიოთეკის მასალათა აღრიცხვისა და დაცვის უფრო მეტად გაზრდილი მოთხოვნით, ვიდრე ეს შესაძლებელია.

არსებობს ფონდების ფორმირებისა და აღრიცხვის შემდეგი ტიპური წყაროები:

მიმდინარე ოპერაციებისა და მოქმედებების დაგეგმვა, რაც ძირითადად განისაზღვრება ბიბლიოთეკის ყოველწლიური მოქმედი ბიუჯეტით. ბიუჯეტის ერთი ან რამდენიმე მიმართულება გათვალისწინებულია მასალების შესყიდვისათვის. ჩვეულებრივ, სხვა მიმართულებებისათვის გამოყოფილია თანხები იმისათვის, რომ მიმდინარე ფონდებს შევუნარჩუნოთ არსებული მდგომარეობა და დავიცვათ რო-

გორც შემაერთებელი, შემაკავირებელი რგოლი და მხარი დაეუჭიროთ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას.

შემოწირულობები არსებობს ყველა ტიპის ბიბლიოთეკებში და წარმოადგენს კარგ საშუალებას ფონდების დასაკომპლექტებლად (იგულისხმება ფულადი შემოწირულობები), მაგრამ მათი რაოდენობა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ ბიბლიოთეკის საინვესტიციო პაკეტი. (ამ ცოგა ნის წინ საფონდო ბირჟის მუშაობის გაუარესებამ შემოწირულობათა მიღებაში სერიოზული პრობლემები წარმოშვა). ეს ფონდები შეიძლება გადაიდოს სხვა მიზნებისათვის, კერძოდ, სხვადასხვა მასალების შესაძენად, მაგრამ ამან შესაძლებელია გამოიწვიოს რაიმე პრობლემები ფონდების შექმნის თვალსაზრისით. ზოგიერთ ბიბლიოთეკას, მაგ., ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია შემოწირულობათა უდიდესი ფონდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მიზნით.

საჩუქრების საშუალებით, იქნება ეს ნივთიერი თუ ფულადი, შესაძლებელია საკმაო რაოდენობით მასალის შექმნა. ეს დამოკიდებულია ბიბლიოთეკის ტიპზე, მის მკითხველებზე. თუ ერთგან საჩუქრები ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, სხვაგან – უმნიშვნელო ნაწილია.

სხვა შემოწირულობები შედარებით შეზღუდულია. მათ წყაროს წარმოადგენენ პოტენციური დონორები, რომლებთანაც მოკრძალებით უნდა ვიმუშაოთ, ესენი არიან ყოფილი სტუდენტები, სხვადასხვა ორგანიზაციები, ადგილობრივი ბიზნესმენების ჩათვლით, რომლებიც ისწრაფვიან, შეიგანონ შემოწირულობები, რაც მათი კეთილი ნების გამოხატულებაა. ასევე, აღსანიშნავია ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ ბიბლიოთეკის მასალებს თავიანთ მუშაობაში, აგრეთვე რელიგიური ჯგუფები და შეძლებული ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე კავშირი იმ ორგანიზაციებთან თუ ინსტიტუტთან,

რომლის ნაწილიცაა ეს ბიბლიოთეკა. (გახსოვდეთ, რომ ღონის აუცილებლად კარგად უნდა მოექცეთ და თავი დაანახოთ, ვიდრე რამეს სთხოვთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა სათხოვნელად ეწვევით, თავს ბედნიერად ჩათვლიან, თუ ხელცარიელს გამოგისტუმრებენ).

გრანტები შესაძლოა გახდეს საძიებელი, გამოსაკვლევ მასალის შესანიშნავი წყარო, თუ მკვლევარს საკმაო განათლება გააჩნია, იმისათვის, რომ ამ გრანტის რაღაც ნაწილი საბიბლიოთეკო მასალებზე მიმართოს და აქტიურად დაუჭიროს მხარი სწავლის პროცესს. თავის მხრივ, ბიბლიოთეკარებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ამ პროცესში და მოემსახურონ მკვლევართა დიდ ჯგუფებს და უბრუნველყონ ისინი საფუძვლიანი საძიებო მომსახურებით ფონდების მარაგის შევსების სანაცვლოდ.

ძირითადი ფონდები უკვე მოძველდა და მხოლოდ ფონდების შერწყმა გამოიყენება ძირეული ინფრასტრუქტურისათვის, როგორცაა, მაგალითად, კომპიუტერული ლაბორატორიები, ქსელები, მიკროფილმების ლაბორატორიები და მსგავსი სისტემები. ისინი მაღლობის დირსნი არიან ციფრული ბიბლიოთეკების შექმნის ინიციატივისათვის, ქსელების არეალის გავრცელებისა და სხვა ამბიციურ პროექტებზე მუშაობისათვის, რითაც ბრუნავენ იმ მომხმარებლისათვის, რომლებსაც არა აქვთ შეღწევისა და მონაცემთა ამოკრების საშუალება სამუშაო ადგილზე. ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლებელია, რომ ძირითადი ფონდები გამოყენებული იქნეს თვით ამ მასალებისათვის.

საფასური და გადასახადი ძირითადად დაშვებულია და დამტკიცებულია ისეთ მასალებზე, რომლებიც განკუთვნილია ერთი ან რამდენიმე პირისათვის ან ისეთ მასალებზე, რომლებსაც მკითხველი წაიღებს შინ იმ უფლებით, რომ აღარ დააბრუნოს. თუმცა ხშირად გადასახადები იკრიბება დაბრუნებულ მასალებზეც, რომლებიც უკვე ბევრმა აღამიანმა გამოიყენა; ამ მასალის შეგროვება და გამოყენება გაცილებით იოლია.

დაიმახსოვრეთ, რომ გადასახადი აუმჯობესებს და მაღალ ღონებზე აპყავს ელიგარიზმი, რადგანაც ეს არის ყურადღებისა და თავაზიანობის გამოხატვა, რამდენადაც, ფაქტობრივად, მათ, ვისაც აქვთ ვახლეინებთ საფასურს იმათთვის, ვისაც არა აქვთ ამის საშუალება.

არასასურველი მასალის გაყიდვა – ზოგიერთი ბიბლიოთეკა აწარმოებს წიგნის გაყიდვას ფონდის შენარჩუნებისათვის. სხვა ბიბლიოთეკები აწარმოებენ გამოუსადეგარი, არასაჭირო მასალისა და არასაჭირო ნაჩუქარი მასალების ყოველწლიურ ან პერიოდულ გაყიდვებს, და იყენებენ ამას შესაბამისი მიზნებისა და საჭიროებისათვის.

სად შეგვიძლია ვიპოვოთ ფონდების ფორმირების წყაროები? – ფონდების მოძიება დღესდღეობით უფრო და უფრო მეტ დროს მოითხოვს ბიბლიოთეკის მმართველებისაგან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარებმა ძირითადად იციან, რომ წარმატება ფონდების ფორმირების ახალი წყაროების განვითარებაში საკმაოდ რთულია, რომ საბოლოოდ იქნეს მიღწეული დაკომპლექტების მიზანი და ამოცანები. ფონდების მოძიებაში დიდი დროის დახარჯვა გულისხმობს იმას, რომ ხელმძღვანელმა პირებმა თავი უნდა დაანებონ ყოფითი პრობლემების გადაჭრას, დაგეგმვასა თუ მართვას და უნდა ითანამშრომლონ და გავლენა მოახდინონ შესაბამის პარტნიორებზე თუ კოლეგებზე, რომლებსაც აირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებად.

საჭიროა წარმომადგენლების აღჭურვა უფრო მეტი ავტორიტეტითა და უფლებამოსილებით, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, უფრო თამამად მიიღონ გადაწყვეტილებები. ეს უფრო რისკიანს გახდის მათ სამუშაოს, ვიდრე ეს აქამდე იყო.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც ბიბლიოთეკის მმართველებმა და ფონდების განვითარების მუშაკებმა უნდა მიიღონ და განავითარონ იმისათვის, რომ მიიღონ უფრო მეტი ფინანსურ სტაბილურობას

ფონდების ფორმირებისათვის:

გააუმჯობესონ, უკეთესი კონკურენტული ოსტატობა და ხერხები გამოიყენონ ფონდების დაცვის საქმეში.

საჭიროა: უფრო მეტი ქმედითობა ღონისძიებთან მიმართებაში – ეს არის პროცესი, რომელიც სულ უნდა მიმდინარეობდეს. ის მოითხოვს დიდ ღროსა და მაღალი ღონის შტაგს; საბოლოო ანგარიში უნდა იყოს ვრცელი, მაგრამ ისინი იშვიათად რეალიზდება სწრაფად და ნებისმიერ ფინანსურ წელიწადში შეიძლება იყოს რამდენიმე ანგარიში.

სახელმწიფო სტრუქტურებიდან გრანტების მიღება – არც ერთი გრანტი არ გაიცემა ისე, თუ არ იქნება მითითებული პროექტში პროცენტული რაოდენობა ბიბლიოთეკის მხარდასაჭერად, სწავლისა თუ კვლევისათვის.

გასათვალისწინებელია საძიებო გრანტების მიღება მრეწველობიდან კომპანიის პროდუქტების კვლევა-განვითარებისათვის, კომერციული პროდუქციის მარკეტინგისა და მომსახურების ჩათვლით.

უნდა ეცადო მიმდინარეობდეს საინფორმაციო სამრეწველო პროდუქციისა და მომსახურების განვითარებისათვის – ბიბლიოთეკები, რომლებიც ძალიან ამბიციური არიან და მეტ უფლებებს იღებენ თავზე, შეუძლიათ გამოსცენ საინფორმაციო საინფორმაციო პროდუქცია ზოგადი და სპეციალიზებული ბაზრისათვის, რაც უზრუნველყოფს მხარდაჭერას იმ ბიბლიოთეკებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ დასაყრდენი, მოამარაგონ და უზრუნველყონ თავიანთი თავი.


მხედველობაში მისაღები სხვა საინიციატივო ღონისძიებების, როგორცაა გადასახადი რჩევის, კონსულტაციისათვის (მაგ., აშშ-ში ერთი

საუკუნის წინ ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა ჯონ კოგონ დანას ხელმძღვანელობით იყო პირველი, რომელიც საინფორმაციო მომსახურებით აწარმოებდა ადგილობრივ ბიზნესს).

უნდა ხდებოდეს „ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფების“ შექმნა და განვითარება, აგრეთვე სხვა ხერხების გამოყენება მომხრეთა და მხარდაჭერითა (მშობლები, კურსდამთავრებულები და ა.შ.) ჯგუფების სახით, რომ გავზარდოთ ფონდები.

აუცილებლად უნდა დაიხვეწოს გადასახადების, საფასურისა და გაყიდვების მართვის ხერხები და უნარი.

მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება ნებისმიერი მარაგი, საჭიროა, უკეთესი კომუნიკაცია ფონდების ფორმირების ყველა წყაროსთან, რომ ნათელი გავხადოთ მათი შემოწირულობებისა და წვლილის ღირებულება და ფასეულობა. (ეს გულისხმობს ბიბლიოთეკის საკუთარ ინსტიტუციონალურ ადმინისტრატორებსაც, რომლებიც შესაძლოა ფიქრობენ, რომ ბიბლიოთეკა არის ფინანსური შავი ხვრელი, რომელშიც ისინი უსასრულოდ



სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიკურ ინსტიტუტში.

ყრიან ფულს, მაგრამ მოთხოვნები არასოდეს კმაყოფილდება და რომ ამ მარაგიდან არაფერი უკან აღარ ბრუნდება! ბიბლიოთეკები ეს არის სახსრების კონცენტრირების და არა შემოსავლების გაკეთების ცენტრები).

როგორ შეიძლება დაეხმაროს საბიბლიოთეკო განათლება ბიბლიოთეკარებს, რომ შექმნან, ააგონ XXI საუკუნის ფონდები? – ერთია, რომ შეასრულო არაპირდაპირი როლი საბიბლიოთეკო პრაქტიკის ევოლუციის მსვლელობაში და, მეორე მხრივ, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ისეთ რამეებზე, რასაც



შეუძლია უფრო პირდაპირი გავლენა მოახდინოს ფონდების ფორმირებაზე. ჩემი რწმენით, საბიბლიოთეკო სკოლებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა, უნდა გააკეთონ შემდეგი:

ასწავლონ ფონდების შექმნის ფასი და მნიშვნელობა, სრულყოფილად გამოიყენონ ეს ფონდები და ის, რომ ბიბლიოთეკები, რომლებიც წარმართავენ მასალის გადარჩევას, პასუხისმგებელი არიან, უზრუნველყონ ნებისმიერი სახელწოდებაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. მე არ მეგულება ისეთი ბიბლიოთეკა, რომელიც აფასებს თავისი სელექტორების მუშაობას იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობა გამოიყენება მათ მიერ შერჩეული მასალიდან, არადა, ასეთი რამ მათ პასუხისმგებლობას გახდიდა თავიანთ პროფესიულ საქმიანობაზე. ასეთი რამ, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ჩვენს დარგში.

ნება დართონ და უფლებამოსილება მიანიჭონ სტუდენტებსა თუ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებსაც გააჩნიათ საჭირო უნარჩვევები, რომ მონაწილეობა მიიღონ საკონკურსო გამოკითხვებში ფონდებთან დაკავშირებით: 1) წერის კარგი უნარი; 2) დაფინანსების პოლიტიკისა და ენის გაგება ისე, რომ შეძლონ ბიუჯეტების მომზადება, რაც შესაბამისობაში იქნება ბიბლიოთეკის მიზნებთან და ამოცანებთან და ხელს შეუწყობს ფონდების ნაყოფიერად გამოყენებას. 3) ინიციატორული პროგნოზის განვითარება მაშინაც კი, თუ ბიბლიოთეკას არ გააჩნია ბიზნესის წყარო. 4) პირადი გარანტიების გარისკვა ახალი ამბიციური მიზნების დასახვით მაშინც კი, როცა თითქოსდა ყველაფერი კარგად მიდის. 5) კვლევის წარმოება, რათა წინასწარ იქნეს გააზრებული საჭიროებები და მოთხოვნები, მინიმალურამდე შემცირდეს რისკი.

მისცენ რჩევა სტუდენტებს, რომლებიც ისწრაფვიან კარიერისაკენ;

უზრუნველყონ ასპირანტების შესაძლებლობების სრულად გამოავლენა, რათა მიეცეთ

მათ საშუალება სწავლა განაგრძონ ბოლომდე;

შექმნან სტანდანტები პროფესიული პრაქტიკისა და მომსახურებისათვის პრაქტიკოსებთან ურთიერთთანამშრომლობით;

საფუძველი ჩაუყარონ და მხარი დაუჭირონ აქტიურ და დაღებით ფორმებსა და მეთოდებს თეორიული სწავლების პრაქტიკასთან დასაკავშირებლად, აგრეთვე ძირითადი მიზნებისა და ფასეულობების დაცვისათვის. ეს არ არის ყველაფერი, რაც პედაგოგებმა და პრაქტიკოსებმა რომ მოიფიქრონ, არამედ ეს არის სფერო, რომელზედაც დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა, და თუ უკვე დაწყებულია, მაშინ უნდა გაგრძელდეს, რომ ყოველდღე ეს თანდათანობით გაიზარდოს, განმტკიცდეს და წარმატებას მიაღწიოს.

მოპოვება, მოკრება (შეგროვება) აშშ-ში ყველაზე უფრო შედეგიანია იმათთვის, რომლებიც უკვე მუშაობენ ბიბლიოთეკაში, ოღონდ უნდა დაარწმუნონ ისინი და გაუღვიძონ მათ ინტერესი და სურვილი საბიბლიოთეკო კარიერისადმი და წაახალისონ კიდევ ამისათვის. დაღებითი დამოკიდებულება და სამუშაო გეგმა-ვალდებულებებისადმი მოქნილობა შესაძლოა დაეხმაროს ბიბლიოთეკაში მომუშავე სტუდენტებს, რომ უფრო ეფექტურად წარმართონ ორივე – თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა.

რჩევა-დარიგებაც არის ერთ-ერთი ისეთი ფუნქცია, რომელიც ორივეს – პედაგოგსაც და პრაქტიკოსსაც ევალება. პედაგოგმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მთელი სასწავლო პროგრამის მსვლელობის განმავლობაში, მაგრამ ამის შემდეგ პრაქტიკოსმა უნდა იაქტიუროს, რადგან სწორედ მათ უწევთ ურთიერთობა ახალბედა სპეციალისტებთან. რჩევა-დარიგების შემაგენელ ნაწილად ითვლება ისიც, რომ ახალბედა სპეციალისტები წავახალისოთ, თვითონ იკისრონ პასუხისმგებლობა, მივაჩვიოთ მოვალეობისადმი პასუხისმგებლობას, წავახალისოთ, რომ გააგრძე-

ლონ სწავლა, აღვზარდოთ მათში კეთილშობილება, დიდსულოვანება და გაქვინობა. კარგ ხელმძღვანელს, კარგი მასწავლებლის მსგავსად, შეუძლია დაეხმაროს ნებისმიერს „მთევის გადაადგილებაში“.

ლიდერობა საკონსულტაციო საქმიანობაში იმ მუშაკების ხვედრია, რომლებსაც გააჩნიათ უნარი, თავიანთი იდეები ხმაზე გაამოხატონ, რაც უქმნის და უყალიბებს გარკვეულ ამრს მასზე იმათ, რომლებიც გადაწყვეტილებებს ღებულობენ.

ამგვარად, მათი მუშაობა ასე უფრო გამართლებულია, ვიდრე პრაქტიკოსად ან პედაგოგად მოღვაწეობა. ხშირად ისეც არის, რომ პედაგოგებს სთხოვენ იმუშაონ კონსულტანტებად, თუმცა ზოგ შემთხვევაში წარმატებულ პრაქტიკოსებსაც იყენებენ ამისათვის.

კონსულტანტებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მათ შეუძლიათ ახალი სიცოცხლე შთაბერონ იმ პროგრამებს, რომლებიც კორექტირებას საჭიროებს, მაგრამ მარტოდ მოქმედების შემთხვევაში წარმატება ნაკლებადაა მოსალოდნელი, პატარა ფაკულტეტები შეიძლება აღმოჩნდნენ წინასწარ ხედვისა და მოტივაციის ნაკლებობის წინაშე, რაც უნდა გამოსწორდეს მცოდნე პრაქტიკოს-კონსულტანტების მხარდაჭერით.

პრაქტიკოსები ხშირად კარგი მასწავლებლები არიან და საბიბლიოთეკო სკოლები ხშირად სთხოვენ მათ, წაიკითხონ სპეციალური კურსები, რაშიც მათ გააჩნიათ საჭირო ცოდნა-გამოცდილება და კომპეტენცია. ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ისე, რომ პედაგოგებს სთხოვენ, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ჩაუგარონ შიდა სწავლებების კურსები – იგივე გრენინგები. მომსახურე შტაგის სწავლება და გადამზადება იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ საჭირო ხდება დასახმარებლად ექსპერტების მოყვანა. მაგრამ ზოგჯერ აღმინისგრაფორებს სჯერათ, რომ თავიანთი ბიბლიოთეკარეობიდან კარგად შეასრულებენ ამ მოვალეობას, თა-

ნაც უფასოდ, თავიანთი სამსახურიდან მოუწყვეტლად, მაშინ, როცა პედაგოგები უნდა გამოავლინოთ და შრომა ავეუნაზღაუროთ. მართალია, პედაგოგებს უნდა გადაუხადონ გრენინგებისათვის, მაგრამ როდესაც ბიბლიოთეკის თანამშრომლები დაკავებულნი არიან თავიანთი საქმით და მთელ ენერჯიას მათ ანდომებენ, არც სწავლების დრო აქვთ და არც აუცილებელი სამასწავლებლო უნარ-ჩვევები, ამიტომაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები უჭველად მიმართავენ პედაგოგს კონსულტაციისა და დახმარებისათვის ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად.

პროფესიული ფასეულობების დაცვა სავალდებულო უნდა იყოს პროფესიონალთა გაერთიანების ყველა წევრისათვის, რადგან, თუ ჩვენ არ გავიანძრებთ საერთო, ზოგად ღირებულებებს, არ ვიმუშავეთ მათ მხარდასაჭერად, მაშინ როგორ ვიგყვით, რომ ჩვენც იგივე პროფესიას ვემსახურებით? ბევრი პრაქტიკოსი იძულებული გახდა, ექსპერტი ლობისტი გამხდარიყო, ესწავლა, როგორ გაეკეთებინა ესა თუ ის საქმე, (ეს პოლიტიკის ჩემეული განსაზღვრება გახლავთ), როგორ გამოეყენებინა მედია, რომ გარკვეული ყურადღება მიეპყრო, როგორ ემოქმედა უფრო დამაჯერებლად. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მათი ნიჭი ჩვენი პროფესიონალური ღირებულებების დასაცავად. ექსპერტებმა ბევრი რამ უნდა ასწავლონ თვით პედაგოგებსაც, რომლებმაც ვერც პოლიტიკაში გამოიჩინეს თავი და არც სხვისი დარწმუნება შეუძლიათ.

დასკვნა: ერთად მუშაობა წარმატების მისაღწევად – აქ მოცემულია გარკვეული გზები, რომელზედაც პედაგოგებმაც და პრაქტიკოსებმაც თანაბრად და, რაც მთავარია, ერთად უნდა იმუშაონ, რათა გაამთლიანონ და გააძლიერონ ორივე ჯგუფის მუშაობა;

თავიანთი საბიბლიოთეკო სკოლის კურსებში საჭიროა სტუდენტებმა ისწავლონ, თუ როგორ განახორციელონ პრაქტიკულად ის, რასაც მათ ასწავლიან და როგორ გამოიყენონ ყოვე-

ლივე ეს მუშაობაში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, მათ ასევე უნდა შეიცნონ იმ სამუშაოს ფასი, რომელსაც ისინი ირჩევენ და ნათელი მოჰფინონ ბიბლიოთეკის იმ მისიას, რომელიც დაეხმარება საზოგადოებას, მიაღწიოს ღირსეულ, დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. პრაქტიკოსებსაც სჭირდებათ, რომ შეისწავლონ ცვალებადი გარემომცველი სამყარო და ტექნოლოგიები, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ სტუდენტების მობილდის, რჩევა-დარიგებისა და სწავლების საქმეში.



შეილა ინგნერი ლექციაზე.

ღმად პატივცემულმა კოლეგამ (პროფ. მარსია ბეიგსმა) ამ ცოცხალ ხნის წინ საბიბლიოთეკო ქურნალში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ საბიბლიოთეკო დარგის პედაგოგებსა და პრაქტიკოსებს მოეთხოვებათ უამრავი რამის გაკეთება, რათა წარმატებას მიაღწიონ თავიანთ კარიერაში. ის მართალი იყო: პედაგოგები წარმატებას აღწევენ კარგი სწავლებით, კვლევა-ძიების წარმოებითა და გამოცემებით, პრაქტიკოსები კი წამაგებას აღწევენ შესანიშნავი ფონდების შექმნით, კარგი მომსახურების წარმოებით. მაგრამ ორივე მათგანს აკისრია პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკის პროფესიისა და საინფორმაციო მომსახურების წინაშე, რაც ცალკეულ და ინდივიდუალურ წარმატებას აღემატება.

ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ არსებობს უამრავი პედაგოგი და პრაქტიკოსი, რომლებმაც გვერდზე გადადეს პიროვნული მოტივები და ბევრს ფიქრობენ და აკეთებენ სასიკეთოს და სასარგებლოს, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მეტი გვინდა და გვჭირდება. ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა ვიმოქმედოთ ერთობლივად, რომ უფრო და უფრო გავაძლიეროთ ჩვენი გულისხმევა.

პედაგოგების წარმატებებსა და პრაქტიკოსების წარმატებას შორის დამაკავშირებელი ხილის გადების ერთგვარი მაგალითია სწორედ

ჩვენი დღევანდელი კონფერენცია.

აღბათ ჩვენ მივალწევთ წარმატებას და ვიპოვით საშუალებას, ავაშენოთ ჩვენი ხილი, და აღვმართოთ მყარი და შთამბეჭდავი ნაგებობა.

საერთო მიზნებზე ერთად მუშაობა სარგებლობას მოგვიტანს ჩვენც და მათაც, რომლებიც დამოკიდებული არიან ჩვენს ბიბლიოთეკებზე, ჩვენი ერებიც და მთელი მსოფლიოც.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

ბიბლარცი, დორა. სახელმძღვანელო ბიბლიოთეკის მომხმარებლის მოთხოვნათა შესაფასებლად ერთიანი საინფორმაციო საშუალებების შეკრების, მართვისა და განვითარებისათვის. ლენჰემი, მერილენდი: სქექროუ პრესი საბიბლიოთეკო ფონდების ასოციაციისა და გეჩნიკური მომსახურებისათვის, 2001.

ლოლი, ქეროლ. თქვენი კოლეჯის მართვა და ანალიზი. პრაქტიკული სახელმძღვანელო პატარა ბიბლიოთეკებისა და სკოლის მედია ცენტრებისათვის. ჩიკაგო, ილინოისი: ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია, 2002.

ჰერნონი, პიგერ და რობერტ ე. ლუგანი. მოქმედი გეგმა თქვენს ბიბლიოთეკებში შედეგების შეფასებისათვის – ჩიკაგო, ილინოისი: ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია, 2002.

ჯონსონი, პეგი. ფონდების მართვისა და განვითარების საფუძვლები – ჩიკაგო, ილინოისი: ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია, 2004.

კევიგოვი, დები და მერლინ სემპსონი. სახელმძღვანელო სასკოლო ბიბლიოთეკების მუდია პროგრამების განვითარებისა და შეფასებისათვის. ეინჯელვუდი, კოლორადო: ბიბლიოთეკები საზღვრებს გარეშე, 2000.

მექი, დენიელი, რედაქტორი. ფონდების განვითარების კურსი და მიმართულება. – ნიუ-იორკი: ჰავორს პრესი, 2003.

თორნგონი, გლენდა. ელექტრონული საშუალებების შეჯახება ფონდების განვითარებასთან, ბიბლიოთეკების როლი და საბიბლიოთეკო კონსორციუმი. ბიბლიოთეკის მიმართულებები. გ. 48 (გაზაფხული 2000). გვ. 842-856.

უაგი, ჰოვარდი. მოკლე ესსეი ფონდების სიგკიციის შესახებ: მეთოდური სახელმძღვანელო

ყველა ტიპის ბიბლიოთეკისათვის. – ვესტ პორტი, კონექტიკუტი: გრინვუდ პრესი, 1995

(დასახელებული ლიგერატურა წარმოადგენს ინგლისურენოვან გამოცემებს).

ინგლისურიდან თარგმნა  
ვერიკო გაბუცაძემ

During Libraty Week Days, under the initiative of library departament of Tbilisi State Pedagogical University by Sul Khan Saba Orbeliani and financial support of American Embassy the scientific conference was conducted in the University. American professional, visiting lecturer at Tbilisi State Pedagogical University, Sheila Intner made speech on the conference. We offer her report in its short form.

## სტუდენტი ეჭუფლება პროფესიას

ნინელი მელქაძე, მზია მაჩხოშვილი, სოფო არჩვაძე

### კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა 50 წლისაა

წაკითხულია ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკციალობის  
სტუდენტთა სამეცნიერო წრეზე

**ა**როვნული ბიბლიოთეკები პირველად შუა საუკუნეების ევროპაში აღმოცენდა. ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში 1800 წლისათვის მათი რიცხვი უკვე ოცს აღწევდა.

კონფედერაციის ჩამოყალიბების შემდგომ, როდესაც 1867 წელს ინგლისის პარლამენტმა ბრიტანეთის „ჩრდილოეთ ამერიკის აქტის“ თანახმად კანადას მიანიჭა დომინიონის სტატუსი, კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქცია პარლამენტის ბიბლიოთეკას დაეკისრა. მიუხედავად ამისა, ის ძირითადად ემსახურებოდა პარლამენტარებსა და ორივე პალატის მომსახურე პერსონალს, ამიგომაც პრემიერ-მინისტრმა სერ ჯონ მაკდონალდსმა 1883 წელს განაცხადა, რომ „კანადას ნამდვილად უნდა ჰქონდეს ეროვნული ბიბლიოთეკა“. თუმცა ეს ვერ მოხერხდა მეორე

მსოფლიო ომის დამთავრებამდე. იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა დაავალა ფედერალურ მთავრობას, გადაეწყვიტა ეროვნული ბიბლიოთეკის საკითხი.

1948 წელს კეი ლემბი – ბრიტანელი ისტორიკოსი და კოლუმბიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი – დათანხმდა, სათავეში ჩასდგომოდა კანადის სახალხო არქივს, იმ პირობით, ეროვნული ბიბლიოთეკის დაარსების ნებას თუ მისცემდნენ. პირველი ნაბიჯი 1950 წელს გადადგა – მან ჩამოაყალიბა კანადის ბიბლიოგრაფიული ცენტრი, როგორც „კვამი ეროვნული ბიბლიოთეკა“, მაგრამ უფლებამოსილებისა და სტატუსის გარეშე.

1951 წელს ბიბლიოთეკარებმა, სკოლების და სამოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს კანადის მთავრო-

ბას, რომ მიეღოთ გადაწყვეტილება ეროვნული ბიბლიოთეკის დასაფუძნებლად.

პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება 1952 წლის ივნისში დაამტკიცა სათანადო კანონით.

50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოს 2003 წლის 23 იანვარს ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითად შენობაში თავი მოიყარა 400-მდე ყოფილმა და ახლანდელმა თანამშრომელმა. ოქროსფერმა ბუშგებმა, ძველი სურათების და ფილმების ჩვენებამ, მოგონებებმა გაათბო მარმარილოს ვესტიბული. ყველა ბედნიერი იყო ერთად ყოფნით, იგონებდნენ წარსულს, საუბრობდნენ ყოფილ კოლეგებთან თუ ნაცნობებთან...

ამ პირველმა საიუბილეო საღამომ გააერთიანა ყოფილი და ახლანდელი თანამშრომლები, ისინი, რომლებმაც შემოგვინახეს ბიბლიოთეკა დღევანდელი სახით და ისინი, რომლებიც აგრძელებენ შრომას და უფრთხილდებიან ბიბლიოთეკის რეპუტაციას ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ. ეს იყო პირველი ოფიციალური საჯარო აღნიშვნა „სახლში, კოლეგებთან“...

არსებობის 50 წლისთავზე ბიბლიოთეკამ ნათელჰყო, რაოდენ მნიშვნელოვანია ის სამოგადოებისათვის, და იმედია, ის კვლავ და კვლავ გააგრძელებს მკითხველთა მომსახურებას უფრო მაღალ დონეზე.

ამ საიუბილეო ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ კოლეგები, სხვადასხვა ბიბლიოთეკების წარმომადგენლები, აგრეთვე პარტნიორები საბიბლიოთეკო საქმეში, ვისთანაც ბიბლიოთეკას მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აქვს საინფორმაციო რესურსების გაცვლასა, ბიბლიოგრაფიული სისტემის განვითარებასა და სტანდარტების დამუშავებაში. მიწვეულნი იყვნენ ასევე კოლეგები ეროვნული არქივებიდან – ახალშექმნილი დაწესებულებიდან.

არქივები და ეროვნული ბიბლიოთეკა წლე-



ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალისტების სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრები და პედაგოგები.

ბის განმავლობაში მჭიდროდ თანამშრომლობდა საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურების სფეროში, ფონდების დაცვაშიც.

ამ საღამოს ესწრებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის ორი ყოფილი დირექტორი გაი სილვესტრი და მერიან სკოგი. სამწუხაროდ, ეროვნული ბიბლიოთეკის და ეროვნული არქივის პირველი დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი კეი ლემბი დიდი ხანი არაა, რაც გარდაიცვალა.

მეცნიერებათა დოქტორებმა გაი სილვესტრიმ, მერიან სკოგმა და როჩ ქერიემ თავიანთ მოხსენებებში ისაუბრეს ბიბლიოთეკის განვითარების ნიშანსვებებზე და გაიხსენეს მისი ისტორიის განსაკუთრებული ფაქტები.

გაი სილვესტრიმ, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა 1968-1983 წლებში, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ეს იუბილე წარმოადგენს ბრწყინვალე შესაძლებლობას, ვიზეიმოთ წარსული, შევაფასოთ დღევანდელი და დავგეგმოთ მომავალი. მისი მმართველობისას მოხდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაცია; შეიქმნა DOBIS კანადის თანამედროვე მონაცემთა ბაზის AMICUS-ის წინამორბედი. ეს მონაცემთა ბაზა უნდა შეერთებოდა როგორც ეროვნულ, ისე სხვა ქვეყნების მონაცემთა ბაზებს.

საბიბლიოთეკო რესურსების გაცვლის ხელშეწყობისათვის აუცილებელი იყო ისეთი საბიბლიოთეკო სტანდარტების შემუშავება, რომლებიც ადვილად შეეთვისებოდა მათ.

კანადაში ასეთი სტანდარტების შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო სტანდარტების შექმნაშიც.

საუბრობდა რა მომავალზე, ბაგონი სილვესტრი აღნიშნავდა: „ამასთანავე ჩვენ არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ბიბლიოთეკები ასრულებენ თავიანთ სასარგებლო ფუნქციებს განვითარების ყველა ეტაპზე, მათი მისია ეპოქის საზღვრებს სცილდება და ყოველთვის შეუნარჩუნდება თავისი ფუნქცია – დაიცვან და ხელმისაწვდომი გახადონ ერის ბეჭდური საგანძური“. ბაგონი სილვესტრი აღნიშნავდა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკები და ეროვნული არქივები წარმოადგენენ ერის მეხსიერების საცავს, ერის სულს; ერს, რომელსაც არ ექნება მეხსიერება ანუ სული, ის განწირულია.

მერიან სკოტმა, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი ქალი დირექტორი იყო 1984-1999 წლებში, შეახსენა აუდიტორიას, რომ პირველი შეერთებული კატალოგის შექმნა კანადის ბიბლიოთეკების უდიდესი მიღწევაა. საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობა დაარსებიდანვე წარმოადგენდა კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის მიზანს. მან ისაუბრა იმ ღვაწლზე, რომელიც შეიტანეს ბიბლიოთეკის მუშაკებმა რეგროსპექტული ეროვნული ბიბლიოგრაფიის შექმნაში. მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებით ეს ბიბლიოგრაფია მომხმარებელს ამომწურავ მონაცემებს აწვდის კანადის ბეჭდური საგანძურის შესახებ.

კანადის ეროვნულ ბიბლიოთეკას ყველა საფუძველი აქვს, იამაყოს თავისი მიღწევებით ახალი საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების დარგში: კვლევებმა შესაძლებელი გახადა ახალი ტექნოლოგიების ადაპტირება, რათა ბიბლი-

ოგრაფიული მონაცემები ავტომატურად შეესაბამებოდნენ კატალოგში და შექმნილიყო დეცენტრალიზირებული ბიბლიოგრაფიული ქსელი; პირველად მსოფლიოში კანადაში შემოიღეს ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტით მომსახურების ავტომატიზირებული სისტემა.

მრავალენოვანი მოსახლეობის ბიბლიოგრაფიული მომსახურება, უმწეო მდგომარეობაში მყოფთა მომსახურება და კანადის წიგნთა გაცვლის ცენტრი – მცირედი ნაწილია კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის მეტად ნაყოფიერი და უნიკალური მოღვაწეობისა. „მე ყოველთვის მამოყვებოდა ის, რაც შევძელით ჩვენ, და მაღლობა AMICUS-ს, რომ ეს ყველაფერი ცნობილია მთელი მსოფლიოსთვის“, – განაცხადა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა.

კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა ამაყობს იმით, რომ მან მსოფლიოში პირველმა დაწესებულებამ მასობრივი მკვლევარებისთვის სისტემა და მოუწოდა კანადის მთავრობას, გამოეყენებინა ქალაქი, რომელიც არ შეიცავდა მკვლევარს.

მერიან სკოტმა აღნიშნა კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის ღვაწლი საერთაშორისო საბიბლიოთეკო საზოგადოებაშიც, მიუხედავად იმისა, რომ კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა მსოფლიოს ეროვნულ ბიბლიოთეკათა შორის ერთ-ერთი პატარათაგანია. მან უდიდესი წვლილი შეიტანა, საერთოდ, საბიბლიოთეკო სტანდარტიზაციის საქმეში და თავისი გამოცდილება გაუზიარა მთელ მსოფლიოს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საინფორმაციო წყაროების ხელმისაწვდომობა.

დირექტორმა რომ ქერიემ, ეროვნული ბიბლიოთეკის ახლანდელმა დირექტორმა, მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას, ეფიქრათ იმ პროგრესზე, რაც ამ 50 წლის განმავლობაში განხორციელდა. მან სიამაყით და მაღლიერების გრძნობით გაიხსენა კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის პიონერები და ისინიც, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ სხვადასხვა პროგრამებზე. დირექტორმა ქერიემ გამო-

ხაგა მომავლის რწმენა და შეეხო პერსპექტივებს, რომლებიც მოსალოდნელია კანადის ბიბლიოთეკისა და არქივების გაერთიანებასთან დაკავშირებით. მან დააიშვია კოლექტივიც და მომხმარებლებიც, რომ ორივეს შერწყმა და აქედან გამომდინარე გრანსფორმაცია, ახალი მიღწევა იქნება და საიმედო ფუნდამენტი გახდება იმისათვის, რომ კანადელებსაც და მთელ მსოფლიოსაც შევთავაზოთ უკეთესი ხელმისაწვდომობა კანადის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობისა.

ბიბლიოთეკებს ყოველთვის შეჰქონდათ თავიანთი წვლილი კანადის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, მის თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბებაში.

რომ ქერიე მთელი 2003 წლის განმავლობაში ცდილობდა, ფართო საზოგადოებას როგორმე ეღიარებინა კანადის საბიბლიოთეკო საქმის მაძიებელი სულისკვეთება; ამ მიზართულებით ლიდერობა და მიზანმიმართულება კანადის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ თავის ბიბლიოთეკა-პარტნიორებთან ერთად საზოგადოებისათვის ააშენა ადვილად მომსახურების მთელი ქსელი AMICUS-ის მონაცემთა ბაზის სახით, რომელმაც გააერთიანა ახალ ვირტუ-

ალურ ბიბლიოგრაფიულ მაგნიანელ შეერთებული კატალოგი და კანადიანა.

კანადის ბიბლიოთეკა და არქივები – ახალი ცოდნის ინსტიტუტებია, რომლებიც აერთიანებს კანადის ეროვნულ არქივებსა და კანადის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ისინი განუხრელად თანამშრომლობენ იმ საზოგადოებასთან, რომელიც დაკავებულია ამ ქვეყანაში ცოდნის მოპოვებით, დაცვითა და გავრცელებით.

კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექცია მოიცავს 20 მილიონ წიგნს, სამთავრობო დოკუმენტაციას და გამოცემებს, ფილმებს, ვიდეო კასეტებსა და ფონოგრამებს, რომელთა საერთო მოცულობა 340000 ათასს აღწევს; 23 მილიონ რუკას და 20 მილიონზე მეტ ფოტოსურათს. მისი ათასკაციანი კოლექტივი წარმოადგენს ცოდნის გავრცელებისა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის ნიმუშს.

კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის 50 წლის იუბილის აღსანიშნავად შექმნილი იყო მეტად ორიგინალური პლაკატი, რომელზეც გამოსახულია ფრესკა – ალფაბეტი. ეს ფრესკა – ალფაბეტი, რომელიც კვებუკელმა მხატვარმა ალფრედ ფელანმა შექმნა, ბიბლიოგრაფიული განყოფილების ჭერს ამშვენებს; რაც სიმბოლოა დამწერლობის საყოველთაობისა.

## იუბილე

### ბანელილი გვის გადასახედა

(პროფესორი გივი მიქაძე – 80)

**დ**გება დრო, როდესაც ადამიანი თავის მოღვაწეობის წლებს შემფასებლის თვალთ გადახედავს და გარკვეული დასკვნები გამოაქვს. სწორედ ეს პერიოდი დაუდგა დღეს ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს, ფილოლოგსა და ბიბლიოგრაფს, მეცნიერებათა დოქტორს, პროფე-


სორ გივი მიქაძეს.

არ გვგონია, ის უკმაყოფილო იყოს თავის თავის, თუმცა კარგად ვიცით, თვლის, რომ რაც გაუკეთებია, ჯერ კიდევ მცირეა და ბევრი რამ გასაკეთებელი აქვს. ვინც მის ღვაწლს იცნობს, ვინც იცის, რამდენი რამ შეუქმნია, დაგვემოწმება, ერთი ადამიანისათვის ყოველივე ეს სა-

კმაოდ მეგობარი. ის რაც მან გააკეთა, არის მძიმე ჯაფის ნაყოფი, საკმაოდ რთულ პირობებში შექმნილი მემკვიდრეობა.

ბელმა იოლი ცხოვრება არ არგუნა გზაკვალად. მისი თაობის ახალგაზრდობა მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური წინხის ქვეშ ვითარებოდა.

იგი დაიბადა თბილისში ცნობილი ჟურნალისტის, სამოგალო მოღვაწის და გამომცემლის ვარლამ მიქაძის ოჯახში. სკოლაში ყოფნა და სიყმაწვილე ცნობილ რეპრესიებს დაემთხვა, ხოლო დასრულება – სამამულო ომის უმძიმეს პერიოდს (1942), ამ წელს შევიდა ის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლის დაწყებას კი არ დასცალდა, ჯარში გაიწვიეს. 1943 წლის ზაფხულში მძიმედ დაიჭრა, დაინვალიდა და მეტი რა გზა იყო, დააბრუნეს სამშობლოში და კვლავ სწავლას მიუბრუნდა. 1949



წელს წარმატებით დაასრულა უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და კონკურსით ასპირანტურაში ჩაირიცხა. მისი დამთავრების შემდეგ – 1954 წელს სწავლულ მდივნად იწყებს მუშაობას ლიგერატურის მუზეუმში და იცავს საკანდიდატო დისერტაციას. ამ უმნიშვნელო თანამდებობიდან დაიწყო მისი კარიერის აღმავალი გზა; როგორც იტყვიან – „ჯარისკაცობიდან გენერლამდე“. 1956-1974 წლებში არის მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიგერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1974-1987 წლებში – თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტის (ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის) ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის გამგე, რომლის დროსაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1974) და მა-

ლევე პროფესორის წოდებას მიენიჭა.

ბატონი გივის ძირითადი კვლევის საგანი არის ძველი ქართული ლიგერატურის ისტორიის ბოლო პერიოდი – XVII-XVIII საუკუნეები, აგრეთვე XX საუკ. პირველი ნახევარი. ის მთელი თავისი ენერგიით შეისწავლიდა ისეთ მოღვაწეებს, რომლებიც, მიუხედავად დიდი ღვაწლისა, სათანადოდ შესწავლილნი და შეფასებულნი არ იყვნენ. ახალგაზრდობაშივე საფუძვლიანად შეისწავლა ლექსის პირველი ქართველი თეორეტიკოსის მამუკა ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამას შემდეგში

მოჰყვა საფუძვლიანი გამოკვლევები არსენ ბულმაისიმისძის, გიორგი და დავით თუმანიშვილების, იესე ბარათაშვილის, იოანე და გიორგი ბაგრატიონების, დავით რექტორისა და სხვათა შესახებ. ფართო საზოგადოებამ მისი გამოკვლევების შედეგად უფრო ღრმად გაიცნო ქართველი

პოეტი ქალები: ბარბარე ბაგრატიონი, ანასტასია ბარათაშვილი, ანა თუმანიშვილი. ღრმა მეცნიერულობით გამოიჩინა ჯერ კიდევ 1957 წელს გამოქვეყნებული „ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა;“ გ. მიქაძე არის „ქართული ლიგერატურის ისტორიის“ ექვსტომეულის მე-2 ტომის ერთ-ერთი ავტორი. 1974 წელს მან თავისი მრავალფეროვანი და უაღრესად მრავალთემიანი ნარკვევების შესანიშნავი კრებული გამოსცა სახელწოდებით „ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან“. 1984 წელს გამოქვეყნებულმა მისმა წიგნმა „ფსევდონიმების ლექსიკონმა“ უდიდესი ინტერესი გამოიწვია არა მარტო სამეცნიერო, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებაში, ხოლო 1998 წელს გამოცემულმა კრებულმა „ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში“ მკითხველთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა.





დაუფასებელია გივი მიქაძის ღვაწლი ბიბლიოგრაფიის დარგში. გარდა იმისა, რომ მისი ნაშრომები ყოველთვის გამოიჩეოდა ბიბლიოგრაფიული აპარატის მოქნილი გამოყენებით, ცალკე უნდა აღინიშნოს მის მიერ ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფიის შედგენა, რომელიც ორ ტომში აისახა.

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს 250-ზე მეტი სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული, უამრავი პუბლიცისტური ნაწარმოები. განცვიფრებას იწვევს მისი მეცნიერული ინტერესების მრავალფეროვნება. არ არის დარჩენილი ფილოლოგიური მეცნიერების არც ერთი მიმართულება, აქ მას თავისი ფასეული სიგყვა არ ეთქვას – ლიტერატურული მოვლენები და პროცესები, მათი განვითარების ისტორიული ასპექტები, ლიტერატურის თეორია, ლექსის ვერსიფიკაცია, ახალი წყაროების გამოვლენა, თარგმნის პრობლემები, ხელნაწერთა კვლევა-ძიება, ფსევდონიმთა დადგენა, მეცნიერთა და მწერალთა ცხოვრება და მოღვაწეობა.

წიგნმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია – აი, ის მეცნიერული ინტერესები, რომლებიც მის კვლავის არეში შედის.

ცხადია, გამოკვეთილად უნდა ითქვას გივი მიქაძის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ძირითადად ამ თვალსაზრისით მისი სულხან-საბა ორ-

ბელიანის პედაგოგიურ უნივერსიტეტში წარმოებულ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე უნდა ითქვას, მაგრამ ლექციების წაკითხვა მას სხვა უმაღლეს სასწავლებელშიც არაერთხელ უხდება და ყველგან სტუდენტთა შორის დიდ სიმპათიას იმსახურებს. მისთვის დამახასიათებელია ახალგაზრდების მიმართ გულთბილი და სათნო დამოკიდებულება, მათი ინტერესების გათვალისწინება, თხრობის კარგი უნარი და დახვეწილი სტილი, გამოირჩევა კოლეგებთან კორექტულობითა და თანადგომით.

გ. მიქაძის ღვაწლი აღნიშნულია არაერთი სამთავრობო თუ საზოგადოებრივი ჯილდოებით, მაგრამ მთავარი ჯილდო მაინც ის ურთიერთობანია, რომელნიც მას ბედმა არგუნა ცხოვრებაში – ეს არის იმ ადამიანთა კოჰორტა, რომელსაც თავის დროს ის დაემოწაფა, ის ადამიანები, რომლებთანაც მას მხარდამხარ უბრძოლია თუ უმოღვაწია, მისი კოლეგები და მოსწავლეები, ამხანაგები და მეგობრები, ძველები და ახლები, ყველანი, რომლებიც ასერიგად აფასებენ მას და გულწრფელად ულოცავენ იუბილეს და დიდ პიროვნულ ბედნიერებას უსურვებენ!

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა. ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია

## გ ა მ ო ხ მ ა უ რ ე ბ ა

ჩვენი ჟურნალის 2003 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნებული იყო ლია ურდულაშვილის სტატია „დიდოსტატის გახსენება“, რომელშიც გვატყობინებს, რომ კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილ საღამოზე გამართულ სჯა-ბაასის დროს დამსწრე სტუმარს ც. დიდმელაშვილს გაახსენდა კ. გამსახურდიასადმი მიძღვნილი ერთი ლექსი, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნა, არაა ცნობილი, თუ ვინ დაწერა. სტატიის ავტორი წერს: „ჩვენი მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მივაკვლიეთ მის ავტორს. საზოგადოების სამსჯავროზე გამო-

გვაქვს ქვემოთ მოყვანილი ლექსი და თუ ვინმე მის წარმომავლობაზე რაიმე ინფორმაციას ფლობს, იქნებ თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან გავიგოთ რამეო“... და სრულად არის მოცემული ლექსი „პასუხი კონსტანტინე ბატონს“.

ახლახან ჩვენმა ჟურნალმა მიიღო მწერალ ბორის დავითაიას წერილი, რომელშიც ის გვწერს, თუ ვის ეკუთვნის აღნიშნული ლექსი. გთავაზობთ მის წერილს მცირედი შემოკლებით. ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ ლექსს აღარ ვიმეორებთ, რადგანაც ბატონ ბორისის წერი-

ლში იგი სრულიად არის მოცემული. ამ ერთი ლექსის ორ ვარიანტს შორის იმდენად მცირე და უმნიშვნელო განსხვავებაა, რაიმე განსაკუთრებულიად ამის აღნიშვნა არ მიგვაჩნია საჭიროდ.

*რედაქცია*

ბორის ღავითაია

*მწერალი, აკ. წერეთლის პრემიის ლაურეატი*

## „ისევ ზღვისფერი დაბაქს თვალები“

...კონსტანტინე გამსახურდია ჩემთვის ქართველი ჰემინგუეია და ღოსტოვესკი, ამ ღიდებულ წინაპრებამდე ბაგონი კონსტანტინე მეტაფორებით, სიმბოლოებით, მხატვრული გარდასახვის საოცარი უნართა და ნიჭიერებით ამადლდა.

მისი კალამი ზუსტად აგვირისტებს როგორც ღადებით პერსონაჟს, ასევე უარყოფითს, მშვენიერსა და მახინჯს, სასაცილოსა და საგირალს, კომიკურსა და გრაგიკულს, სიყვარულსა და სიძულვილს, ღირსეულსა და გაუფასურებულს, რადგან სიგყვისა და განცდის ღიღოსგაგია...

იგი ეძებს სიახლეებს, ოღონდაც ქართულ გრადიციებზე ღამყარებულს, არა მოწყვეტილს ეროვნული ნიადაგიდან, არამედ სისხლხორცეულად დაკავშირებულს მასთან. ამიგომაა მისი რომანები და მოთხრობები ასე მახლობელი ჩვენთვის.

ბევრი ღაწერილა და თქმულა კონსტანტინე ბაგონზე, მის შემოქმედებაზე, ამიგომ არ გავაგრძელებ აზრის გამოთქმას. ორიოდე სიტყვას ვიგყვი მის პოემიაზე... მისი ღექსები მძაფრია, სხარგულა, ამოსუნთქვასავით მსუბუქი და ნაგიფი.

მწერლის გაღანგის, სწრაფვის ბუნებიდან გამომღინარე, ღექსს სიყვარულის, სიგურფის, გემპერამენგის მძღავრი გაღღა სღევს თან, როგორც ჩანქერიღან გაღმოვარღნიღ ნაკაღს ღაუღევრობა.

„ზღვისფერი გაქვს თვალები, და თავად ჰგე-

ეხარ ღღვას“, – კითხუღობ ამ ღექსს და ფიქრობ ეროვნული ფორმის კოღხურ საწყისზე.

მოღით, კიღევ ერთხელ გავისხენოთ ეს ღექსი. მისი წაკითხვა და მოსმენა ხომ არაღსროს მოგვწყინღება:

ზღვისფერი გაქვს თვალები, და თავად ჰგავხარ  
ზღვას,

თუ არ შეგებრადლები და, მისთხოვღები სხვას,  
მივატოვებ გასაფხულზე თესვასა და ხვნას,  
გაღავღანზე აღიდებულ ჰგროღსა და მტკკარს,  
ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, შენს  
სიყვარულს ქარს,  
და მოგიკლავ, მოღაღატევ, მავ ნაფერებ  
ქმარს...

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ  
ზღვას.

შეუძღებღელია ამ სტრიქონებმა არ იმოქმეღოს ნებისმიერი სქესის აღამიანზე, მით უფრო ქაღებზე, არ გაამოიწვიოს მათში ემოციური განცღა, არ ჩააფიქროს სიყვარუღის მარაღიუღობაზე და ცოღ-ქმრულ ვაღღებუღებაზე.

ამიგომ იყო ბუნებრივი, რომ ღაიბაღა ამ ღექსის საპასუხო სგროფები, რომეღნიც 20-25 წღის წინათ გავრცეღღა თბიღისში.

ღექსმა ზეპირკითხვაში, ეგყობა, მცირეღი სახეცვიღიღება განიცაღა, მაგრამ ძირითაღად მაინც შეინარჩუნა ქღერაღობა და ხაგოვნება:

ისევ ზღვისფერი ღამაქვს თვალები,  
სხვისი ცოღი ვარ კვღავ,  
ისევ შორიღან მეღაციცები,  
ისევ შორიღან მწვავ.

ჰო, რა ტყუიღად ღაგიქაღნია,  
მე მოგიკლავო ქმარს,  
შენი მექარა, შენი ქაღიღი  
გაჰვავ შარშანღელ ქარს.

სხვისი ცოღი ვარ, ჩემი თითები  
სხვისთვის გაიშღის თმას,  
სხვის წისქვიღს ვასხამ ჰემეღებით ცრემღებს,  
სხვისა საფქვავს ვუქვავ,  
ისევ ზღვისფერი ღამაქვს თვალები,  
ვინცა რაც უნღა თქვას.“

ჩემებრ ბევრი დაინტერესებულა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს მშვენიერი სტრიქონები. „საქართველოს ბიბლიოთეკის“ 2003 წლის №3-ში გამოქვეყნდა საგარეჯოელი მკითხველის თხოვნა, ვაცნობოთ, ვინაა საპასუხო ლექსის ავტორი.

ჩემი გარკვეული მონღომების წყალობით ცნობილი გახდა, რომ ლექსი დაწერა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნიჭიერმა სტუდენტმა

ნატო ლეჩუაშვილმა. პოეზიაზე შეყვარული ქალიშვილი საკუთარ მოკრძალებულ ქმნილებებს უკითხავდა თანაკურსელებს. ასე გავრცელდა მისი ეს ლექსი და მახლობელი გახდა ბევრისათვის.

მოგვიანებით გამოვიდა მისი ლექსების კრებული. ამჟამად ქალბატონი ნატო ექიმად მუშაობს ტატიშვილის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში.

## ინფორმაციები

### ვიკინგები საქართველოში

(ექსპედიცია „ვიგფარნესთან“ დაკავშირებით)

**მ**იმდინარე წლის გამაფხულსა და გაფხულში მთელი სამეცნიერო სამოგალოება დიდი ინტერესით აღევნებდა თვალყურს მოგზაურობას შვედური ექსპედიციის „ვიგფარნესი“, რმელიც 2003 წელს დაარსდა. ექსპედიცია, როგორც მის მიერ საყოველთაოდ გასაცნობ პროექტში არის გაცხადებული, მიზნად ისახავდა მოეპოვებინა მასალა და ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ ახერხებდნენ ადამიანები ასე შორს ცურვას და რამდენად რეალური იყო ინგვარ დენ ვიგფარნეს მოგზაურობა აღმოსავლეთით. ამასთან, დაემყარებინათ კონტაქტები იმ შვედურ ორგანიზაციებთან, რომლებიც ექსპედიციის მიერ გავლილ ქვეყნებში აპირებენ დიპლომატიური ფორმებით ან კომერციული თვალსაზრისით დაფუძნებას, იმედს გამოთქვამდნენ, რომ შეძლებდნენ



ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების დამყარებას.

შვედმა მოგზაურებმა საქართველოს გერიგორიაზეც იმოგზაურეს. როგორც ჩვენთვის ცნობილია ისტორიული წყაროებიდან, 1040იან წლებში ვარიაგთა ანუ სკანდინაველთა 3-ათასიანი რაზმი რიონზე გაშენებულ პაგარა სოფელ ბაშს მისდგომია ინგვარ-დენ ვიგფარნეს – დიდი მოგზაურის ხელმძღვანელობით, და გემი კასპიის ზღვისაკენ აუღიათ – მათი ძველი წინაპრებისა თუ მთავარი ღმერთის ადგილსამყოფელის აღმოსაჩენად. ძველი ქართული

ქრონიკებისა და „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, 700 მათგანი მეფე ბაგრატს დახმარებია სასირეთის ველზე ბრძოლაში. მეფის დამარცხების შემდეგ ვარიაგებმა მოახერხეს მტრებთან მოლაპარაკება და დასავლეთში დაბრუ-



ნებულან. ჩანს, კავკასიის მდინარეებით ინგვარს თავისი ძირითადი რაზმით მოუხერხებია კასპიის ზღვამდე – ამერბაიჯანამდე (სერკლანდამდე) მისვლა.

ექსპედიციის მონაწილეებს სურდათ გაემეორებინათ ეს მარშრუტი იმგვარად, როგორც დაც ეს მათ წინაპრებმა შეძლეს, ცხადია, თანამედროვე პირობების გათვალისწინებითა და ყოველგვარი უსაფრთხოების უზრუნველყოფით. ერთხელ ამგვარი ცდა ჩატარებულა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიუყვანიათ იგი (1996 წ.). ამჟამად ექსპედიციის მონაწილენი თავიანთი ხელმძღვანელისა და ხომალდის კაპიტანის ჰოკან ალგროკის მეთაურობით იმედოვნებდნენ, რომ ისინი ამ მარშრუტს წარმატებით დაძლევენ.

ექსპედიციის პროექტით, მოგზაურობა დაიწყო 2004 წლის გაზაფხულიდან უკრაინის პატარა სოფელ გამალსვენსკიდან – ძველი შვედური სოფლიდან (სადაც დასრულდა პირველი ექსპედიცია 1996 წელს). ცურვა დაიწყო დნეპრით, ყირიმის ნახევარკუნძულის გავლით გზა გაგრძელდა საქართველოს სანაპიროზე რიონის შესართავამდე – ქალაქ ფოთამდე. აქედან, რიონისა და სხვა შენაკადების გამოყენებით, მოგზაურები ვარაუდობდნენ, რომ სოფელ მვარემდე მიაღწევდნენ, ნაწილობრივ შენაკადებით, ნაწილობრივ ხელით გადაზიდვით მივი-

ლოდნენ მტკვრამდე და აქედან გზას კასპიის ზღვისაკენ გააგრძელებდნენ. საბოლოო პუნქტს ბაქო წარმოადგენს.

ვიკინგთა ამჟამინდელი ნავი იმის ასლს წარმოადგენს, რომლის ორიგინალი 1880 წელს ნორვეგიის ქალაქ გოქსგალში გათხრების შედეგად აღმოაჩინეს.

XI საუკუნეში ვიკინგების მოგზაურობა აღმოსავლეთისაკენ საკმაოდ მყარი მაგერი-ალური საბუთებით დასტურდება. ამის შესახებ აღწერილია შვედეთში არსებულ 26 რუნიკულ წარწერებიან სხვადასხვა ქვის ფილაზე და ასევე მოთხრობილია ისლანდიურ საგა-ზღაპრებში. ამ მოგზაურობას ეხება აგრეთვე ძველი ქართული ქრონიკები, „ქართლის ცხოვრება“ და სკანდინავიის ქვეყნებში გავრცელებული ბეპირი გადმოცემები.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო გამოკვლევა აქვს ლუნდის უნივერსიტეტის არქეოლოგიის მეცნიერებათა პროფესორს მაგც გე ლარშონს თავის წიგნში „ვიკინგთა ნავების ბედისწერა“ („ვიკინგთა საბედისწერო ლაშქრობა აღმოსავლეთით“).

როგორც ექსპედიციის მონაწილენი წერენ ვებ-გვერდზე, მათი „საკონტაქტო ქსელი აპირებს მოიცვას აღნიშნული ქვეყნების სამეცნიერო არქეოლოგიური ინსტიტუტები და დაინტერესებული პირები, უპირველეს ყოვლისა, ეს კავკასიის ქვეყნებს ეხება“.

იენისის შუა რიცხვებში ვიკინგების ექსპედიციამ თბილისს მოაღწია. ცხადია, მათ მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდათ ხმელეთსა თუ წყალზე. თბილისელებს საშუალება მიეცათ საქართველოს მუზეუმის ეზოში ეხილათ ნავი, რომლითაც ვიკინგების თანამედროვე ექსპედიცია მოგზაურობდა, სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა, შეხვედროდნენ მოგზაურებს, მოეხილათ მეგადა საინტე-

რესო ლიგურაგურის გამოფენა ვიკინგების მოგზაურობასთან დაკავშირებით, გაეცილებინათ ჩვენი სტუმრები და გზა დაელოცათ მგკვრით ბაქოსკენ მოგზაურებისათვის. ამ მოვლენების შესახებ გამოხმაურებები გამოქვეყნდა საქართველოს პრესაში.

საეჭვო არაა, რომ საქართველოს სამოგადლოებრიობა დიდი ინტერესით მოეკიდება ექსპედიციის შედეგების განზოგადებას.

უფრო ფართო ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნული სამოგადლოების ვებ-გვერდით:



[www.vittfarne.com](http://www.vittfarne.com), აგრეთვე სამოგადლოების ხელმძღვანელის ჰოკან ალგროკის – Hokan altrock, Arkövägen 8, 121 55 Iohanneshov, +46 8 390853, + 46 70 2331141 და სამოგადლოების მდივნის დან თორელის Dan Thorell, Starrmossevägen 16, 139 35 Värmdö, telefon + 46 8 570 211 99 საშუალებით. – სტოკჰოლმი, შვედეთი.

ეს ქვა არის იმ საფლავების ქვათაგანი, რომელიც ნაპოვნია შვედეთის ცენტრალურ ნაწილში. თარიღდება მე-11 საუკუნით. მას აქვს წა-

რწერა ძველ სკანდინავურ ენაზე (რუნიკული დამწერლობით), რომელიც მოგვითხრობს, რომ ამ ქვის ქვეშ დასაფლავებულია ინგვარ დიდის ძმა, რომელიც მასთან ერთად იყო სამოგზაუროდ აღმოსავლეთში – სერკლანდში (საგარაულოდ საქართველოში).

მუსგის ასლია, 12-ჯერ შემცირებული.

ქვის გამოსახულება „ვიტფარნეს“ ექსპედიციის წევრებმა აჩუქეს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტს, ირაკლი ღარიბაშვილს.



ნინო ხაბულიანი

## სტუმარი აუუ კონგრესის ბიბლიოთეკიდან

სომხეთსა და საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების ლიგურაგურის განყოფილების ხელმძღვანელი ლევონ ავლოიანი. ის ეწვია საქა-

რთველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, სადაც შეხვდა როგორც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, ისე საქართველოს საბიბლიოთეკო სამოგადლოების გამგეობასა და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგიას.



ბაგონი ლევონ ავლიანი არაერთხელ ყოფილა საქართველოში და ბევრი საინფორმაციო ინფორმაცია გადმოუცია ჩვენთვის. ამჟამად არ მოგვაკლო მან ეს და არც თვითონ წასულა ჩვენგან ხელცარიელი. ბევრი რამ გაიგო ჩვენი საქმიანობის შესახებ. დაუფარავად აღნიშნა, რომ ის ამ პერიოდისათვის არ მოელოდა ამდენ სიახლეს, თუმცა ხედავს, ბევრი რამ კიდევაა გასაკეთებელი. მას მიაჩნია, რომ მთავარი, რაც მისასალეებელია, ეს არის იმ მიმართულებები, რომლებიც დასახულია საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის.


საუბარი შეეხო კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ გამოცემებსა და მასალას საქართველოს შესახებ. სგუმარმა აღნიშნა, რომ ამგვარი ფონდი ბიბლიოთეკაში მოკრძალებულადაა წარმოდგენილი, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ქართულ მასალაზე მცირე მოთხოვნით; ეს არაა გასაკვირი, რადგანაც ამერიკაში ქართული ღიასპორა მეტად უმნიშვნელოა. მიუხედავად იმისა, ის ხშირად მართავს სპეციალურ სემინარებს საქართველოთი და ინგერესებული მკითხველებისათვის და მათ საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას აწვდის ინგლისურ ენაზე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კონგრესის ბიბლიოთეკას არა აქვს ორგანიზებული სისგემური საინფორმაციო უზრუნველყოფა საქართველოდან. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, ქართულმა მხარემ უნდა იზრუნოს – რამდენადაც შეიძლება მეტი მასალით უნდა იქნეს დაგვირთული საინფორმაციო ქსელები.

სხვათა შორის, ამერიკაში ქართული ლოკუმენტების შეგროვების გრადიციის დახერგვაში

განსაკუთრებული როლი მიუძღვის პრეზიდენტ თომას ჯეფერსონს. მის კოლექციაში მოიპოვებოდა მასალა კოლხეთის შესახებ. დღეისათვის ეს ლოკუმენტები კონგრესის ბიბლიოთეკის საკუთრებაა. საბჭოთა პერიოდში ბიბლიოთეკა საქართველოდან თითქმის არაფერს ღებულობდა, ამიგომაც ერთგვარად შეიქმნა ამ ხნის ლიგერატურის დეფიციტი. მას სურს, როგორმე მოახერხოს ამ ხარვეზის შევსება და ცდილობს შეიძინოს ამგვარი წიგნები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული ინტერესი მას ქართული ხელნაწერების მიმართ გააჩნია. ითქვა ისიც, რომ საქართველოს ბიბლიოთეკებს დიდი საშუალება აქვთ კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიიღონ წიგნები წიგნცვლის სისგემის გამოყენებით.

ბაგონმა ლევონმა რამდენიმე ცალი სპეციალური ბუკლეგი გადმოგვცა, რომელიც ეხება კონგრესის ბიბლიოთეკის ქართულ მასალას, რაც დასგურია იმისა, რომ საქართველო იყო და არის ამერიკელთა ინტერესების სფეროში. ამდენად, საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ხსენებულ ბიბლიოთეკასთან საქართველოს კონტაქტებს.

## The Georgian Collections at the Library of Congress



ოთარ შალამბერიძე

**ჩემი ლექსი და ჩემი მადლობა**

ედღენება ბიბლიოთეკის უანგარო მოამბავს

ქალბატონ ნელი ჯარიაშვილს

ბიბლიოთეკა – სიმშვიდის კერა,  
 მსგავსი, თუ გნებავთ მშობლიურ კერის;  
 აქ გავიწუდება უოველი წყენა,  
 რადგან წიგნებთან შეხვედრა გელის.  
 ბიბლიოთეკა – მეგობრის სახელი  
 უღალატო და ნათელი მხერით;  
 გასცდი დირესთან დაგდებულ ნაღველს,  
 განდები უფრო სანდო და წრფელი.  
 ბიბლიოთეკა – ჩემი მეგობარი,  
 რომლის სიკეთეს ვერაფერს დათვლის;  
 მუდამ მოქმედი, როგორც ვესუფი,  
 ოღონდ მოქმედი ღვთიური მადლის!..  
 ბიბლიოთეკის განსწილი კარი  
 ღამის იგივე განსნაა ცისკრის...  
 მას ოჯახივით ფართო აქვს თვალი,  
 გულსაც ოჯახის გულივით გისწის.

აქ შთაგონების ანთია ბაზმა  
 და თითზე გცნია მირანის გემო;  
 ის შეგახვედრებს შენს უცნობ ვარსკვლავს  
 თუ – ფურცლებს შორის დამწვედრულ დემონს...  
 ბიბლიოთეკა, როგორც ბიბლია,  
 ანლობელია ვეელგან, უოველთვის;  
 ამ ციურ სიტუვას ოქროს სიბლი აქვს,  
 მეც მოსიბლული, თქვენთან მოვედი.  
 დროა, ამოვდო გრძნობას ადვირი, –  
 თავი სათქმელი სულში ჩამეურებს;  
 ჩემი მადლობა ლექსად დაღვრილი  
 ბიბლიოთეკის ერთგულ მსახურებს!

11 მაისი, 2004 წ. წაკითხულ იქნა გლდანის  
 24-ე საბავშვო ბიბლიოთეკაში პოეგებთან  
 შეხვედრაზე

## ქრონიკა

**საქართველოს საბიბლიოთეკო სსოვრების  
 ქრონიკა: მოვლენები, უახტები**

□ მაისის შუა რიცხვებში თბილისში სგუ-  
 მრალ იმყოფებოდა აშშ-ს კონგრესის ბიბლი-  
 ოთეკის აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნე-  
 ბის ლიგერატურის განყოფილების გამგე ლე-  
 ვონ ავლოიანი. საქართველოს პარლამენგის  
 ეროვნულ ბიბლიოთეკაში სგუმარი შეხვდა სა-  
 ქართველოს საბიბლიოთეკო ასოცაციის გა-  
 მგებობას. ისაუბრეს ურთიერთთანამშრომლო-  
 ბის, ქართული წიგნების დაცვისა და პროფესი-

ული ინფორმაციების გაცვლის შესახებ;

□ 9 ივნისს გორისა და ხაშურის ცენგრალურ  
 ბიბლიოთეკებში გაისწნა ამერიკული კუთხე.  
 ბიბლიოთეკებში დაიდგა კომპიუგერები, რე-  
 მონგი ჩაუგარდა ცენგრალურ ბიბლიოთეკებს,  
 კუთხეები შეივსო უახლესი ინგლისურენოვანი  
 ლიგერატურით;

□ 14 ივნისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გა-  
 ისწნა ნაგო ვაჩნაძის დაბადებიდან 100 წლი-

სთავისაღმი მიძღვნილი გამოფენა.

□ 27 ივნისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო მკითხველთა აქტივის შეხვედრა ბიბლიოთეკის ღირექცისათან; იმსჯელეს ბიბლიოთეკის საჭირობოროგო საკითხებზე, მომსახურების პრობლემებზე. ამავე დღეს ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკის მეგობართა საზოგადოება, რომლის სამრუნავი იქნება ეროვნული ბიბლიოთეკის პირობების გაუმჯობესება, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ა.შ.

□ 29 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ცენტრში ჩატარდა თბილისის სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკების მეთოდისგთა სემინარი. განიხილეს უახლესი სტანდარტები, რომლებიც მიღებულია რუსეთის საბიბლიოთეკო პრაქტიკაში, საბიბლიოთეკო მენეჯმენტისა და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის აქტუალური საკითხები.

□ 18-22 ივლისს საქართველოს საბიბლი-

ოთეკო ასოციაცია, მისი პრეზიდენტის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით მასპინძლობდა საქართველოში ჩამოსულ ვიკინგებს, შვედების სპეციალური დელეგაციის წევრებს, რომლებიც თავიანთი წინაპრების ნაკვალევზე მოგზაურობდნენ. 19 ივლისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საქართველო-შვედეთის ურთიერთობის ამსახველი გამოფენა. ექსპედიციის წევრებს დახვდა ეროვნული ბიბლიოთეკის ღირექცია, მკითხველთა აქტივი. რამდენიმე მხატვრული ნომრის შესრულების შემდეგ სტუმრებმა, მათი ხელმძღვანელის ჰაკან პალგროკის ინიციატივით გამართეს პრესკონფერენცია. წერილი მათი მოგზაურობის შესახებ ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში იბეჭდება.

□ ივლისის პირველ ნახევარში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოქმედებდა 2003-2004 წლების რუსულენოვანი სამეცნიერო ჟურნალების გამოფენა.

## ს ა ც ნ ო ბ ო დ ს ა კ ი თ ხ ა ვ ი

### სიბრძნე სოღნისა და კითხვის შესახებ

აღამიანი ძლიერდება არა ღონით, არამედ ბევრი კითხვით.

(ჯ. ბრუნო)

აღამიანის განათლება მგვიცლება და სრულქმნილი ხდება წიგნების კითხვით.

(ნ. ჩერნიშევსკი)

არ არსებობს წიგნის კითხვაზე უფრო იაფი, სასიამოვნო და ხანგრძლივი გასართობი.

(მ. მონტეგიუ)

ერის სიღიადის საწყაო ლიგერაგურაა.

(ვ. ჰიუგო)

ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი – მოგერიებისათვის.

(ი. ჭავჭავაძე)

წიგნი არის თავი და ბოლო ყოველგვარი ცოდნისა, საწყისთა საწყისი ყოველგვარი მეცნიერებისა.

(შ. ცვაიგი)

ჭკვიანი აღამიანი საუკეთესო ენციკლოპედიაა.

(გოეთე)



## ანდაზები

ცოდნა გონების ფარია, თუ რომ არავინ არია.

სწავლა ცოდნის თესლია, ცოდნა კი – ბედნიერებისაო.

სწავლა მაღლის დედაა და ბედის გასაღებიო.


უსწავლელი ქვაზე ჩამოჯდა, ქვას ქვაღებამაგაო.

წიგნი უგუნურს ისე ვერ მისცემს ვერაფერს, როგორც ბრმას სარკეო.


რაც დაიწერა კალმითა, არ წაიშლება ბართითა.

შეკრიბა მესგაფონის ც/ბ მეთოდისგმა

ციალა თხელიძემ




### უნებლიე „ნათლია“




მარგარეტ გერეკმა, რომელიც ამერიკის კინომაგოგრაფისგმა ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკარად მუშაობდა, 1931 წელს, პირველად ნახა რა ყოველ წელს კინომსახიობების საუკეთესო როლის შესრულებისათვის გადასაცემად დაარსებული

ოქროს ქანდაკება, ხალისიანად წამოიძახა: „იგი ჩემს ბაბუა ოსკარს ჰგავსო“. ერთ-ერთმა ჟურნალისგმა ყური მოჰკრა ამას და სარკასტულად გაახშირდა გაზეთში. მას შემდეგ ამ ქანდაკებას, რომელსაც მანამდე სახელი არ ჰქონია, „ოსკარი“ შეარქვეს.



### სელოვნების ძალა



საყოველთაოდ ცნობლია რუსი კომედიოგრაფის დენის ფონვიზინის საგირული პიესა „უმწიფარა“, რომლის მთავარი გმირი ერთ-ერთი მდიდარი ფეოდალის განებივრებული, უქნარა და გამულუქებული ყმაწვილი – მიგროფანუშკაა. ფონვიზინმა ამ პერსონაჟის პროტოტიპად გამოიყენა ოლენინების ცნობილი ოჯახის, სადაც ის ხშირად სტუმრობდა, ვაჟიშვილი ალექსეი.

მიგროფანუშკა გამოირჩევა უმეცრებით, სიბარმაცით, უქნარობით; მთელი დღე მგრე-

დებს დასდევს. „არ მინდა სწავლა, ცოლის შერთვა მინდა,“ – უცხადებს ის მშობლებს. როდესაც 18 წლის ალექსეიმ ეს სპექტაკლი იხილა, იმდენად იცნო თავისი თავი, რომ შერცხვა და შეძრწუნდა. ყველას „ჯიბრზე“ გადაწყვიტა მთლიანად შეცვლილიყო – ჩაუჯდა წიგნებს, დღე და ღამ მეცადინეობდა, თავი გაანება უქნარობას, ცოლის შერთვაც გადადო და უნივერსიტეტში შევიდა. ბოლოს და ბოლოს ის განთქმული ადამიანი გამოვიდა. ალექსეი ნიკოლოზის ძე ოლენინი გახდა პეტე-

რბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ღირეულო, პეგერბურგის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი. მის სახელთანაა დკავშირებული ხსენებული ბიბლიოთეკის სრული გარდაქმნა და განვითარება, მისი მსოფლიო ღონემდე აყვანა. ოლენინმა რუსეთში პირველმა შემოიღო ბარათული კა-

გალოგები, საფუძველი ჩაუყარა რუსული წიგნის სრული რეპერტუარის შექმნას, ავგორია მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომებისა, გამოირჩეოდა როგორც დიდი ორგანიზატორი და თეორეტიკოსი. ითვლება რუსული ბიბლიოთეკათმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად.

## გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

### თინა იმნაიშვილი



ყველამ იცოდა, რომ მას მძიმე, განუკურნებელი სენი სჭირდა; ცხადია, მანაც იცოდა ეს, მაგრამ ამაზე არავისთან არაფერს ამბობდა. ყველასთან ჩვეულებრივი, ხალისიანი, მომღიმარი და წარბშეუხრელი იყო. თითქოს უღრგვინვლად შეეგება სიკვდილს, ქედმოუხრელად, გულმშვიდად. მას ასამრლოებდა ნუგეში იმისა, რომ რაც შეეძლო, აკეთებდა გულწრფელად, საქმისადმი თავდალებით, სიყვარულით, რომ მის ირგვლივ ყველა პატივისცემითა და მაღლი-

ერების გრძნობით იყო გამსჭვალული მის მიმართ. განურჩევლად უყვარდა კოლეგები და ასევე უყვარდათ ის.

თინათინ იმნაიშვილის სახელი საკმაოდ ნაცნობი იყო იმ სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის, რომელშიც ის მოღვაწეობდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა – ის ხომ უბადლო პროფესიონალი, ღირსეული მოქალაქე და ახალგაზრდობის აღმზრდელი იყო.

უცნაური ხვედრი არგუნა ბედმა. იგი რეპრესირებულთა ოჯახის შვილი იყო. მამა ნესტორ იმნაიშვილი და მისი მეუღლე ოლღა მესხი ციმბირის შორეულ მხარეში იყვნენ გადასახლებულნი, როცა 1933 წლის 8 მაისს ქალიშვილი შეეძინათ და დიდი სიხარული შემოიგანა მათ ცხოვრებაში. სახელი ასევე რეპრესირებულმა ცნობილმა მწერალმა ლევან გოთუამ დაანათლა. მისივე მოფიქრებული იყო ის, რომ პაგარა თინამ პირველი ნაბიჯები „საქართველოში“ გადადგა. ნათლიამ საქართველოდან საგანგებოდ ჩამოგანილი რუქა გაშალა. ბედ დააყენა პაგარა გოგონა და კუთხიდან კუთხემდე გადააგარა. რაოდენ დიდი იყო სიხარული, საქართველოს ნამდვილ მიწაზე რომ დაადგა ფეხი, უნივერსიტეტში რომ შევიდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე ინგლისური ენის სპეციალობით და წარმატებით დაასრულა კიდეც.

1958-1968 წლებში თინათინ იმნაიშვილი კავშირგაბმულობის ინსტიტუტში მუშაობდა არქივ-ბიბლიოთეკის გამგედ, ხოლო 1968 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. თავდაპირველად ბიბლიოთეკატორისი აბონემენტისა და საერთაშორისო წიგნთაცვლის განყოფილებაში გაამწესეს, შემდეგ საკმაო ხანს დაკომპლექტების განყოფილების გამგედ მუშაობდა, ბოლო წლებში კი „გეორგიკის“ განყოფილებას ჩაუდგა სათავეში.

აღნიშნულ ბიბლიოთეკაში მოღვაწეობის 46 წლის მანძილზე იგი აქტიურად იყო ჩაბმული წიგნადი ფონდების დაკომპლექტების საქმეში. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც საზღვარგარეთის, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის უდიდეს გამომცემლობებთან, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებთან.

ის წარმოადგენდა „ბერლინ-საქართველოს სამოგადოების აქტიურ წევრს. დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოსა და კავკასიის შესახებ საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შეგროვებაში. იგი დიდ ენერჯიას ახმარდა რუსული სამეცნიერო ლიგერაგურით ბიბლიოთეკის ფონდების შევსებას. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 1996 წელს ევრაზიის გრანტით ბიბლიოთეკამ რუსულ ენაზე გამოცემული უახლესი ეკონომიკური და იურიდიული ლიგერაგურის ფონდი შეავსო მდიდარი საცნობარო გამოცემებით. მისი დიდი მეცადინეობის შედეგად გახდა შესაძლებელი ერთობლივი ფონდის – „ამერიკა-საქართველოს“ მხარდაჭერით ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიგერაგურის დიდი პარტიის მიღება. იგი იყო სული-სჩამდგმელი და ორგანიზატორი უცხოური გამომცემლობების, მათ შორის გერმანული სამეცნიერო-ტექნიკური ლიგერაგურის უდიდესი გამომცემლობის „შპინგერის“ მიერ ბიბლიოთეკაში მოწყობილი არაერთი გამოფენისა, რის შედეგადაც წიგნადი ფონდი ერთბაშად გა-

მდიდრდა უცხოური სამეცნიერო გამოცემებით. ენერჯიული, უაღრესად განათლებული და ერუდირებული ქალბატონი მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობით არ იფარგლებოდა. გამოუღმებით ეწეოდა მეთოდიკურ, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. სისტემატურად მოღვაწეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში – მოსკოვში 1991 წელს, თბილისში ამერიკისა და საქართველოს სპეციალისტთა მიერ გამართულ I და II კონფერენციებში 1995 და 1997 წლებში, ერევანში კავკასიის ბიბლიოთეკების კონფერენციაში 1997 წელს და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მისმა გამოსვლებმა და შენიშვნებმა. თინათინ იმნაძე იყო სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების ავტორი, საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციასთან არსებული კავკასიის სასწავლო რეგიონალური ცენტრის ლექტორი, სადაც კითხულობდა ლექციებს ინტელექტუალურ თავისუფლებაზე.

თინათინ იმნაძე დიდი გულისყურით ეკიდებოდა სხვადასხვა ბიბლიოთეკების წარმომადგენლებს, თუკი ისინი მას მიმართავდნენ. აღსანიშნავია მისი დახმარება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის ბიბლიოთეკისადმი. გარდა იმისა, რომ ის მოეხმარა ბიბლიოთეკას გრანტის მიღებაში, უსასყიდლოდ გადასცა თავისი საკუთარი წიგნები.

ქალბატონი თინათინი იყო უაღრესად განათლებული, კეთილშობილი, ფრიად ადამიანური პიროვნება, თავის სამშობლოსა და ხალხზე უზომოდ შეყვარებული, ღვაწლმოსილი ვეტერანი, რისთვისაც მთავრობის ჯილდო აქვს მიღებული. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული სამეცნიერო სამოგადოებისათვის, საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტებისათვის, კოლეგებისა და მეგობრებისათვის. ძალზე მძიმეა იმის წარმოდგენა, რომ იგი ვეღარ მოვა ბიბლიოთეკაში.

წავიდა ჩვენგან კარგი ადამიანი და ღვაწი-გოვა ნათელი ხსოვნა და სათნო სახელი.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა**



## ნიგნოსოღნოპით-პოლიგრაფიული კროსვორდი

ჩვენს მიერ შემოთავაზებული კროსვორდი თავისებურ ამოხსნას გთავაზობთ: ყველაფერი ცნობილია – ახსნა-განმარტებებიც და მათი შესატყვისი ამხსნელი სიტყვებიც, ოღონდ ახსნა-განმარტებები მოცემულია გამჭოლი რიგით, ხოლო ამხსნელი სიტყვები ანბანის მიხედვით. თქვენ დაგრჩათ იმის გარკვევა, თუ რომელ ახსნა-განმარტებას რომელი ამხსნელი სიტყვა შეესაბამება და ჩასვათ ის მისთვის განკუთვნილ უჯრაში, შვეულად ან თარაზულად.

### ახსნა-განმარტებანი:

1. მრავალი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვა, ზოგჯერ წიგნის ყდის შიგა პირზე დაწებებული ჯიბაკის სანაცვლოდაც ხმარობენ; 2. სითხის დასაცავი ჭურჭელი, მოზრდილი ზომის, გამოიყენება რუსული შესატყვისი; 3. სხვადასხვა ხალხთა მეგყველების თავისებურების გადმოცემის საშუალება; 4. ცარიელი ფურცელი წიგნში, რომელიმე ნაწილის გამოსაყოფად; 4. საუკეთესო ხარისხის პერგამენტი; 5. ხელოვნური საერთაშორისო ენა, ესპერანტოს გართულებული სახეობა, შექმნა ლე მოფრონმა 1907წ.; 6. ხის ფირფიტები ცვილის თხელი ფენით დაფარული, თასმით შეკრული ორ ცალად, გამოიყენებოდა ძველი ცივილიზაციის ქვეყნებში საწერად ამოკაწვრის წესით, დროებითი ხმარებისათვის; 7. თავფურცლის წინ მოთავსებული გვერდი, სუფთა ან გაფორმებული (ილუსტრაცია, პორტრეტი და სხვ.); 8. ნახაზის გადასაღები ქაღალდი ან გადაღებული ნახაზი; 9. მხურვალე წებოვანი სითხე, გადაგანითი მნიშვნელობით, ვულკანისაგან ამონთხეული სითხის მიმსგავსებით; 10. თხზულების მოკლე შინაარსი ან ამონარიდი; 11. წიგნში ბედმეტად შეკინძული ფურცელი, ამ სიტყვას ხმარობენ ბედმეტადიანი წლის გამობატვის შემთხვევაში; 12. წიგნის ან რვეულის კიდური, გვერდის

დაუბეჭდავი ნაწილი, იგვე, რაც არშია; 13. რუსული წარმოშობის სიტყვა ხმარებაში დამკვიდრებული, იგივეა, რაც არშია; 14. ავგორისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურება, გამოთქმას იყენებენ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების განსასხვავებლად; 15. გვერდების სანიშნი ზონარი, მიმაგრებული ბლოკსა და ყდაზე; 16. ავგორის ხელნაწერი ან ვინმეს ხელმოწერა; 16. ანაწყობიდან ან კლიშედან ქაღალდზე მიღებული გამოსახულება, იყენებენ ხარისხის შესამოწმებლად ან კორექტურისათვის. 17. ქაღალდის ზომის ერთეული მეტრული ზომის შემოღებამდე, მეტრული ზომით შეადგენს ათას ფურცელს. 18. იგივეა, რაც ეტიკეტი, იყენებენ წიგნზე დასაწებებლად სხვადასხვა წარწერების ან სიმბოლოების გამოსახვადაც; 19. სხვადასხვა მასალაზე სხვადასხვა ფორმით შეკინძული გექსის (ნაბეჭდი თუ ხელნაწერი) გამომხატველი სიტყვა-ძველ ქართულში წერილსაც უწოდებდნენ; 20. პირების ან საგნების წერილობით ჩამონათვლი; 21. კალკის სინონიმი; 22. მაღალხარისხოვანი საბეჭდი და სახაზავი ქაღალდი; 23. ყდა, რომელზედაც არავითარი სგამბური ნიშანი არაა მოცემული, გადაგანითი მნიშვნელობის სიტყვა; 24. პირობითი ნიშანი (ასო, ნომერი, აბრევიატურა), იხმარება როგორც სიმბოლო; 25. მხა-



|    |    |    |    |   |    |    |    |    |    |    |    |    |
|----|----|----|----|---|----|----|----|----|----|----|----|----|
| 1  | 2  | 3  |    | 4 |    |    |    |    |    | 5  | 6  |    |
|    |    |    |    | 7 |    |    |    |    |    |    |    |    |
|    | 8  |    | 9  |   |    |    |    |    | 10 |    |    |    |
|    |    |    |    |   |    | 11 | 12 | 13 |    |    | 14 |    |
| 15 |    | 16 |    |   | 17 |    |    |    |    | 18 | 19 |    |
|    |    |    |    |   |    |    |    |    |    |    |    |    |
| 20 |    |    |    |   |    |    |    |    |    | 21 | 22 |    |
|    |    | 23 |    |   |    |    | 24 |    |    |    |    | 25 |
|    | 26 |    |    |   |    |    |    |    |    | 27 |    | 28 |
| 29 |    |    |    |   |    |    | 30 |    | 31 |    |    | 32 |
|    |    |    |    |   |    |    | 33 |    | 34 |    |    | 35 |
| 36 |    |    |    |   | 37 |    |    |    |    |    |    |    |
|    |    |    |    |   |    |    |    |    | 38 | 39 |    |    |
|    |    |    |    |   |    |    |    |    | 40 |    |    |    |
|    |    | 41 |    |   |    |    |    |    |    | 42 |    |    |
| 43 |    |    |    |   |    |    |    |    | 44 |    |    |    |
|    |    |    | 45 |   |    |    |    |    |    | 46 |    |    |
|    |    | 47 |    |   |    |    |    |    |    |    |    |    |

გვრობასა და ბეჭდვის დროს ფერების სიმკვეთრის გამოსახვაგად ხმარებული სიგყვა; 26. მოსანიავებელი საშუალება, რომლის მსგავსად ხდება ბავშვებისათვის წიგნების გამოცემა სტილიზირებულად; 26. ელექტროგრაფიული აპარატის ნაირსახეობის სახელწოდება; 27. წიგნის ფურცლის უკანა მხარე გვერდობრივი პაგინაციის დროს, ლუწი გვერდი; 28. ისლანდიურ-ნორვეგიული ლიტერატურული ჟანრი, რომელშიც უძველესი თქმულებებია ასახული, ეპიკური ჟანრის ნაირსახეობა; 29. ნაწარმოების გამრავლება სტამბურად, ლითოგრაფიულად და სხვა მექანიკური საშუალებებით; 30. შრიფტის ნაირსახეობა, მომრგვალებული, მრავალკონტურ-

რიანი. შეიქმნა იტალიაში XV ს-ში; 31. წიგნის ნაწიბური, რომელიც ეკვრის ბლოკსა და ყდას, ყდის შემადგენელი ნაწილი; 32. ლიტერატურული ნაწარმოების სახეობის გამომხატველი სიგყვა; 33. იგივეა, რაც ზამში; 34. 16-კეგელიანი სასტამბო შრიფტი, იხმარება სათაურებსა და საბავშვო წიგნებისათვის; 35. შტემპელის, ბეჭდის სინონიმი; 36. სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის ჩამოსხმული ლითონის ასონიშნები; 36. ასოების მოსართავი მოკლე ხაზები, საერთოდ, მწყობრი სისტემით მოცემული ხაზები; 37. იგივე, რაც შტამპი, იხმარება ყდებზე ამომხეილი გამოსახულებისათვის; 38. ძველგერმანული გომების დამწერლობის ნიმუ-

შები, ფინელ-კარელთა ეპიკური სიმღერები; 39. შემოკლებული სათაური ან ავტორის დასახელება ფორმის აღმნიშვნელი სიგნატურის გვერდით; 40. საცნობო წიგნი, სხვადასხვა ცნობათა კრებული; 41. ძველი ხელნაწერი ან ნაბეჭდი წიგნის ორგვარად გაკეცილი ფერცელი; 42. წიგნის ფურცლის წინა მხარე გვერდობრივი პაგინაციის დროს, კენტი გვერდი; 43. წიგნში ტექსტის ზოგი ადგილის გამოყოფის ხერხი ყურადღების მისაპყრობად; 44. არაპერიოდული ან გრძელდებადი კრებული (თემატური, უნივერსალური, დარგობრივი); 45. ელექტროგრაფიული აპარატის ნაირსახეობა; 46. სტამბური სამკაული გვერდების მოსართავად, მეტწილად

აქციდენციაში იყენებენ; 47. წიგნი, რომელიც ერთ ან რამდენიმე ცალადაა დარჩენილი, იშვიათი წიგნი.




## ამხსნელი სიტყვები

ავანტიგული; ავტოგრაფი; ალმანახი; ანაბეჭდი; ანტიკვა; არე; არშია; ბაკი; ბეჭდვა; ბრმა; დიპტიქი; ენა; ერა; ექსპოზიტი; ვაკატი; ვეგა; ვეირი; ველენი; ვერჟე; ვერსო; თეგი; იარლიყი; ილო; კალკი; კანტი; კეფი; ლავა; ლასე; ლივი; ნაკი; ნატი; ნორმა; ოზმა; ჟანრი; რექტო; რუნები; საგა; სია; სიგლა; სტილი; ტერცია; ტვიფარი; ტონი; უბე; უნიკუმი; ყუა; შრიფტი; შგრიხი; ცნობარი; წიგნი; ხაზგასმა.



შეხვედრა ვიკინგების შთამომავლებთან საქართველოში (იხ. 89 გვ.)

Երևանի Գրականության Կենտրոնի Կրթական Միջոցառումներ - 2004



საქართველოს საბიბლიოთეკო

კვირული 23-30 აპრილი 2004

პრინციპი  
ინტეგრაცია



სპ 20874



ქვემო  
ბიბლიოთეკა

